ჯოჯოხი



6 2020

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459
20006
9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 62-ე წელი | ნოემბერი-დეკემბერი | №6 | 2020 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
რამაზ სურმანიძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფალავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2020

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

ვახტანგ ღლონტი – ლექსები 3
ანზორ კუდბა – იყო და... (მოთხრობა) 15
გენრიეტა ქუთათელაძე – ლექსები 37
სალომე ანანიძე – მინიატურები 46
ვაჟა ოთარაშვილი – ლექსები 52
ეკა კვანტალიანი – ლექსები 56
ციცინო გრატიაშვილი – მოთხრობები 60
გარდენია შევარდნაძე – სტუმარი ღვთისაა (მოთხრობა) 73

თარგმანი

ვლადიმერ მაიაკოვსკი – მარია! მარია! მარია! (ლექსი. რუსულიდან თარგმნა ნინო ძოძოსაძემ) 75
ანელიზე პრობსტი – გოგონა (მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა ნოდარ ბასილაძემ) 81

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ნინო დარგაისელი – ვინ უპასუხა ირაკლის 83
– დგება თეთრი დღეები 92

წერილები

რუსუდან ლორია, აკაკი ბერიძე, დავით ზოიძე –
„მოგონებანი გარდასულ დღეთა“ 102
ნიაზ ბოლქვაძე – უძველეს კოლხ მეტალურგთა საიდუმლოება 109



ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲚᲔᲠᲝᲜᲢᲘ

* * *

მე ვეუბნები რუსს, რომ აფხაზეთი ჩემია...
მე ვეუბნები ოსს, რომ სამაჩაბლო ჩემია...
მე ვეუბნები თურქს – ჩემი აჭარა ჩემია...
ეს საბრალდებო დასკვნა და საღმრთო განაჩენია!..

ჩემია საინგილო... დავით-გარეჯიც ჩემია...
მხოლოდ სისუსტით დავთმე, დროებით შემირჩენია...
შენ, მეზობელო ჩემო, თუმც წაყრუება გჩვევია...
ეს საბრალდებო დასკვნა და საღმრთო განაჩენია!..

ჩემია – საზღვარს აქეთ... საზღვარს იქეთაც – ჩემია...
რაც წარმტაცე და რაც ვერ... რაც შენს თვალს გადარჩენია...
დამაცა, გაჩნდეს გმირი, რომელიც გასაჩენია...
ეს საბრალდებო დასკვნა და საღმრთო განაჩენია!..

15 მაისი, 2019 წ.

* * *

ხომ მაინც ჭრა აქვს, მიზანს აცდენილ
ამ ფოტოღიმილს, ანდა ამ ტყვიას;
რად მოხდა ასე – ჩვენი განცდები
ბედმა რომ ერთურთს არ დაამთხვია?!

გამომწყვდეულებს სხვადასხვა დროში,
ბევრს – ბევრის ჟინი დარჩა არამად;
სხვებმა აიღეს შენი სადროშო,
მე, ამ დავლაში, წილი არა მაქვს.

მე ამ თვალებით დავითრო მინდა,
ერთი მზერით რომ თასმავს ათასებს;

მსურს მოგიპარო შენი დროიდან,
თვით ანგელოზი მიდგას ატასზე

და, მაიმედებს – „ღმერთი და ზეცა
არ ცნობს დადგენილ წესს და თარიღებს,
როდესაც გვიყვარს...“ ახლა შენზეა –
გამამდიდრებ თუ გამაღარიბებ...

მე მოლოდინით ლამის ავად ვარ,
ვჩქარობ „მეორედ მოსვლას“ ამიტომ;
ნაწილი – მიწას უნდა წავართვა,
ნაწილი – ზეცამ უნდა დამითმოს.

აქ დავსვამ წერტილს... ვინც მიქცევს ისევ
წარსულს – მერმისად, ანდა – პირიქით;
ვუძღვნი ხელახალ აღდგომის იმედს,
რაც სიცოცხლეზე უფრო ძვირი ღირს!

აპრილ-მაისი, 2020 წ.

* * *

ვაცილებ ჩემი ბავშვობის
სიცოცხლე გოგო-ბიჭებს;
გულიდან გულში ნაშობი
მიწაში როგორ იწვეს.

არც განშორება გამოგვდის,
არც ერთად ყოფნა... ერთობ
მკაცრი ხარ... ეს რა სხვა მოდგმის
ღმერთივით ღმერთობ, ღმერთო.

„კბილი კბილის წილ“ კი არა,
„გიყვარდეს მტერი შენი“;
ვიდრე შემხსნიდე იარაღს,
იარა შემიხსენი.

აქ რისთვის მომიპატიჟე –
ზღვართან რწმენის და ეჭვის;
გართულხართ შენ და ანტიშენ
სიკვდილ-სიცოცხლის რეწვით.

ვინც მოვიყვანე შენამდე
თუ დახვდი მიღმა ფარდის;
მარტოდენ მიწას ვერ ვანდე,
ვინ მყავდა მისი ფარდი.

დროა, მეც გავეხაზირო,
ვტოვებ მიწიერ ომებს;
თუ შენთვის ვიყო საჭირო –
რამე იშმარი მომე.

არ შემატოვო აქ – ცოცხლებს,
იქით – მკვდრებსა და ჭიებს;
მიწის ზღურბლს გადამაცოცე,
ცაში ხმა დამაწიე!..

აგვისტო, 2020 წ.

* * *

პოეტიც და კრიტიკოსიც
თუმც და ხშირად ფსევდო კია;
რატომ გიკვირს, ეს ხომ ფსევდო-
ქვე-ყანაა, ევდოკია.

ნიჭიერთან სიტყვაძუნწი,
უნიჭოსთან გულუხვია;
ვისაც დიდი ჩანთა დააქვს
ყველას ჩვენკენ გურუ ქვია.

ვინ გურუ და რა კენგურუ,
ვინ რას მიედ-მოედებით;
აქ ფარზე ჰყავთ მხოლოდ ერთხელ-
წასაკითხი პოეტები.

იკითხონ და იზეპირონ
აქ – მკვდრებმა და იქ – ცოცხლებმა,
რასაც სიო ნაზად არხევს,
ქარიშხლის დროს იცოცხება.

2020 წ.

(ციკლიდან „წამოკრულები“)

* * *

აქ ყოფნა არის გამოცდა,
ვინ წყლით იცდება, ვინ – ალში;
ვინ თარგმანშია პოეტი,
ვინ კიდევ – ორიგინალში.

ჰოდა, მიეცეს პრემია,
მიეცეს მორიგი შანსი;
ვინც თარგმანშია პოეტი
და არა – ორიგინალში.

ყვავი ბულბულის ენაზე
რაც უნდა თარგმნონ შაშვებმა...
მრავალს მოუწევს ცრუ ციდან
ნამდვილ მიწაზე დაშვება!..

14.10.2020 წ.

* * *

წვიმა ჩემი სამშობლოა,
შემოდგომა ჩემი დროა;
ეს, ფოთლების სასაფლაოც,
ვის ჰგონია ნაგვის გროვა?!

ბევრი ისე ჩაჰყვა ჭაობს –
თავი თვისი არ მაგლოვა;
მე რომ, ეს რომ – არ ვინაღვლო,
თავად რაღა სანაღვლო ვარ?!

2019 წ.

* * *

ხმალი ამოწვდილია...
ილია!..
შხამი გამოცლილია...
ილია!..

გამოგხედავს – მამაა,
გახედავ და – შვილია!..

ერთი, მაგრამ – რამდენი...
ჩვენთვის უფლის წყვილია;
წიწამურში გოლგოთა –
ვაი, რა სირცხვილია!..

ყველა ომი, საჩვენო,
მისი გადახდილია;
შუბლი უნდა მაჩვენო,
თუ ხარ მართლა ილია!..

ფრთები დაკეცილია,
წიგნი გადაშლილია;
ვეკითხები – „რა გქვია?!“
შიშით მეტყვის – „ილია...“

საქართველოც, ხელახლა,
ხომ შენი შექმნილია;
ექო ხარ, მარადისი,
ილიااااااااااااااااااا...

შენამდე და შენს მერეც
ყველა შენი ჩრდილია;
მაპატიონ იმათაც,
მაპატიონ ამათაც...
ილია!!!

17 სექტემბერი, 2020 წ.

* * *

როცა ნახავ – ტაოს, კლარჯეთს,
ქართულ ნაეკლესიარებს;
თუ არ გიყო გულმა რეჩხი
რა სასწაულს ეზიარე.

თუ ვერ იცნობ, ნაფრესკალზე,
მამის მამის მამის მამას;
თუ არ ჩამოგტირა ქრისტემ
ნაისრალს და ნაისლამარს...

იქ რომ, ტაძრად – ბოსელია,
იქ რომ, ტაძრად – მეჩეთია;
შენი, მტრისგან შელახული,
ქართველობის ბეჭედია.

და თუ ახლაც ვეღარ დათმე –
მტრის ძმობა და მოყვრის მტრობა;
ვაგლახ, ერთმანეთის სისხლიც,
არ გვეყოფა დასათრობად.

მტერზე უფრო მტერო – თავის,
ძმაზე უფრო ძმაო – მტრისა;
ერთხელ მაინც შეისმინე,
რაც გამჩენმა გისაზრისა!

3 ოქტომბერი, 2019 წ.

* * *

როგორც უფლის პალიმფსესტი,
ქვის ფურცლებზე მისტამბული;
მავსებს არამკითხე სევდით
კონსტანტინეს ისტამბული.

ინტრიგებში მობეჯითეს
სიყვარულში გიზანტია;
ქედმაღლობა ღუპავს დიდებს...
გიხმობ „ბის“-ზე, ბიზანტიავ!

დამენახე ისევ ისე –
არა ზღაპრად, არა მითად;
ვინც აიასოფიის მზე
მთვარის მეჩეთს გაურითმა,

ივლის ხმლით და ურმით ივლის
დიდ-მცირეთა ჩასაყლაპად;
ვერ ცნობს შვილის შვილის შვილი
თავის პაპის პაპის პაპას.

აღრეულა რჯულში რჯული,
სისხლში სისხლი, გენში გენი;

ვინ ვისი ვართ?! – გვიჩურჩულე,
თუ ღმერთი ხარ, მადლი ჰქენი.

დრო იყო და, ქართველობაც
ამშვენებდა ბიზანტიონს;
მტრის ქალმა რომ ძე გიშობა,
მან ვის კვალს და მიზანს სდიოს?!

რომაელნიც ასხდნენ თავზე
კოლხეთსა და იბერიას;
ხან ამგვარად დავცოტავდით,
ხან ამგვარად გვიბევრია.

სადაც ახლა ვდგავარ ქუშად,
იქნებ ჩემი წინაპრების
სახლი იდგა... სად დაუშვა
ვინ – ფრთები და ვინ – აფრები?!

ეჰ, რა იცის მასპინძელმა,
უცხო სტუმრის ხვაშიადი...
ითრევს ქრისტე მტკივან ძვლებს და
ზურგშექცევით ცაში ადის.

2015 წლის ოქტომბერი (სტამბოლი)

* * *

კი არ ვლაპარაკობ, – გეფერები,
კი არ გესიტყვები, – გეთხოვები...
მთაზე, საფლავები, შეფენილი,
ჩანს, ვით ჯოჯოხეთის გეტოები.

სანამ სასიკვდილოდ შემაქანებს,
მისმენ სხვა ყურით და სხვა გონებით...
აჰა, დააკივლა მემანქანემ,
აჰა, შეძიგძიგდა ვაგონებიც.

ისე შეეჩვიე გაცილებას,
უკვე იოლია გაცილებით –
ყველას ერთდროულად გაეცალო...
სულს გეცილებიან მაცილები.

მიჰყავთ მოშლიგინე ეშელონებს
შენ რომ შენად სახე – მაგი ერი;
გზის ვერმცნობს, ვინ უნდა შემეშველოს,
სად ვნახო მე შენი მაგიერი?!

ჰაუ, რა შორსა ვართ სათავიდან...
ეს ღამეც, შენთვის რომ საღამოა;
ამბობს რომ – ჩემი მზე გადავიდა...
ჩემს შემდეგ, შენი მზეც, არ ამოვა!

2013 წ.

* * *

ქართველი რომ თავს უშვება,
მტერი – მტერსაც არ უშვება;
ამ ჩემს იმას – თურქობა სურს,
იმ ჩემს იმას – გარუსება.

ერთაოზსაც, მის ქათამსაც,
უნდათ გაევროპელება;
ფრთხილად, ცაში, არ გიმტყუნოთ
ჟანგიანმა პროპელერმა.

ამ ქაჯს ძველბიჭობა უნდა,
იმ ჩარჩს – გადეპუტატება;
დაითრიეს საქართველო
უცხო ჯიშის მუტანტებმა.

რა სამშობლო?.. რის ქვეყანა?..
მორგია და სასვენია...
არაფრის რომ არ გრცხვენია,
ქართველობის რად გრცხვენია?!

18.10.2016 წ.

* * *

ვისმენ ქებას უგვანოთა –
„შე აკაკი... შე ილია...“
აქ ხომ ერის მამობაზე
არნახული სეილია.

შეიჭამა საქართველო,
შეიხვრიპა, შეილია;

ვისთვის – ჯვარცმით მკვლელობაა,
ვისთვის – მხოლოდ სეირია...
ჩვენი დამღუპველის ლეში
მიწამაც არ შეირია!..

31.01.2020 წ.

* * *

„დროა მოვრჩეთ!.. კაი, აბა!.. –
(ქრისტეს ეტყვის კაიაფა);
რაც მე, საქმე, შენ გიყავი,
არ გიზამდა სხვა იაფად“.

წყლიდან უხმობს (ბონდო ელზას) –
„ვერ მომაწვდი, საპონს, დაო?!“
აქ, პილატე პონტოელსაც,
არ სცალია საპონტაოდ, –

ხელსაბანთან არმისულიც
ასახელეს ამ ხელებმა;
„შენ და შენი მამი-სულიც –
(ძე-კაცს ამხელს) – ამ ხელებმა,

ერთის ნაცვლად – სამნი რომ ხართ,
ჩვენ კი ოდენ თითო-თითო;
ამ ჩვენს ნაკლზე, ამდენ ხალხში,
რატომ უნდა მოგვითითო?!

ვცოდო, არც მე მინდა, ნებით,
ცაც მიწაზე ფაქიზია;
მომავალი წმინდანებიც
გასაწირად აქ გიზიან!

ჩვენ კი, სანამ გავერკვევით –
სად ღმერთია, სად – სატანა...
ბევრს დავტვირთავთ მძიმე ჯვრებით
გოლგოთაზე ასატანად!“

აგვისტო, 2019 წ.

* * *

რა ახლო ვყავდით დედებს,
რა შორი ჩანდა შარაც;
დღეს კართან ჩაგვდის ლეთე,
ვერვინ გამოვალთ მშრალად.

ამაოდ ვცდილობთ, ქარონს,
ავუყირავოთ ნავი;
ნასესხები დღით ვხარობთ,
ღამისპირულზე ვღნავით.

ავუტალახებ წინკარს
ჩემს მარადიულ მშველელს;
თუმცა გზას მიღობავს ჭინკა –
„ვისი ხარ, ბოშო, შენე?!“

ვისი ვარ – აღარც ვიცი,
ვისი ვიყავი – მახსოვს;
ჩემზეა მაღარიჩი,
მამის ნაცვალო მახვშო,

ოღონდ მიუდეგ თმენით,
რითმით მორთმეულ სარჩელს;
ცოდოა, ჩიტის ფრთები
მიწის ბუდეში ჩამრჩეს.

რად მქმენ – სულად და ხორცად,
ძედ – იმედის და ეჭვის;
რაც ჩემი იყო, – მორჩა...
რაც შენგან დამრჩა, – მეწვის!..

აპრილ-მაისი, 2020 წ.

* * *

...დაშოშმინდება ყველა „ვაი-მე“,
ვერსად გზების და შვების მნახველი...
ვერ გავაგონე ციურ აივნებს,
თუმცა პირზე მქონდა შენი სახელი...

აწ ამრევია ცხადი და მითი,
ვიმშრალებ ცრემლებს მკლავსახელოთი...
შენ, პაემანი, სხვაგან დამითქვი,
მე კი, რატომღაც, სხვაგან გელოდი...

28 ივნისი, 2018 წ.

* * *

თავს რით იმართლებ... როცა მიზეზი –
თავად არ იცის, ბრალის დადების,
ვინც გედავება... თუმცა ზე-ზევსი
აქაც პოულობს რაღაც დადებითს

და, ოლიმპოზე, ღრუბლის დახლებთან –
გაყინულ გულგვამს ჩაითბობს „ოტკით“...
ფასი არ გქონდეს – ხელს ვინ გახლებდა...
ვინც გკლავს, არც იცის, რომ უკვე მოკვდი

და, ნურც გაუმხელ, დე უხაროდეს,
რომ ებრძვის ბოროტს – ასე კეთილი
და, რაც ასწავლა ძია ჰეროდემ,
ღმერთს ჩააბაროს ის გაკვეთილი.

27.06.2020 წ.

* * *

დედამტრედი ქორად მზრდიდა,
გავქცეოდი, ბედს, საიდან?!
ვაი – შენ, ჩემო ქორაზინ და,
ვაი – შენ, ჩემო ბეთსაიდა!..

მოსულს – ქრისტე არსად დამხვდა...
პეტრეც სხვა მხვდა... სხვაც – ფილიპედ...
ნუთუ, ეს გზაც, მიდის დახლთან,
თქვენ რომ გამიცაბილიკეთ?!

წამსვლელ-მომსვლელს დამრჩენი ჯობს,
ვკითხოთ ელის – ვის რა ელის...
კვლავ, ვინ შეკრას, ჩვენი, ბიჯო,
გაფანტული ისრაელი?!

სანამ ვდიოთ, ორი დროშით,
თან მოსეს და თან იესოს...
პირველსიტყვა – სქოლიოში
როგორ ჩაგვატანიესო?!

„ელი... ლამა საბაქთანი...“
ვისი სული დამაქვს ტანით...
ვისი შხამით უნდა მოვკვდე,
ვისი ტყვიით, ანდა – დანით?!

მაქვს სამშობლო – ჰორიზონტთან,
ვერ მივუდექ ვერსაიდან...
ვაი – შენ, ჩემო ქორაზინ და,
ვაი – შენ, ჩემო ბეთსაიდა!..

ნოემბერი, 2018 წელი



ანზორ კუდგა

იყო და...

ენვერა:

ბაზრის შესასვლელში ნახა ემინემ ზეწარში გახვეული... ალიონზე, მზის ამოსვლამდე, ბაზარი რომ იღვიძებს, იმ დროს.

ის დღე ბაზრის მატიანეში ყველაზე შეხურებულ დღედ ჩაიწერა გაკრული ხელით, მაგრამ მაინც გარკვეულად.

ჰო, ემინემ ნახა, ბაზრის ქალი რომაა, მაგრამ როგორც ქალს რომ არავინ უყურებს.

თვითონ ემინე ბაზრის შესასვლელში ზის ფეხმორთხმული, წინ ხელებგაშვერილი. ითხოვს უსიტყვოდ, რასაც მისცემენ, აიღებს და თვალებით ეტყვის მადლობას.

იმდენს კი მოუყრის თავს, რომ მშიერი არ დარჩეს. ეს სწორედ იმდენია, რამდენიც ყოველდღიური „პური ჩვენი არსობისაითაა“ დადგენილი. ოხვრა-ვიშით წამოდგება, ჩაფაშფაშდება კიბეზე და მზის ჩასვლამდე ფეხშიშველი შემოირბენს მთელ ქალაქს, კუთხე-კუნჭული არ დარჩება მოუხილველი და ისევ წამოფაშფაშდება ბაზრისკენ.

დღესაც თავის დროზე გამოცხადდა (ნათიაი მერძევის თქმით) „სამუშიერზე“ და თავისი ადგილი დაკავებული რომ დახვდა, ვაიმე ნენილავ, – წამოიძახა უფრო გაბრზებულმა, ვიდრე ნაწყენმა, – ახლა სა ჯანდაბაში წევდეო? – ზეწარი გაშალა და რას ხედავს?! – ნენილავ, ბიჭი?! – თვალებზე აიფარა ხელები, – ეს რა იბრეთი დღე გამითენდაო და ხელები გაშალა, – ხომ არ მესიზმრებაო? – გული კინაღამ ამოუვარდა: – ნენიი, თავი – თელი და ტანიც – თელი, ხელებიც – თელი, მაგრამ აი ფეხები ასე რაფერ დეეღრიკა?! დუნია თუ იქცევაო და თავში შემოირტყა ხელები. ცთუნებას ვერ გაუძლო და ორივე ხელი ძირს ჩააყოლა იმის ფეხებს.

ჩვილს ფეხის თითები ერთმანეთისკენ მიქცევია, ქუსლები კი გარე-გრე მიუდიოდესო თითქოს.

– ასე რაფრა გეიარს?! – შეწუხდა ემინე, მაგრამ ფიქრსაც ვეღარ მოუყარა თავი და სასწრაფოდ შეფუთნა ჩვილი, ზეწარში გაახვია და მკერდზე მიიკრა. „სკვაზნიაკმა“ არ დაჰკრასო და თავის სენაკში ჩაარბენინა... ანგელოზებმა დამიტოვესო და თავის ხის ტახტზე წამოაწვინა. ჩვილი შეინძრა და ემინეც შეცბა, – მაგრამ ხმას რომ არ იღებს?! – ახლაღა გაახსენდა, რომ ჩვილს ჭამაც უნდოდა და სმაც და მერძევე ნათიას მიაკითხა.

– ნათიავ, რძე უნდა მომცეო.

– ემინევ, ცა, არასოდეს გითხოვია ჩემი რძეი და...

– ჩვილი მყავს და... ჩვილმა ურძეოდ რაფრა გაძლოს?

– რომელი ჩვილი, ემინევ?

– ანგელოზებმა დიმიტოვეს...

– მერე დედამისი სა ჯანდაბაშია?! – აღშფოთდა ნათია, – წახდა ქვეყანა, მეორედ მოსვლა თუა?!

– ნათიავ, შენ რძეს მომცემ თუ არა? ენვერას შიაო... – კი თქვა ასე, მაგრამ გაუკვირდა მერე: რატომ მაინცდამაინც ენვერაო?!

– ერთი მაი ბაღანაი მაჩვენეო, – ნათიამ და გაჰყვა ემინეს, ხელიდან ხელში გადაჰქონდა რძით სავსე ბოთლი.

ემინეს თავისი სენაკი ბაზრის სარდაფში მოეწყო, თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა შიგ, მაგრამ ემინე მაინც კმაყოფილი იყო და ამ „საბოძვარს“ ბაზრის ზედამხედველს რემზის უმადლოდა. რემზის სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ ამის სანაცვლოდ არავითარი ქირა არ მოუთხოვია ემინესთვის. მაგრამ თვის ბოლოს ემინე მაინც მიურბენინებდა მთელი თვის მონაგრის ნახევარს. რემზიც არ ყოფილა იმის ჩიტი, რომ შეთავაზებულზე უარი ეთქვა. მაგრამ ერთ დღეს რემზიმ, – ემინევ, მაი არ მყოფნისო და ემინეც გაშრა: – რემზიავ, მეტის მოცემა რომ არ შემიძლიაო?

– შეგიძლია, ემინევ... – იცინის რემზი და ემინეს უბიდან ამოსაცვენი ძუძუები ლამის შეჭამოს, – ფულს არ გთხოვ, ემინევ...

– მერე, რემზიავ, რა მაქს მე იმფერი, რომ...

– გაქს, ემინევ, გაქს!

– ქალი ვარ ერთი, რემზიავ და აგია სულ!

– ქალი რომ ხარ, ემინევ... რაფერ ვერ ხვდები, რომ... – ულვაშებს იწიწკნის რემზი.

– შენ, რემზიავ ემინეი გინდა... ჩემი თავი? – ემინემ თვალი გაუსწორა რემზის, – აქედან ნუ გამაგდებ, რემზიავ და... რაც ვარ, აი ვარ, ამაზე მეტი ვერ ვიქნები, – სირცხვილისგან გაწითლდა და თვალები დახარა.

რემზიმაც ჩაიცინა თავისთვის, ეს მერამდენედ უკვე, – ემინევ, მართლა ვერაფერს ხვდები?

– მივხვდი, მივხვდი...

– მერე, ემინევ?

– მერე: მიქენი რაც გინდა, რემზიავ...

* * *

ჰოდა, რემზიც იკლავდა თავის ჟინს ემინესთან, მაგრამ იმისიც ეშინოდა, არ დაფეხმძიმებულიყო ქალი.

სანაღვლო-სადარდებელი სინამდვილეში არც არაფერი ჰქონდა რემზის. ემინე, როგორც ქალი, ბერწი აღმოჩნდა. გაუმართლა რემზის, მაგრამ რემზიზე მეტად – თვითონ ემინეს.

* * *

ჰოდა, იზრდებოდა ენვერაიც: კი დადიოდა, მაგრამ საკითხავია, როგორ დადიოდა?

ფეხი ფეხზე რომ არ გადაებიჯებინა, ისე ვერც გადაადგილდებოდა. ბოლოს ისე შეეჩვია ასე სიარულს, რომ ჩვეულებრივი ადამიანისა უკვირდა, ჯაზია თუ ვინაა, ასე სიარული რაფერ შეიძლებაო?!

მთელ ბაზარში ფეხშიშველი დატანტალებდა და ბედნიერებისგან უბრწყინავდა მარჯვენა თვალი და მალი-მალ აპაჭუნებდა, მარცხენა თვალს კი ვერც ახამხამებდა, მაგრამ ამას ენვერაი არც შეუწუხებია და არც ჩაფიქრებულა ამაზე.

ჰოპაო! – შეძსახებდა და „შუუხტებოდა“ კიდეც.

– შუუხტი, ენვერავ, კიდვენ შუუხტიო! – ესმოდა აქეთ-იქიდან და ენვერაც „შუუხტებოდა“ ხოლმე.

– კიდვენ შუუხტი, შუუხტი კიდვენო, – მეტადრე მაწანწალები არ ასვენებდნენ და ენვერაიც მიხტუნაობდა „ჰოპას“ ძახილით. ენვერას დაღრეკილ ფეხებს სულაც არ სციოდა, სიცივეს ვერც გრძნობდა.

ენვერაი ცნობადი სახე გახლდათ ბაზარსა და ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

* * *

თექვსმეტი წლის ხდებოდა ენვერაი და ათი წლის ბიჭი ძლივს გეგონებოდათ. იზრდებოდა, მაგრამ ყველასგან განსხვავებულად, როგორღაც დუნედ, თითქოს შენელებულად. სხვა დროში იყო ენვერაი, მაგრამ მაინც – ადამიანის შვილი... იმთავითვე ეტყობოდა, რომ ერთ მეტრსა და ორმოცდასამ სანტიმეტრს ვერ ააცილებდა.

სუსტი იყო და ბეჭებში საგრძნობლად მოხრილი, კინაღამ მოკუნცხული, მაგრამ იზრდებოდა მაინც.

რემზიმ მენაგვეთა ბრიგადირად დანიშნა და თანაშემწედ ჯემალაი და ზურიაი დაუყენა.

– ესენი ვინ არიანო? – ჰკითხავს ენვერაი მამობილს და ისიც უპასუხებს: – დაავალებ რაც გინდა და აგენი ვალდებული არიან, აასრულონ შენი ბრძანება... იცი, რაა ეს, ენვერავ?

– მაგენი ჩემი მოჯამაგირეები... – ოცნებამ წაიღო ენვერაი.

– ახლა რომ შუუხტებოდე, ენვერავ, გამახარებდი მართლა!

და ენვერაიც „შუუხტა“ თავისებურად.

– ჰოპა, რომ არ გითქმია, ენვერავ?

და ენვერაც „ჰოპაო“ დასძახებს და „შუუხტება“ კიდეც.

– კიდვენ, კიდვენ, ენვერავ, კიდვენო და ენვერაიც „ჰოპად“ გადაიქცა, მაგრამ მეტჯერ ვეღარ შუუხტებიო, – ხელი მაღლა ასწია პროტესტის ნიშნად, – ენვერაი დეიღალაო!

რემზი ჯემალას და ზურიას ნიშანს მისცემს და ისინიც მოახრიგინებენ ცალბორბლიან ტაჭკას: – ესეც შენი ტრანსპორტი, ენვერავ...

– აგენი? – იკითხავს ენვერა.

– ჯემალაი და ზურია ჯორები იქნებიან, შეგიძლია ტაჭკაში შეაბაო, – უპასუხებს რემზი და დოინჯს შემოიყრის, – ენვერავ, აბა შენი იციო! უბრძანე და... ნაგავი ბაზარში არ ვნახო, თვარა დეისჯები შენ, შენ კი აგენს დასჯი!

...და ყოველთვის, დღეში სამჯერ, ენვერაის ტაჭკას ერთ ადგილზე დაგროვებული ნაგავი გაჰქონდა. ტაჭკაში როცა ჯემალაი იყო შებმული, გვერდზე ზურიაი მიჰყვებოდა, ხოლო როცა ენვერაი ზურიას შეაბამდა უღელში, ჯემალი მიჰყვებოდა გვერდით. ენვერაი კი, როგორც მთავარსარდალი, ხან წინ მიუძღოდა ტაჭკას, ხან – უკან, თავისი სტრატეგიიდან გამომდინარე.

ბაზრიდან მოშორებით ნაგვის მანქანა ელოდათ. აბა, ერთი არ დახვედროდათ ნაგვის მანქანა...

მოკლედ სული მოითქვა ენვერამაც და ბაზარმაც. აბა ბაზარი ენვერას გარეშე ვინა თქვა?!

– ენვერაი თავის პოსტზეაო, შვებით ამოისუნთქავდა ბაზარი, ენვერაი კი დასძახებდა თავის გამარჯვების აღსანიშნავ „ჰოპას“ და „შუუხტებოდა“ სამჯერ. სწორედ რომ გასაკვირველია ამდენის შემძლე როგორაააო აი ფეხებდაღრეკილი ენვერაიო? რა ვუყოთ მერე, გიკვირდეთ თქვენც, ვინ გიშლით ამას, ამაზეც ენვერამ იჯავროს?!

„ჰოპას“ დასცემდა ენვერაიო, და ამ დროს გენახათ ამ ჩვენი ბაზრის კაცუნა... თვალები უბრწყინავდა ენვერას, თითქოს დიდი საქვეყნო საქმე მოეგვარებინოსო, იმ თავის ვიწრო მხრებში გაიშლებოდა იმდენად, რამდენადაც ამას თავისი ნამსხვანი შეაძლებინებდა. ხარობდა ენვერაი!

ჰო, დღის ბოლოს, მოითავებდა თავის მნიშვნელოვან საქმეს, დაიკაპიწებდა მკლავებს, ორივე ხელში მოიმარჯვებდა თავის რემზისეულ ქუდს და: ვინ კომბოსტოს ჩაუგდებდა მოსაკრებელში, ვინ კიდევ რას, ზოგი ხურდა ფულსაც გამოიმეტებდა მთელი დღის შრომაში დამაშვრალი ენვერასთვის, თითქოს ვალი მოეხადოთ მთელი ქვეყნის გაჭირვებულთა და დამაშვრალთა წინაშეო.

* * *

...ემინემ მთელი წელი იავადმყოფა: ვერა და ვერ მოიკეთა და თავის სადგომში ამოხდა სული.

სად მიდისო, ჰკითხავდა ენვერაი რემზის და ისიც „მარილზეო“, უპასუხებდა მოკლედ. კი შუუხტება ენვერაი ამის გაგონებაზე, მაგრამ „ჰოპას“ აღარ დასძახებს თავისებურად.

მერე: მთელი სამი დღე არ გამოჩენილა ენვერაი ემინეს გარდაცვალების დღიდან. თვითონ ემინეს ცხედარი იმავე დღეს გაიტანეს ბაზრიდან დამკრძალავი ბიუროს მუშებმა, რაღა თქმა უნდა, ცელოფანში გახვეული.

ბრინჯო:

– ბრინჯო! ბრინჯოოო... – ასდევნებიან პატარა ეშმაკუნები და ხელს უშლიან დღევანდელ საქმიანობაში. ბრინჯოს კი უსაქმოდ ვერ გააჩერებთ. მოითავებს საქმეს და ახალს გამოიგონებს: – აბა, რა ვქნაააა?! – შეჰღაღადებს ზეცას – ხან მზის სხივებით გაჩახჩახებულს, ხან – მოღრუბლულს. არ უყვარს ავდარი, სული ეწურება, როცა კოკისპირულად წვიმს.

ჰო, ბოროტ ძალებს სურთ, საქმეს მოწყვიტონ ბრინჯო, მაგრამ გამოსავალს მაშინვე მიაგნებს, ბრანწს უჩვენებს და სულსაც მოითქვმს, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოსო, დაწყებულ საქმეს უფრო გულმოდგინებით გააგრძელებს ხოლმე.

ბრინჯო დღესაც დაკავებულია: ზღვისპირა პარკში, ბულვარში, გრძელი ძელსკამები რომ ჩაუმწკრივებიათ, კაი ხანია დაზიანებულია რამდენიმე. ბრინჯოსაც შინიდან წამოუღია საჭირო ზომის ლურსმნები, ჩაქუჩი და უკვე შედგომია საქმეს. საქმეს დღესვე უნდა მორჩეს, თორემ ვერ მოისვენებს და შეიძლება თავიც წამოტკივდეს ნერვიულობისგან. თავის ტკივილი კი: დეპრესია, ერთკვირიანი იცის ბრინჯომ. განსაკუთრებით მაშინ ანერვიულდება, როცა ვინმე ეჯუჯ-მეჯუჯი ჭკუის სწავლებას მოუნდომებს. იგი მხოლოდ საკუთარი სინდისის წინაშეა ანგარიშ-ვალდებული. ვერც ვერანაირ უწესრიგობას ეგუება. ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს. – ეს რაცხაა, თავის ადგილზე რატომ არ არისო? – აღშფოთდება და მარტო გუნება კი არა, გონებაც აემღვრევა. ვერც მოისვენებს მანამ, სანამ თავის ადგილს არ მიუჩენს იმ ყველასა და ყველაფერს. თუ გინდათ, უჩივლეთ, ბრინჯოსთან ვერაფერს გახდებით: იმას თავისი განსაკუთრებული შეხედულება აქვს და თავის აზრს არც არასოდეს შეიცვლის.

ბრინჯოს ხმა მოგენატრათ?!

კეთილი...

– მესმის, მესმიის! – ამოიბღავლებს ბრინჯო და გაკვირვებულზე უფრო გაბრაზებული აიხედავს მაღლა.

– რა გესმის, ბრინჯოოო? – ჩამოეკითხებიან იმ სიმაღლიდან და ისიც გაღიზიანებული ასძახებს: – მესმიის!

– ჰოდა, თუ გესმიის, საქმეს რატომ არ შეუდგებიო? – დააჩქარებს მაღალი მბრძანებელიც.

და ეს ხომ სულ გადარევს ისედაც გადარეულ ბრინჯოს და მუშტებს მოუღერებს იმ არამკითხეს, მაღლიდან ასე უპრაგონოდ რომ იძლევა ბრძანებებს.

– ბრინჯო, შენ დაისჯები! – გაიგონებს ბრინჯო და ცეცხლის ალი ამოუწვავს შიგნეულობას.

– ენა დააყენეეე! – კბილებში გამოსცრის ბრინჯოც და მაღლა აღმართავს თავის ჩაქუჩს, აბგიდან ლურსმანს ამოიღებს, მოუნიშნავს ადგილს და ჩაქუჩიც მთელი ძალით დაეშვება ძირს, – ჭკუასაც ისწავლებიიით?!

– ერთი დარტყმით, ბრინჯო?

– ერთი დარტყმიით! – ამოიღრიალებს ბრინჯო და წამოდგება თავდაჯერებული. იგი ყოვლისშემძლეა და ვერც ვერავინ გაუტოლდება, – ესეც შეეენ! – ხელს დაჰკრავს ძელს და უკვე გულში დასძენს: „უნდა ივარგოოო!“

იქით კიდევ ძელსკამია შესაკეთებელი და იმისკენ გასწევს ბრინჯოც.

საქმეს მზის ჩასვლამდე მოიმთავრებს და დიდი წყალისკენ გასწევს, რატომღაც ზღვას რომ უწოდებენ ადამიანები. შეიძლება ამაზეც ჩაფიქრებულიყო, მაგრამ არ უყვარს უაზრო ფიქრი.

დიდ წყალთან მისული ბრინჯო წაიძრობს წუღებს. დიახაც, წუღებს, გალაქტიონა საპოჟნიკმა საგანგებოდ რომ შეუკერა: – იარე ახლა, ძამა, აწინ აღარც სიცხე შეგაწუხებს და აღარც – სიცივეო.

მადლობაც არ უთქვამს გალაქტიონასთვის, საყვედური კი უთხრა: – შენმა კუკამ თავის თავს დასცინოსო.

წუღები ბრტყელ ქვაზე დაუწყვია ბრინჯოს, შარვლის ტოტებიც აუკაპიწებია და ფეხის წვერებზე შემდგარი დიდ წყალსაა, რომ „ეპარება“. ამ დიდ წყალში წინდებიანად შედის.

მაგრამ დახეთ: მისკენ არ მოიწევს აყალყებული ტალღა?!

– არ დამასველოოო?! – კი არ ითხოვს ბრინჯო, არამედ ბრძანებს და ტალღაც რის ტალღაა ქედი მოედრიკა ადამიანის წინაშე და შეშინებულს უკან მოეკურცხლა?!

ბრინჯომაც არც აცივა, არც – აცხელა და მკერდი დაუხვედრა თავის აბორგებულ მეტოქეს. იძალა იმანაც და მიწას დაახეთქა დიდ წყალთან მორკინალი რაინდი.

– მე შენ გიჩვენეეებ! – ფეხზე დადგა ბრინჯო და სულ გადაირია, როცა წინანდელზე უფრო დიდი ტალღა დაინახა, მისკენ რომ მოარღვევდა ყველასა და ყველაფერს, – გიჩვენეეებ... – გაიგონა ბრინჯომ, მაგრამ მისი „გიჩვენეეებ“-ის მომყოლი სიტყვა „სეირსო“ შთაენთქა დიდ წყალს. თვალი რომ გაახილა, ნაპირზე ეგდო მთლად დალეწილი, ყველაფერი ტკიოდა, ყველაფერი:

– ეს რა ძალა გქონიაააა?! – ხმა ჩახრინწოდა. წელი ძლივს წამოზიდა, მაგრამ ისევ ჩაჯდა კენჭებზე და დიდ წყალს ბრაზით გახედა.

– მიფრთხილდი, ბრინჯოოო! – მოესმა შორეული ტალღის გამოძახილი და გააკანკალა ბრინჯოს, – შენ მომერიეო, – მოკაკვა თითი.

ასე დამთავრდა დიდი წყლისა და ბრინჯოს იმდღევანდელი შერკინება.

ბრინჯო უკმაყოფილოა თავისი თავის. დანა პირს აღარ უხსნის. მართლა აღარ ეგონა, რომ ამ უწყინარ წყალს ვერ მოერეოდა. იმ თავის ახლახან შეკეთებულ ძელსკამზე მიეგდო. ცოტა ხნის შემდეგ წუღები წამოიცვა ფეხზე, შარვლის ტოტები გაბრაზებულმა ჩამოუშვა და გაწურა. წამოდგა და მუშტი უნდა მიეღერებინა დიდი წყლისთვის, მაგრამ უცებ მოეშვა, გააცნობიერა, რომ მასთან შედარებით ჩხირიც ვერ იყო და შერცხვა; აღარ იცოდა, ვისი შერცხვა: დიდი წყლისა თუ საკუთარი თავის. უძლური იყო და ტირილი მოუნდა.

ფიქრობდა ბრინჯო და ფიქრებმა კინაღამ არ მოინელეს?! მაგრამ გული გაიმაგრა, დაერია ფიქრებს და სულ კუდით ასროლინა ქვა ერთის გარდა. ის ერთი გაუძალიანდა და აქეთ არ მოდგა ბრინჯოს?!

სწორედ ის ფიქრია, სოფელში რომ ამოაყოფინებს თავს.

კაი ხნის ამბავია ეს: წვევამდელებს დიდ მოედანზე მოუყრიათ თავი. ბრინჯოც მათ შორისაა.

– ხედავთ იმ დიდ თეთრ ქვას, უადგილოდ რომ გდია?! – სული მოითქვა სოფლის უხუცესმა, – იმ ჩვენი ცოდვილიანი ღელედან ამოიტანა ერთხელ რეჯებამ. ხომ გახსოვთ დიდი დელი რეჯება? იმან, აბა?! დააგდო, სადაც ახლა გდია, და თუ ბიჭია ვინმე სოფელში, უკანვე დაუბრუნოს ღელესო. თქვა და გადაიკარგა სოფლიდან. ამის შემდეგ არავის უნახავს იგი. იქნებ ცოცხალიცაა... – ბიჭებს გადახედა, – დავიჯერო, რომ თქვენ შორის არავინ იქნება ამ ქვის მომრევი? – უსუფ ეფენდიმ კიდევ ერთხელ გადახედა აჩოჩქოლებულ ახალგაზრდებს და ხმას დაუწია: – რა ხანია გელით რეჯებაის ქვა... ვის შეუძლია ამ ქვის ადგილიდან დაძვრა?

ბრინჯო წამოიწია ადგილიდან და...

– ნევზეთავ... შენ ბოლოს შეეჯაჯგურები ამ ქვას. ჯერ სხვებმა სცადონ ბედი და ნევზეთაიც უკან გადგა; თან იმასაც ფიქრობდა, ვაითუ ჩემამდე შეძლოს ვინმემ და ღელეს დაუბრუნოს თავისი ქვაო?! – წუხს ნევზეთაი, მაგრამ არ იმჩნევს, არ უნდა დატუქსოს უსუფ ეფენდიმ.

– რეჯებაი ყველასგან გამოირჩეოდა თავისი აღნაგობით. ძალიან მაღალიც არ ყოფილა, მაგრამ მხრები ჰქონდა მთელი არშინის ხელა. ძალა ხარისა ჰქონდა. რომ მოენდომებია, ჩვენი კანტორის კედლებს გაიტანდა. ძალა მართლა ერჩოდა. ნევზეთავ, იმის თავს მაგონებ შენ... შენ მოითმინე, სხვებმა სცადონ, შენ ბოლო იქნები, არ გესმის?! – გაუწყრა უსუფ ეფენდი. ნევზეთაიც ჩაჯდა მიწაზე.

და ნევზეთაიც დაცხრა.

უსუფ ეფენდიმ გადახედა ჯანღონით სავსე ახალგაზრდებს: – აბა, ჯემალავ, პირველი შენ იქნები!

ჯემალაიც მიიჭრა ქვასთან, მაგრამ სანამ შეეჭიდებოდა, გოგოებისკენ გაექცა თვალი. მერე გასწორდა წელში, რაღაც ჩაითქვა გულში და ნევზეთასაც გააჟრჟოლა. ვაითუ მოერიაო ქვას. ჯემალამ კი მოხვია ხელები თავის უსულო მსხვერპლს და ნევზეთასაც კინაღამ გაეპარა სული.

ჰოდა, ცდილობს ჯემალაი წამოდგომას, მაგრამ არ უშვებს რეჯებაის ქვა, ჯემალაიც რომ არ ეშვება?!

უსუფ ეფენდიმ: – ჯემალა, ხელი გუუშვი ამ ქვას, ადექი!

ქვა ადგილზე რჩება გაუნძრევლად. ჯემალაი ძლივს გამართავს წელს და განზე გადგება დარცხვენილი.

ახალგაზრდები ერთმანეთს ცვლიან, ქვა კი ადგილზე რჩება.

– მიდით, მიდით! – გაჰყვირის უსუფ ეფენდი, – ნუთუ რეჯებაის შემცვლელი არავინაა ამხელა სოფელში?! ნევზეთავ, აბა, შეუტიე! შეგიძლია შენებურაი შეუტიო! არ შეგვარცხვინო!

ჰოდა, დგას ნევზეთაიც ქვის წინ, მოკრძალებული. თვალებს მოხუჭავს. გულში თუ ლოცუ-

ლობს: „ახლა მომხედე, ღმერთო, ნუ შემარცხვენ ამდენ ხალხში და... მიწასთან ნუ გამასწორებ...“ – ითხოვდა ნევზეთაი და ენიშნა ამ დროს, დაიწყეო და ლოდს დააცხრა, ფესვები ღრმად რომ გაედგა მიწაში. „ვერ მომერევი ნევზეთავ და მე მოგერევი მაშინ!“ – ამას ლოდი ეუბნებოდა და ნევზეთამაც შეაჯაჯგურა იგი. მოარყია, მერე თითებით მოეფერასავით, მოეხვია სულგანაბულს, თითქოს და გაცოცხლებულ ლოდს, ამდენხანს უტყვი, უსულო რომ ეგონა. მისი მოხშირებული სუნთქვაც იგრძნო. ხმაც გაიგონა, მიშველე, ნევზეთავ, მომაშორე აქაურობას, ჩემი ღელე მომენატრაო. ამ დროს ღელემაც ამოსძახა ქვევიდან, – ნევზეთავ, დამიბრუნე ჩემი ლოდი, ერთხელაც მივეფეროო.

– აგერ... – სული გაჭირვებით მოიბრუნა ნევზეთამ, – გაბარებ, ღელევ, ამ შენ ქვას! – ამოთქვა და ღელემაც ამოსძახა: – მადლობა, ნევზეთავ, ამას არასოდეს დაგივიწყებო... ნევზეთავ, მინდა ვიცოდე, რას ინატრებდიო? – პასუხის მოლოდინში სუნთქვა შეიკრა ნევზეთამ.

სიხარულისგან მთვრალს პასუხი ვერ ეპოვა, ბრინჯივით დაბნეულიყო, თვალებს აქით-იქეთ აცეცებდა. თვრამეტი წელიც იმ დღეს შესრულებოდა ნევზეთას და სოფელმაც ზარ-ზეიმით გადაუხადა დაბადების დღე.

მეორე დღეს წვევამდელები სამხედრო კომისარიატის ეზოდან „პლაცს“ რომ ეძახდნენ, პირდაპირ თბილისისკენ გაუყენეს გზას, თბილისიდან კი...

* * *

ლადუში:

ეს უკვე მეორედაა ბათუმში. გული ზღვისპირა პარკისკენ მიუწევს.

კედარის ძირში დგას და გული სიხარულისგან უძგერს. კედარს სამჯერ შემოუარა, მერე ხელები შემოხვია ხის ტანს და თითქოს შეერწყაო, იმის სუნთქვას აჰყვა. კედარად იქცა.

ძლივს მოწყდა იმის უზარმაზარ ტანს. ახლა სულმა გაუსწრო წინ და მის თვალწინ გადაიშალა ზღვა. შეაშინა მისმა გრანდიოზულობამ.

ასე იყო მაშინაც. დედამ პირველად რომ ჩამოიყვანა ბათუმში – ზღვისპირა ქალაქში.

„ბათუმელი გავხდები, რომ გავიზრდებიო“, ჩაითქვა გულში და მთელი ეს წლებიც ამ იმედით სულდგმულობდა.

დედამისიც უწინასწარმეტყველებდა, ბათუმში დარჩები მამიდაშენთან: შეხედე ქალაქს და დაიმახსოვრე, მეორე გზობაზე აბა, თუ მიხვდე, რა შეიცვალა ქალაქშიო? ახლა კი აი კალათაი გადმომაღებინე, მომიკიდე, ბიჭო, ხელიო და ლადუშიმაც აბა, რაიო და ბიის მსხლით სავსე კალათა მარტომ გადმოიღო მებარგულის მძიმე ურიკიდან და ბაზრის მთელი სიგრძის ჩაყოლებაზე ერთმანეთთან ახლო-ახლო მიჯრილი ფარდულები რომ იდგა, ერთ-ერთის დახლზე შემოდგა. – ლადუში, აქვე შორიახლო გეიარ-გამეიარე, თვალს წყალი დაალევინე. ამასობაში მეც გავყიდი მსხალს და ზღვაიც ვანახოთ, კაი?

და ლადუშიმაც ისე გეიარ-გამიეარა ბაზარი და ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, თითქოს თოკით ყოფილიყო მიბმული ბაზრის წინ მდებარე გადაფერდებულ ბოძს, წარწერებით რომ იყო აჭრელებული.

კალათი მართლა მალე დაიცალა და იქვე ერთ მიგდებულ მუშათა სასადილოში წაიხემსეს. ბარგის შემნახველი საკანიც მოძებნეს და მთელი მათი ბარგი-ბარხანა იქ ჩააბარეს. „დაჩნის“ ჩამოდგომამდე შეგვინახეთო და ზღვისკენ დააღერეს თავი. კინოში არ შესულან, თორემ უნახავი არაფერი დარჩენია დედა-შვილს, – ლადუში, – ნაძვის ხის ტანს ზურგით მიეყრდნო ლადუშის დედა: – ერთი სული მევითქვა და...

– ზღვაო?! – იკითხა ლადუშიმ შეწუხებულივით. მზე სადაცაა უნდა ჩასულიყო და ზღვა კი უნახავი რჩებოდათ.

– ახლა კი შენი ზღვაიც ვნახოთ! – ეუბნება შვილს დედა და ლენინის ქუჩიდან ბარათაშვილის ქუჩაზე გავიდნენ, – ლადუში, ზღვაი ამ ქუჩის ბოლოსაა.

ლადუშიც იმეორებს გულში: „წავალ წყლის პირას სევდიანი ფიქრთ გასართველად“ და ფიქრიც აქ გაუჩერდება. ვერა და ვერ გაიხსენებს

მომდევნო სტრიქონებს, ამ გაწამაწიაში რომაა, ზღვაც არ გამოუჩნდა?

– აგერ შენი ზღვაიც, ლადუში! შენ კი სად ხარ, ნეტაი? – შეანჯღრია ლადუში და ლადუშიმაც გამოიღვიძასავით, – გააძღე მაი თვალი ზღვაით და... მამიდაშენიც რა ხანია გველის...

– აია ზღვაი? ამხელა წყალი?! – ღვეის წყალზე ხუთჯერ მეტი ძლივს უნდა ყოფილიყო ლადუშის აზრით და ესეც გაზვიადებულად ეჩვენებოდა. გული მომეტებულად აძგერებოდა სოფლელ ბიჭს, სადაცაა ამოუვარდებოდა მკერდიდან და ზედ იჭერდა ხელისგულს.

ჰოდა, ნახა აი ზღვაც და მერე რა წყალი?!

სცადა კიდეც ჰორიზონტს იქით გადაეხედა, ბარე ათჯერაც მოიჩრდილა შუბლი, მაგრამ ამაოდ, ასე შუბლმოჩრდილებულმა უკანაც კი გადაიზნიქა, იქნებ ასე მაინც გადავწვდე ამას იქითო, მაგრამ გაგიგონიათ?! ეს რა უშველებელი ყოფილაო?! შიშისგან გაოგნებულს თვალები აქეთ-იქით გაურბოდა.

დედამ ფეხზე ძალით წააძრო თხელძირიანი სანდლები, შარვლის ტოტებიც აუკაპიწა და წყლისკენაც წაუბიძგა ხელი, თუმცა მეორე ხელით ხალათის კიდეს ჩაფრენოდა, არ წაიქცესო. ასე შეიყვანა ლადუში ამ „უშველებელ წყალში“.

კოჭებამდე რომ შემოწვდათ წყალი, დედამ ხელი მაჯაზე წაატანა ლადუშის, წყალმა არ წამართვასო, თან ყურში ჩასძახოდა: – ამაზე შორს შესული არ გნახოო.

ბიჭმაც აღუთქვა დედას, ისე მოქცეულიყო ამ „უშველებელ წყალში“, როგორც უბრძანებენ, მაგრამ გულში მაინც სხვას ფიქრობდა: „მეიცაი ერთი, პაწაი გევიზარდო და მიფრთხილდი მერე, ზღვავ!“-ო.

ის მაშინდელი დანაპირები ახლა გაახსენდა ლადუშის და თითქოს გულზე ეკალივით უჩვხლიტესო: „ღვეის წყალში კოჭებამდე ვერ ჩავსულვარ და შენში ზღვავ, შემოსვლას რაფერ გავბედავო“.

ფეხზეც გაიხადა, შარვლის ტოტებიც აიკაპიწა მუხლებამდე და კოჭებამდე რომ შემოწვდა წყალი, შედგა. ტორით ამოიღო ზღვის წყალი და პირი-სახეზე შეისხა. სველი თითი პირში ჩაიდო და გაკვირვებულმა უკან გამოიღო, ფუი, ამაზე გიჟდება მთელი აი ხალხიო?! ამიზა იკლავენ თავსო?! – უკან დაიხია და ჩამოიკაპიწა შარვლის ტოტები.

ნაპირზეა უკვე, მუშტი მოუღერა, შენისთანები მოატყუეო. აქ შორეული ფიქრი მოაწყდება, მაგრამ თავისი, მისეული, ლადუშისეული ერთიც არ ყოფილა.

– მაშინ რას ფიქრობდი, თუ გახსოვს, პირველად რომ მნახე? თუკი არ გინდა გაიხსენო, მე მაინც შეგახსენებო და ლადუშიმაც, – შემახსენე... თუმცა გამახსენდა, გულმავიწყიც არ გეგონო და წყალმაც: – აბა, მითხარიო და ლადუშიმაც: – მომწყურდება და შეგსვამ... იქამდე, სანამ წყურვილს არ მოვიკლავო.

– მერე, ლადუში? – მაშინდელივით შემოუწყრა წყალიც.

– ნეტა ასე ვინ დაგამარილა?

– მერე, მერე, ლადუში?

– მაინც შეგსვამო, წყალო! შეგსვამ და მერე ღვეის წყალიც არ მეყოფა პირის გამოსარეცხადო...

– კარგად ყოფილხარ, ლადუში! – დაუგდო ტალღამ და უკუიქცა.

– შეგეშინდაო? – ლადუშიმ და გიჟს ველაპარაკებიო, – უკანმოუხედავად გამოუღრინა ტალღამ. ლადუშის კი თვალი ვერ მოეცილებია ამ უშველებელი ახორხლილი ტალღისათვის. უნდოდა რაღაც მოეფიქრებინა, მაგრამ ამაოდ, ისეთი ვეღარაფერი მოიფიქრა, რომ იმ მიმავალი აგორებული წყლისთვის რაიმე ევნო. ჩაჯდა კენჭებზე და ერთი თავისი „აფორისტული“ ორსტრიქონიანი ლექსი-ჭეშმარიტება მოადგა ენის წვერზე:

„მეხი მეხამრიდის თაგვია,

მეხამრიდი მეხის რაგვია!“ – ისე ჩაიჩურჩულა, რომ არავის გაეგონა და არ მიეთვისებია: – აფორისტულია! ჰო, აფორისტული, აი რუსთაველსაც არ უთქმია!

წამოდგა და ისე გააბიჯა უკან-უკან, რომ თვალი არ მოუცილებია დიდი წყლისთვის: – გაგაკუჭე ხომ?! – თითი დაუქნია წყალს, – გშურს

ჩემი?! – ახლა ბრანწიც უჩვენა წყალს და მიაფურთხა კიდეც, – ოქროს თევზიც რომ მომცე, აღარ შემოვალ ამ შენ ამღვრეულ წყალში!

ზღვის პასუხით არც დაინტერესებულა, მაგრამ მისმა ღრიალმა კი მართლა შეაშინა (შეკრთომა სახსენებლიც არაა აქ).

„ძაღლის ტ...ი შენი თვალებიო!“ – ეს უკვე გულში თქვა. კი არ თქვა, ვიღაცის ნათქვამი გაიგონა და იქითკენ მიაბრუნა თავი, საიდანაც ეს ხმა მოესმა.

– ნუ მიყურეეებ! – ისევ ის ხმა და ახლაღა მიხვდა ლადუში, რომ მას, თვითონ ლადუშის ემუქრებოდნენ.

ეს ზორბა კაცი, მასზე მაღალიც კი, პირველად მებაღე ეგონა, სეკატორით ხელში იდგა ხის ძირში და ზედმეტ ტოტს აჭრიდა ხის ტანს. რჩევის მიცემასაც კი აპირებდა, მაგრამ იმის საცრისოდენა თვალებს რომ გაუსწორა თვალი, გაქცევა მოუნდა, მაგრამ მიწაზე მილურსმული ყოფილიყოსო თითქოს, ფეხი ვერ მოენაცვლებია ადგილიდან. შიშისგან ძრწოდა, ღმერთო მიშველეო, ამოთქვა და ჯადოც ახსნოდესო თითქოს, უკანმოუხედავად მოკურცხლა, – აი გადარეული მართლა მომერევაო! – გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

მას შემდეგ ლადუში საბანაოდ კი არა და ახლოსაც არ გაკარებია ზღვას. „იმ გადარეულს“ გაურბოდა. მაგრამ „იმ გადარეულთან“ (ასე ეძახდა ლადუში ბრინჯოს) შეხვედრა მაინც მოუხდა.

მიდიოდა ლადუში, თავისთვის მიღიღინებდა და „იმ გადარეულს“ არ ჰკიდა თვალი, უადგილო ადგილას დაგდებული ქვა „კას ადგილზე“ რომ გადაჰქონდა.

– დადევი მაი ქვა ძირს! – უბრძანასავით ლადუშიმ „იმ გადარეულს“ და მკლავები აიკაპიწა.

მაშინ „იმ გადარეულმა“ ეს უზარმაზარი ქვა, სამი კაციც რომ ძვრას ვერ უზამდა ადგილიდან, მკერდზე მიიკრა თოთო ბავშვივით და ლომივით ამოიღრიალა: – ჩემიაააა!

ლადუშიმაც ავად შეხედა და „იმ გადარეულმაც“ მთელი ხმით ამოიღრიალა: – ნუ მიყურეეებ!

ჰოდა, ლადუშისაც რაღაც ჩაწყდა გულის კოვზთან და პირშიც ემწარა, დახუჭა თვალები.

– თვალი არ გაახილოოო! – დაუღრიალა იმ გადარეულმაც, – დამიცადეეე... დავდოფ ამ ქვას თავის ადგილზე და შენც მოგივლიო!

ლადუშიმ მაინც გაახილა თვალი და სანამ იი გადარეული თავის ქვას „კას ადგილზე“ დადებდა, მოკურცხლა თავქუდმოგლეჯილივით (ეს უკვე მეორედ).

მაგრამ გულმა უთხრა: „იი გადარეული“ არ მოგდევს და რა მიგარბენინებსო. დადგა, გულზე დაიკრიფა ხელები და თვალთვალი დაუწყო „იმ გადარეულს“.

კანკალმა არა და არ გადაურა ლადუშის და თითქოს საიდანღაც უკარნახებდნენო, გაიმაგრა გული. შენ „მეხი მეხამრიდის“ ავტორს ვინ რა უნდა დაგაკლოსო და კანკალმაც გაუარა, მაგრამ გული მაინც გამალებით უცემდა: „იი გადარეული მეხია, მე კი – მისი მეხამრიდი!“ – ეს უკვე ხმამაღლა თქვა და გამოუჩნდა „იმ გადარეულს“. მაგრამ იმას ლადუშისთვის აღარ ეცალა, ამჯერად იმ პირველზე დიდ ქვას შეჭიდებოდა. ეს უკვე ქვა აღარ იყო, „იი გადარეული“ ლოდს ეჯაჯგურებოდა. ბოლოს მოარყია მაინც, ხელები მოხვია, მუხლებამდე აიტანა და მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, ალბათ ამ ლოდისთვისაც „კას ადგილს“ ეძებდა და ამ დროს ქალაქის თავიც არ წამოადგა თავს?!

– ვინ არიან ესენიო? – ჰკითხავს ლადუში ერთ ჩაჰალსტუხებულს და ისიც დაუზარებლად უპასუხებს: – ლოდთან მორკინალი ბრინჯოა, ხოლო ის მეორე – ქალაქის თავიო.

ჰოდა: – რა გინდაააა?! – დაუღრიალებს ბრინჯო ქალაქის თავს.

– ეს ლოდი იმ მანქანის ძარაზე შემოდე! – უპასუხებს ქალაქის თავიც.

– ტ...ი დააყენე...! – იღრიალებს ბრინჯოც და ამხელა ლოდს შუა ქუჩაში დააგდებს. ხელებს გაითავისუფლებს და ქალაქის თავისკენ დააღერებს თავს.

– ვინ არის ეს გადარეულიო? – ჰკითხავს თავის თანაშემწეს ქალაქის თავი და თანაშემწეც: – ბრინჯოა, შერეკილიო.

ამის თქმა და ქალაქის თავიცა და მისი თანაშემწეც შეიკარგებიან ამ პირდაღებულ ლა-

ბირინთში. ლადუში კი ასე თავდაჯერებული არასოდეს ყოფილა, როგორც დღეს და გულში იმეორებდა თავის აფორისტულ ორსტრიქონიან აფორიზმს:

„მეხი მეხამრიდის თაგვია,
მეხამრიდი მეხის რაგვია..!“

ლადუშიმ ისევ დაიკრიფა ხელები გულზე და ათჯერ მაინც გაიმეორა თავისი სუპერაფორისტულია-ო და იქაურობას გამარჯვებულის იერით გაშორდა. მიუხაროდა აღელვებულს, რომ მისი ბადალი პოეტი დედამიწის ზურგზე არ დაიარებოდა.

„მეხი და მეხამრიდი“ მაშინ ამოთქვა (არ დაუწერია), როცა სკოლის დირექტორმა პატივცემულმა ვოლტერ კ-მ წერილი გაატანა დედმისთან: „მაი აბდალაი ბიჭი სკოლაში მოსული არ ვნახო, გარიცხულიაო. გიჯობს ბათუმში ჩაიყვანო და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ჩვენი ენით რომ ვთქვათ, საგიჟეთში, წოწორიას მიუყვანოთ... სამკურნალოდ“.

გზაზე თანაკლასელები გადაუდგნენ ლადუშის და აიძულეს, ხმამაღლა და გამოთქმით წაეკითხა „მეხი მეხამრიდის“ გენიალური ბალადა და ტაში წინასწარ შემოჰკრეს.

ერთი ათჯერ მაინც ათქმევინეს ლადუშის „მეხი-მეხამრიდი“ და ათჯერვე დააჯილდოვეს მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით.

– ხომ აფორისტულიაო?! – პილპილივით გაწითლებულიყო ლადუში.

იგი აღიარეს თანაკლასელებმა!

– აფორისტულია, აფორისტულიო! – კვერს უკრავდნენ თანაკლასელები, მერე წრეში მოიქცეს: – რუსთაველი არა, მაგრამ ჩვენი ბარათაშვილი ხარო!

– ერთხელ კიდო წაგვიკითხე მაი შენი აფორისტული „მეხი-მეხამრიდი“, – თხოვდა ლადუშის ყურისძირის მეზობელი ტერზემიტაი და ამას დაამადლებდა ლადუში?!

„მეხი მეხამრიდისო“, იტყვის და ტაშის გრიალში ლამის დადნეს ნეტარებისგან.

– აფორისტულია, აფორისტული! – ისმის აქეთ-იქიდან და ლადუშიც, – აფორისტულია, აბა რაო!

სკოლიდან შუადღისას გამოსულმა შებინდებისას ძლივს მიაღწია სახლამდე და დირექტორის წერილი ღიმილით გადასცა დედას.

– ამდენხანს სა ჯანდაბაში და კურმუხეთში იყავი, შე სასიკტილე და „აღარაო!“ – გულში რაღაც ჩაწყდა შეწუხებულ ქალს.

– სა ვიქნებოდი და... – ჩაიბურტყუნა ლადუშიმ, – სა და... ტერზემიტას, ილვერიას და ვესლის ჩემ „მეხს და მეხამრიდს“ ვუკითხავდი, თუ გინდა, შენც გეტყვი.

– შენ კი მოგიკტეს დედაშენი... – მოთქვამდა მართლა შეწუხებული დედა, – გააცინე ხომ ქვეყანა?! – ცრემლებს შეიწმენდს, – ნეტა მუცელში გამწყალებოდი... – ხელის კანკალით გაშლის დირექტორის წერილს და...

ბათუმში ჩაიყვანა დედამ თავისი ლადუში და პატივცემულ წოწორიას წარუდგინა.

პატივცემულმა წოწორიამაც: „შენფერ ბიჭს რა ხანია ველოდი და მართლა არ მომივლინა მამაზეციერმაო?!“ – მართლა გაიხარა, თან ასეც მიმართა უბედურ დედას: – მერე და ამდენ ხანს რომ მიმალავდი ამ ოქროს ბიჭს, რას ფიქრობდი, ჭკუა სა გქონდაო?

ჰოდა, დაეპატრონა პატივცემული წოწორია ლადუშის ამღვრეულ სულს.

ლადუშიმ ზუსტად ხუთი წელი დაჰყო წოწორიას დაწესებულებაში და აქვე ჩამოყალიბდა „ლადუშად“.

– გზა ხსნილია დიდებისკენო! – პატივცემულმა წოწორიამაც მხარზე დაადო ხელი თავის მარად პაციენტს და უბრძანა: – ცხოვრების გზაზე რომ შედგები, უკან აღარ მოიხედო! – ავადმყოფობის ისტორიაში კი ასე ჩაუწერა: „დიდების მანიით შეპყრობილი ლადუში და მისი გზა!“-ო.

ენვერაი და მისი არც თუ ისე ჩვეულებრივი დღე:

(ამბავი I)

ბაზრიდან დღეში რამდენჯერმე გამოჰქონდათ ნაგავი. ამის უსტაბაში ენვერაი იყო თავის ჯემალაითა და ზურიაით.

– აბა, ჯემალავ, ზურიავ, გეყვენ ნებივრობა! – შეუწყრა თავის თანაშემწეებს და ერთსაც და მეორესაც თავზე სათითაოდ გადააფარა მათი სიგრძე ცელოფანის პარკები. – აი ნაგავი აქზე არ დევნახო, თვარა დიმიდგეს თვალები, თუ...

იმათაც ძლვის ჩაატიეს ნაგავი ე. წ. „ენვერაის ნეშოკებში“ და ენვერას მიაშტერდნენ მორიგი ბრძანების მოსასმენად.

კი „მეითქვამდნენ“ სულს, მაგრამ ენვერაი რის ენვერაი იქნებოდა, რომ სული მოეთქმევინებინა თავისი მოჯამაგირეებისთვის?!

– აბა, ჯემალავ, ზურიავ, სადაა ჩემი ტაჭკა? – სული მოითქვა და: – თქვენ კიდე აქ ბრძანდებით?! გაქრით! – ჰოპაო, – შესძახა და „შუუხტა“ კიდეც.

იფრინეს ჯემალამაც და ზურიამაც და ენვერას ტაჭკაც მოახრიგინეს, ორივე მხარეს „ენვერი“ რომ ეწერა დიდი ასოებით.

ოფლის ღვარში გახვითქულიყვნენ ჯემალაი და ზურიაი.

– დეიგვიანეთ?! – დასჭყივლა ენვერამ, – ბლაყვი ხარ შენ, ჯემალავ და შენ, ზურიავ... – წამით ჩაფიქრდა და გაუბრწყინდა თვალები: – კაი აბდალაი! აბა, ხელები ჩამოართვით ერთმანეთს და... ახლა საქმე! ჯემალავ და ზურიავ, ფიქრის დროა ახლა?! გშპებათ სული? ამეიღე ხმა, ზურიავ, შენც – ჯემალავ! შენ რას იტყვი, ზურიავ?

– აფერს!

– რაფერ აფერს, ზურიავ? – უკვირს ენვერას, – ხომ ხედავ ჯემალას, ჯილდო ელანდება! ჯემალავ, მართლა გინდება ჯილდო?! – იცინის თავისთვის, – აბა, ზურიავ, რას გავს ახლა ჯემალაი?

– ჟვერს!

– ჟვერი ხარ შენც, ზურიავ... ჯილდო გინდებან? – ფეხები დააბაკუნა მიწაზე, – აი „ნეშოკები“ კიდვენ ძირში ყრიან?!

ჯემალამ და ზურიამ შეთანხმებულებივით ერთდროულად აიჩეჩეს მხრები, ვერ მიმხვდარიყვნენ, რას ემართლებოდათ ენვერაი, არაფერი დაუშავებიათ და ენვერაი კი უწყრებოდა ორივეს.

– ჰოპა! – „შუუხტა“ ენვერაი და ჯემალაი და ზურიაიც ეტანკნენ თავთავიანთ „ნეშოკებს“ და „ტაჭკაც“ აჭრიალდა სიმძიმისგან.

ჯემალამ წელზე მოისვა ხელი, მაგრამ ენვერაის შიშით აღარ ამოუკვნესია, ზურიამ კი ამოხვნეშა მხოლოდ, მაგრამ წელზე აღარ მოუსვამს ხელი.

– ჯემალავ! – გაწყრება ენვერაი.

– კიდვენ გიმიწყრანა!

– ბლაყვი ხარ, ჯემალავ! კინაღამ ზურიაზე აბდალაი! – „შუუხტა“ ენვერაი და ახლა ზურიასკენ შებრუნდა: – ზურიავ, – აბდალაი ხარ შენ, ჯემალაზე ბლაყვი!

– ახლა? – იკითხა ზურიამ.

– ახლაო, მეკითხები კიდვენ? – აღშფოთდა ენვერაი, – აქზე უნდა იდგეს ტაჭკა? ვერ ხტებით, რანდა ქნათ?

და ზურიაც გადაუჩურჩულებს ჯემალას: – უნდა გუუძლოთო.

– მერე და არ უძლებთნა? – ამოიხველასავით ჯემალამ.

– ბუნტ! – იკივლა ენვერამ და ჯერ ჯემალას დაუქნია თითი, მერე – ზურიას, – არ იცით რანდა ქნათ? – ენვერამ „ტაჭკას“ დაადგა თვალი: – ჯემალავ, ამ ტაჭკამ რანდა ქნას?

– გაგორდესნა...

– ხოდა, შენმა ჯერმა მოვდა, ჯემალავ! პირველი შენ ხარ! შენ კი, ზურიავ... ბლაყვია მაი შენი ჯემალაი, შენ კი, ზურიავ, აბა, თუ მიხტე...

ზურიაი დუმს და ენვერაიც გადაუძახებს ჯემალას, – ზურიაი დიმიხასიათე, ჯემალავ!

– ამას რა მიხტენა უნდა, ენვერავ... განა არ იცი, რომ ზურიაი ჩვენი აბდალაია?! შენი აბდალაია?!

– ჯემალავ, მაი შენი ენა ძაღლის ტ...ი, კაი? – იცინის ენვერაი თავისთვის და ფიქრი გულში გაუგრძელდება: „ჯემალავ, შენ კი ჩემი ბლაყვი ხარ“, – მრისხანედ გახედა ენადგაკერფილ ჯემალას, რაღაცას რომ უმტკიცებდა თავის აბდალა მეწყვილეს, – Эй, там, разговорчики!

– მივხტი, უფროსო, გევგონე, – წელში გასწორდა ჯემალაიც, მერე „მეტაჭკის“ პოზაში ჩა-

დგა, მთელი ძალით დაეძგერა თავის „ტაჭკას“ და უკან მოისროლა ყურის გამაყრუებელი გრუხუნი.

– პავაროტამდე, ჯემალავ, უკან არ მეიხედო, წინ, წინ! ერთი, ორი, სამი და ოთხი, – ითვლის ენვერაი, – ზურიავ, რომ დიგიღია მაი პირი, ბუზი არ ჩიგივარდეს შით! უუწყვე ფეხი ჯემალას, შე მართლა, აბდალავ! – დარჩენილ სათქმელს კი გულში გააგრძელებს: „ჯემალას თავი ჭკვის კოლოფი გონია... აბა მე მკითხოს?! ზურიავ, შენზე აბდალაია ბლაყვი ჯემალაი!“ – გულში უხარია ენვერას და დოინჯშემოყრილი დენდივით მიჰყვება თავისი ტაჭკის გრუხუნს, მაგრამ დაუშვებენ კი ამას ენვერას თითებით ერმანეთისკენ მიზანდასახულად მიმართული დაღრეკილი ფეხები, ცალი ქუსლი დასავლეთით რომ მიუქცევია, მეორე კი – აღმოსავლეთით. – ერთი, ორი, სამი, ოთხი... გეიგონეთ?

და ჯემალამაც გაიჭირვა, ენვერაის ტაჭკა მიახრიგინა „პავაროტამდე“ და დადგა. გაოფლილი შუბლი ხელისგულით შეიწმინდა და ენვერასკენ მიბრუნდა.

დადგა ენვერაიც და მაღლა ასწია მარჯვენა ხელი: – ზურიავ, ახლა შენმა ჯერმა მოვდა! – თვალი დახუჭა და იმწამსვე გაახილა: – ზურიავ, შენ კიდვენ აქზე ხარ?! პავაროტამდე მარშ! – ბრაძანა და ხელი იმ ადგილზე მოისვა, სადაც გული ეგულებოდა, სიხარულისგან თვალები აუცრემლიანდა. გუშინ ნახა ფილმი „ალბანეთის დიდი გმირი სკენდერბეგი“ და უნებლიეთ გაუელვა „სკენდერ ბეგი მკტარი იყოს და ჯემალაი და ზურიაი – ცოცხალი?!“ – წინ გაიხედა და თავის ტაჭკაში შებმულ ზურიას წამოეწია ფიქრით.

ტაჭკა კი მიხრიგინებდა ქვაფენილზე და ენვერამაც ყურები დაიცო თითებით: „ყურები არ წეიღო ზურიას ხმაურმაო. დეისჯება ჯერ ჯემალაი, მერე – ზურიაიო! ხრიგინის გულიზა...“

ზურიამ როგორც იქნა ორი ქუჩის კვეთამდე მიახრიგინა ენვერაის ტაჭკა და ხრიგინიც შეწყდა.

– არ მეისვენა ყურებმაო?! – ამოიკნავლა ენვერამ.

ზუსტად ორი ქუჩის კვეთაში ელოდებიან ენვერას ჯემალაი და ზურიაი.

ზურიამაც რის ვაივაგლახით მოაღწია დათქმულ ადგილამდე და მარჯვენა ხელი მაღლა შემართა ენვერამ: – ჯემალავ, ეიხედე მაღლა და წიმიკითხე რა წერია?

ჯემალამაც აიხედა მაღლა და წაიკითხა: – აქზე ნაგავს ნუ დაყრითო...

– ხოდა, რანდა ქნა, ჯემალავ?

და ჯემალაიც ჩაფიქრდა: – აქზე ნაგავი არ დეიყრება?

– ამას კითხვა უნდა ჯემალავ?

– აბა, რანდა ვქნა?

– ჯემალავ, ფიქრი უნდა ამას?!

ჯემალასაც უცებ გაუბრწყინდა თვალები, – მივხტი, ენვერავ... იგერ, ჩემს პირდაპირ სანაგვე რომაა... – ამოიძახასავით, ზურგზე მოიგდო თავისი წილი ნაგვის „ნეშოკი“ და სანაგვისკენ წაბარბაცდა.

– ჯემალავ, მაი ცელოფანი კიდვენ დაგვჭირდება, იცოდე! – ისევ ბრძანებს ენვერაი და ახლა ზურიას მიაშტერდება: – რას ფიქრობ, ზურიავ, ამ შენ კედელს რა აწერია?

ზურიაც ახედავს თავის კედელს: – ნაგვის დაყრიზა ჯარიმა... ო... ეგერ ჩემი სანაგვეც, ჯემალასავით ბლაყვი არ გეგონო, ძლივს რომ აღმოაჩინა თავისი სანაგვე...

– ზურიავ, разговорчики! საქმე, ზურიავ, საქმე!

ზურიამაც წამოიკიდა ზურგზე ის თავისი წილი „ნეშოკი“ და სანაგვისკენ წაბარბაცდა, მაგრამ ზურიაი შეცბა, – რომ დამაჯარიმონ?

– ბეჩი ხარ, ზურიავ, ჯემალასავით, თუ კედლის ძირში არ დაყრი ნაგავს, რაფრა დაგაჯარიმებენ? მერე რა გაქ, რომ გედეიხადო?! – ჩაიხითხითა და – ჯემალავ, ერთი მეიხედე ენვერასკენ! ხედავ, რა აბდალაია ზურიაი, მაგრამ შენც კაი ბლაყვი ხარ იცოდე და разговорчики! გეყვენ!

და ბაზრისკენ გზა ხსნილი ჰქონდა ენვერას ტაჭკას.

– ენვერავ... – ხელები გაშალა ჯემალამ.

ენვერას რაღაც გაახსენდაო თითქოს, დასძახა „ჰოპა“ და შუუხტა კიდეც. ჯემალაი კი ელის, არ იცის რას.

ენვერაი ხმამაღლა იცინის, პაწია მჯიღს მკერდზე იცემს და ზურიას მოუხმობს: – თუ მიხტი, რანდა ქნა?

ზურიაც მიუხვდა ენვერას. ფრთხილად აიყვანა ხელში და ასევე ფრთხილად დაუშვა „ტაჭკაზე“.

– ზურიას პრემია: ორი პამიდორი და ერთი კიტრი!

ჯემალაი კვდება სიცილით. მერე სახეზე აიფარებს ორივე ხელს და ზურიას ზურგს შეაქცევს, მაგრამ ისე, რომ ენვერაი ვერ ხედავდეს.

– ზურიას, ჯემალავ, შენ ჯინზე – პრემია, ფულადი, ჯემალავ, მაგრამ არც შენ დაგტევ უპრემიოდ... – აქ ცოტა ხანს ჩაფიქრდება და „ჰოპას“ შესძახებს, – მევიფიქრე, ჭოვ. ის პამიდორი ორი ცალი და კიტრი, ზურიამ შენ გადმოგცეს, გეიგეთ?! ჯემალავ, რა ვთქვი მე, შენმა ჯერმა მოვდაო?! დაგავიწყდა?!

ჯემალამაც ტაჭკის სახელურებს მოუჭირა თითები და წელამდე აიტანა. აქ ფიქრმაც უწია: „ახლა თვითონ ენვერაი ახრიგინდებაო“ და ტაჭკაც დაძრა ადგილიდან.

– ნელა, ჭოვ! – იძახის ენვერაი დრო და დრო, მაგრამ აზრად არ მოუვა, გაჩერდიო, უბრძანოს ჯემალას, ზურიამ კი ტაჭკიდან გადმოსვას.

და ასე რიგ-რიგობით მოახრიგინებენ ენვერას ჯემალაი და ზურიაი; აბა, რა იციან, რომ უჭირს ტ....კდალილავებულ ენვერას, მათ კი ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა – ქალამნად, მაგრამ ახლა ენვერასაც ჰკითხეთ, რა ჭირს და რას ფიქრობს?!

მემატიანემ ხომ ზუსტად აღწერა ასე თვალდახელშუა გათამაშებული სცენა და სრულად გადაიტანა თავის „ქითაბში“, მიხატ-მოხატა კიდეც თავისი უხილავი ფუნჯით და უკვდავყო ენვერაის იმდღევანდელი „ვოიაჟები“.

ჰო, კინაღამ არ გამოგვრჩა?!

იმდღევანდელთან გამომშვიდობებისას კი დასძახა ენვერამ „ჰოპაო“, მაგრამ ვეღარ „შუუხტა“ თავისებურად და მთელ ამ ამბავსაც პენწი მიაკლდა თავისებური...

ენვერაი და ლადუში:
(ამბავი II)

– ლადუში, სა ხარ, ხმა ამეიღე, ბიჭო! – ელისაბედ მამიდაა რომ ეძახის. ლადუშიმაც გააზმორა, – რა იყო ბაბიდაო? – ამოიღრინა ლადუშიმ, – რა იყო ბაბიდა? – საბოლოოდ გამოფხიზლდა, – აქანაი ვარ, აბა, სა ვიქნები?

ელისაბედ მამიდამაც შემოაღო კარი და შემოიხედა, – ლადუში, ქენი სიკეთე და... – სული შეუწუხა ამ „სასიკტილე ასთმამ“ და ღრმად ჩაისუნთქა, – აი ნაგავი მომაცილე აქიდან, თვარა საცაა ავყროლდებით...

ლადუშიმ ისევ გააზმორა ნებიერად, წამოდგა როგორც იქნა. ასევე უხალისოდ წაატანა ხელი ნაგვით გაბესქნილ ცელოფანის პარკს და თავჩაქინდრული დაეშვა ხისსაფეხურიან კიბეზე.

„ბაბიდაიც ამფერი უნდა... – წამით შედგა კიბის საფეხურზე, – ეს მეშვიდე საფეხურია ზეიდან და იმ პირველ დაუმთავრებელ ფიქრსაც გააგრძელებდა, მაგრამ თვითონ ის ფიქრი გადაავიწყდა, ჰოდა, ჩაათავა საფეხურები და იტალიურ ეზოში აღმოჩნდა. გადაიარა ისიც და ქუჩაც შემოეგება, „გამარჯობა“ ლადუშიო და იმანაც „გაგიმარჯოსო!“

ჰოდა, მიდის ლადუში ფილაქანაყრილ ტროტუარზე და წინ და უკან მიათამაშებს „ბაბიდაის ნაგავს“, „ბაბიდაიც ამფერი უნდა... ჩემი სიკტილის მერე აი ყორისფელი შენ გრჩება და... რაფერ არ შემეხიდები, გაანძრიე მაი ხელები, პაწაი წამომეშველე, სული რომ მევითქვა... მამადლებს კიდეც, აი ბინა შენ გრჩებაო... აფრენ შენ, ბაბიდაო“ და გახედავს გზას, ლადუშის აფერი არ ეშლება, კარგად ახსოვს ის სანაგვე, ორი ქუჩის კვეთაში რომ ეგულება, – ორი სანაგევა... – ისიც გაიხსენა, ორი კედელი მართ კუთხეს რომ ქმნის... – ერთ კედელზე „აქზე ნაგავს ნუ დაყრითო“ აწერია, მეორე კედელზე კი: – „ნაგვის დაყრიზა ჯარიმა“ ბაბიდაის ნაგავი ამ... ნომერ მეორე სანაგვეში უნდა ჩეიყაროს, მაგრამ სანაგვეები რომ კედლებისგან მოშორებითაა? ლადუშის აფერი არ ავიწყდება! ბაბიდაი

კი... კარგათ არ მიცნობს მე, „მეხი-მეხამრიდის“ დამწერს... რა ჩემი საქმეა ნაგავი?! პაწაი ჭკუა რომ ქონდეს... – შეეზარა აზრის ბოლომდე მიყვანა და სხვა ფიქრზე გადაერთო. ფიქრები კი გიყვარდეთ, იმდენი „ქონდა“, რომ მთელ გურიაა-ჭარას ეყოფოდა.

შედგა და მოეჩვენა, იელვაო თითქოს, ყურად და თვალად იქცა, ელოდა მეხის გავარდნას და: „მეხი მეხამრიდის თაგვია...“ – ამბობს გულში იმიტომ, რომ არავინ გაიგონოს, თორემ ყველგან არიან დადარაჯებული უნიჭო პოეტები, რომ მისი აფორისტული სტრიქონები მოპარონ ლადუშის და ისევ გულშივე გააგრძელებს: – „მეხამრიდი მეხის რაგვია!“ მაინც რაფერ დამებადა ამფერი აზრი? აფორისტულია აბა რა?! – თავისი სიდიადით აღფრთოვანებული ლადუში პირს მოკუმავს, რომ მერე დააღოს „აფორისტულის“ ამოსათქმელად. – მერე ლადუში? – იკითხავს თავისთვის და წინ გაიჭრება „ბაბიდაის ნაგვიანად“, მაგრამ „ვინც იჩქარაო?“ – მეორე გულია, რომ ეუბნება და ნაბიჯს შეანელებს, – რა მეჩქარება, რომ აღარ ვიცი?! – თავის თავზე გაეცინება, – მეც კაი სულსწრაფი ვინმე გამოვდივარ, – გაშლილ ხელს შუბლზე იტკიცებს და მიმოიხედავს ირგვლივ, ვინმე ხომ არ დამცინისო?!

ამასობაში იმ კედელსაც მიადგა, „ნაგვის დაყრიზა ჯარიმაო!“ რომ ეწერა და შეცბა, მართლა რომ დამაჯარიმონო?! – კედლის მოპირდაპირე მხარეს, ასე: ხუთიოდ ნაბიჯის მოშორებით დიდ სანაგვეს დაადგა თვალი და თითი დაუქნია, შენ არ მოგცემ „ბაბიდაის ნაგავს!“ – და იმ მართი კუთხის მეორე კედელთან გადაინაცვლა: მაღლა აიხედა და კითხულობს „აქზე ნაგავს ნუ დაყრით!“ აქედან ხუთ ნაბიჯზე მეორე სანაგვე რომ იყო, იმისთვის თითი არ დაუქნევია, ისე მიუახლოვდა „ბაბიდაის ნაგვითურთ“ – ამ სანაგვეში ჩეიყრება „ბაბიდაის ნაგავი!“ – ბრძანასავით. ამ დროს ენვერაიც მოსულიყო თავისი ტაჭკით. ჯემალაი და ზურიაი სულს ძლივს ითქვამდნენ. ენვერამ ახლა ზურიაი გამოხსნა უღლიდან და: „საბალახოდ მერე გაგიშვებთ შენც და ჯემალასაც, საქმეს რომ მორჩებითო“. ახლაღა შენიშნა აი აყლაყუდა და ორი ნაბიჯით უკან დაიხია, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით აღიქვა მოწინააღმდეგე: – ჭოვ, რომ ახრონგილხარ ამსიგრძე, არ უნდა იცოდე, რაა შენი და რაა სხვისი? აქზე ჩემი ნაგავი ჩეიყრება! – მიწაზე დაკრა ენვერამ თავისი დაღრეკილი ფეხი, – იქზეა შენი სანაგვე, ნაგავო!

ნაგავოო?! – ენვერას მივარდა ლადუში, ხელები მოხვია, აიტაცა მაღლა და იმ სანაგვეში ჩაუშვა, რომელსაც ედავებოდნენ. კი ჩაუძახეს ენვერას „საკუთარ სანაგვეში“, მაგრამ ეს ამოავსებდა ენვერაის სანაგვეს?!

– ჭოოვ, არ იცი, ვინაა ენვერაი?! ენვერაი ამას არ შეჭამს! – ამოიყვირა სანგვის ფსკერიდან, – სამართალი, სამართალიო!

– მე შენ გაჩვენებ სამართალს! ენვერაი ხარ? მერე რაი, რომ ენვერაი ხარ?! – აიღო „ბაბიდაის ნაგავი“ და ზედ თავზე გადაამხო ენვერას, – აი შენი სამართალიცო!

– სამართალს, სამართალს ვითხოვო! – ამოჰკიოდა ენვერაი სანაგვის ფსკერიდან.

– სამართალიოო... – ახლა ჯემალას და ზურიას მიუბრუნდა ლადუში, – რომ გაყურსულხართ, რას ფიქრობთ, ეიღეთ თქვენი ნაგავი და დააყარეთ ენვერას!

ჯემალაიც და ზურიაიც ისე მოიქცევიან, როგორც უბრძანებენ და ახლაო? – მიაჩერდებიან ლადუშის.

– ახლა? არ იცით, რაფერ მეიქცეთ?! ენვერაი რაია თქვენი? პატრონი?! აბა, რაღას უდგახართ?! ენვერავ, დუუძახე ამ ბლაყვებს, თვარა არ იციან, რა ქნან?

– ვიცით, ვიცით! – ჯემალამ სანაგვისკენ წაუბიძგა ზურიას. ზურიაიც ახტა და სანაგვეში ჩახტა. მერეო?! – დაუღრიალა ლადუშიმ ჯემალასაც და რანა ვქნაო, ხმის კანკალით იკითხა, – თუმცა მივხტი, მივხტი, უფროსო, იგიც ენვერასავით „შუუხტა“ და სანაგვეში მოადინა ზღართანი.

– სამართალი, სამართალი! – ითხოვდა ენვერაი და ლადუშიც ჩააფიქრა ამან.

– მივხტი, აბდალი ხომ არ ვარო?! – თვალები გაუნათდა ლადუშის. ბარე სამჯერ შემოუარა ენვერაის სანაგვეს. დაბნეული ჩანდა.

– სამართალი, ჭოვ, სამართალი! – ხმა ჩახრინწოდა ენვერას, – ამომიყვაი, ჭოვ,. თვარა... – იმუქრებოდა, – სამართალი...

– სამართალიო?! – ამოიღმუვლა ლადუშიმ, – ახლავეო, მივარდა იმ სანაგვეს, ჯარიმით რომ იმუქრებოდა, – ზედ მოექცა და თავისი „ბაბიდას ნაგვითურთ“ შიგ ჩახტა. შუბლით უკვე თავისი სანაგვის ფსკერს შეეხო. – ენვერავ, გესმის ჩემი და იმანაც: – გევგონეო, მაგრამ სა ხარ, არ ვიციო!

– ჩემ სანაგვეში ენვერავ... სამართალი გავაჩინეო!

– კაი, ჭოვ... – სულ წაერთვა ხმა ენვერას, მაგრამ თავისი „ჰოპა“ გულში თქვა უკვე და შეხტომითაც ვეღარ „შუუხტა“, ხმაც საბოლოოდ ჩაუხჩა.

და შეშინდა ლადუშიც, ხომ არ კტება ენვერაიო და წამოდგა, მხრები შეარხია, ჩამოიცილა ნაგავი და ამოხტა სანაგვიდან. სანაგვეში ჩაიხედა: – მეხამრიდი მეხის რაგვიაო! – ხმას დაუწია.

ენვერაი კი ფიქრობდა: „თუ დააპირე, ჭოვ, მაქიდან ამოსვლა, არც ენვერაი დაგავიწყდესო“ – და მიუვიდა ფიქრი ლადუშის. ენვერაის „მოვდაო!“ კი ყურებში აუბჟუვდა.

მოვდაო, ლადუშიმაც და სანაგვიდან „ამოაპწიალა“ ენვერაი.

– ჩვენო? – ერთხმად ამოიძახეს ჯემალამ და ზურიამ და ლადუშიმაც: – რაფერც ჩახტით, იმფერ ამოხტითო!

დგანან ენვერაი და ლადუში და თვალს არ აცილებენ ერთმანეთს.

– აი რაფერი სუნი გაქ, ჭოვ? – ცხვირზე აიფარა ხელი ენვერამ, – წეიქცევა კაცი!

– შენ ხომ დუხის სუნი აგდის, ენვერავ?! – იცინის ლადუში, – არ თქვა ახლა..

– რანა არნა ვთქვა?

– არც რაი... – ჩაიდუდუნა ლადუშიმ ცხვირში და მერე აღარაფერი უთქვამს.

არც ენვერაი იყო ლაპარაკის ხასიათზე.

ერთი იქით წავიდა, მეორე აქეთ წამოვიდა.

მიწა ვერც კი გრძნობდა ენვერაის სიმძიმეს. მძიმედ მიაბიჯებდა ლადუში, მაგრამ ერთსაც აგვიანდებოდა და – მეორესაც.

საითკენ, ენვერავ და საითკენ, ლადუში?

* * *

ისევ ბრინჯო:

შინ გაბრაზებული ბრუნდებოდა. ქალაქის მერიის შენობის მოპირდაპირე სახლის წინ, ტროტუარზე, სწორედ რომ „უადგილო ადგილზე“ უზარმაზარი ლოდი ეგდო. გამვლელ-გამომვლელი იძულებული ხდებოდა, გვერდი აექცია მისთვის, თან მერიისკენ გაიხედავდა და გულში შეაგინებდა მერსა და მის მხედრიონს, რას უყურებთო?!

ბრინჯომაც გვერდი აუარა ლოდს, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და ლოდისკენ მუშტებშეკრულმა გასწია. სადღაც რომ მიეჩქარებოდა, ეს სულაც ამოუვარდა თავიდან.

ლოდს ახედ-დახედა, ეს ვინ მამაცხონებულმა მოათრიაო, მერე ირგვლივაც შემოუარა, თვალით წონიდა, მე მოვერევი თუ ეს მომერევაო? რაღაც არ მოეწონა და ლოდს გაუბრაზდა: – რას მიყურეებ?

– თვითონ ნუ მიყურეებ? – გამოეპასუხა არანაკლებ გაბრაზებული ლოდი და ბრინჯოსაც სისხლი აუვარდა ტვინში. დაიხარა ლოდისკენ და შეანჯღრ-შემოანჯღრია. ლოდიც დაჰყვა მის ნებას და ბრიჯომაც იცოდა უკვე, რომ ისე მოაქცევდა ლოდს, როგორც მოეგუნებებოდა.

წელში გასწორდა, ღრმად ჩაისუნთქა, ხელები შემოხვია ლოდს, მაგრამ გაუჯიუტდა ლოდი: – თავი დამანებეეე!

– არ დაგანებეეებ! – შეჰყვირა ბრინჯომ და გაჯიუტებული ლოდი მოწყვიტა ადგილს, მუხლებამდე მიიტანა და კბილებში გამოსცრა: – ხომ დამნებდიო!

ლოდს ხმა აღარ გაუღია და ბრინჯომაც ტროტუარის კიდემდე მიათრია. იქ დადგა და ხელი უსულგულოდ გაუშვა. ბრინჯო გამარჯვებას ზეიმობდა.

– ნუ დამცინიიი! – ამოუბღვირა ლოდმაც და ბრინჯომაც აწია ხელები: – არ დაგცინიიი!

– კაი, მაშინ ნუღარ შემაწუხეეებ! – ლოდის თხოვნაში ბრძანებაც იგრძნობოდა, მაგრამ ბრინჯოს ამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

ორივე გაირინდა: ლოდიც და ბრინჯოც.

და ბრინჯოსაც მოეჩვენა, რომ თვითონ ლოდი იყო და ლოდი კი – ბრინჯო. მისი შეშურდა, მაგრამ ამ დროს ვიღაც არამკითხე-მოამბის ხმა ესმა: – პატივცემულოოო!

ბრინჯო არც მიბრუნებულა მისკენ: – ნუ მაწუხეეებ!

მაგრამ რომ აღარ მოეშვნენ ბრინჯოს: – რა გინდაა? – ახლაც არ მიბრუნებულა ბრიჯო იმ არამკითხე-მოამბისკენ.

– ლოდი თავის ადგილზე არ დევს!

– ფიქრს ნუ მიშლიიი! – ახლა კი შებრუნდა ბრინჯო იმისკენ, ვისაც გადაეწყვიტა ჭკუა ესწავლებინა ბრინჯოსთვის.

– ეს ლოდი აქ კი არა... – სიტყვა არც დაემთავრებინა ჰალსტუხიან ინტელიგენტს, რომ ადგილზე შეხტა ბრინჯო: – ინტიგლენტოო! – ბუღასავით ამოიღმუვლა და ინტელიგენტისკენ შებრუნდა მთელი ტანით.

– ვინ ხააარ?! – ხელები გაშალა ბრინჯომ და ინტელიგენტმაც მოუსვა ადგილიდან, მაგრამ შედგა და ბრინჯოსთვის ერთი კითხვის დასმა მაინც მოასწრო: – დანარჩენები სად არიააან?!

– ვინ დანარჩენებიიი?! – ამოთქვა ბრინჯომ და იმ ინტელიგენტს ქალაქის მერიაში რომ არ შეესწრო, კაი დღე ნამდვილად არ დაათენდებოდა.

აბა, ბრინჯოს რა საქმე უნდა ჰქონოდა შაბათობასთან, რომელიც ქალაქის მერს სწორედ დღეისთვის დაენიშნა.

– ტ...ი დააყენეეე! – მუშტი მოუღერა ქალაქის მერიას ბრინჯომ და გაეცალა იქაურობას.

იმ დღეს ბრინჯომ ფეხით შემოიარა მთელი ქალაქი, მაგრამ ხელი არაფრისთვის დაუკარებია. სიცოცხლის ხალისი იმ ლოდთან დარჩენოდა.

მზე კაი ხნის ჩასული იყო. შინისაკენ ბრუნდებოდა ბრინჯო.

აგერ მისი კორპუსიც. ბრინჯოს ამ კორსპუში აქვს ერთოთახიანი ბინა, მესამე სართულზე. შედგა და თვალით ზომავს ხუთსართულიან კაპიტალურ შენობას.

მეორე სადარბაზოსთან დაქირავებული მუშები მიწისქვეშა სამუშაოებს ასრულებდნენ.

– ნუგზარავ, რა ხდებაააა? – იკითხავს ბრინჯო.

– სარდაფს ვაშენეეებ... – იყო მოკრძალებული პასუხი.

– შევკეთაი რომაა შენი მეზობელი, მასაც რომ უნდა სარდაფი ამ ადგილზეე?! – ნუგზარას ბრინჯოსთვის არ ეცალა და ბრინჯომაც ფარდულს მიაშურა. დაჯდა მრგვალ სკამზე და:

ფიქრობს აღარაფერზე.

კარგა შებინდებულიყო. ეზოში არავინ იყო ბრინჯოს გარდა.

შინ შესვლას აპირებდა, რომ შევკეთას მოჰკრა თვალი. უცხო ხალხს ელაპრაკებოდა. მერე იმ უცხოებმა საბარგო მანქანიდან კლდის მონაგლეჯი ლოდი გადმოაგორეს და იმანაც ბრაგვანი მოადინა მიწაზე. „იმ ლოდზე დიდია, დღეს რომ მოვერიე“ – გაიფიქრა ბრინჯომ და შევკეთას და იმ უცხოებს ეჭვის თვალი შეავლო, – რა ჩაუფიქრებიააათ? – თავის თავს დაეკითხა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, მხრები აიჩეჩა: „ნუგზარაი აზრზე არაა, შევკეთაი კი... უკადრებელს იკადრეებს! – უზარმაზარი მუშტი მკერდზე დაიბრაგუნა, – შევკეთავ, შენსას არ გაგატანიეეებ!“ – ამოიძახა და როცა უცხოები მოშორდნენ იქაურობას და მერე შევკეთაიც აორთქლდა, იმ კლდის ჩამონაგლეჯთან ჩაიმუხლა ბრინჯომ: – ეს რამხელაააა? – ამოიძახა და დაეძგერა, წამოსწია და ერთხელაც არ შეუსვენებია, მესამე სართულზე აიტანა და შევკეთაის კარს მიაყუდა: – შევკეთავ, ვნახავ, რაფერ გამოხვალ გარეეეთ?! – რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენას კბილები დააჭირა, რაიმე ისეთი არ წამოსცდენოდა, მერე სინდისის ქენჯნას არ შეეწუხებია. ფეხის წვერებზე შემდგარი შევიდა თავის ბინაში, თავი ბალიშზე მიდო და მკვდარივით ჩაიძინა. ენვერაი და ლადუში ესიზმრა, ხელიხელგადახვეულები რომ მიიმღეროდნენ ხულოს ქუჩაზე.

დილას ხმაურმა გამოაღვიძა.

ყველაფერი გაახსენდა: –შევკეთავ, ვერ გააღე კარი?! – იცინის ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად, – ხომ დეისაჯეეე?!

ბრინჯო გარეთ გამოვიდა და რას ხედავს?! კარი რომ ვეღარ გაეღო შევკეთას, სულ ნაჯახით აეკუწა. იდგა შევკეთაი შეწუხებული და ღმერთს შესთხოვდა, სამაგალითოდ დაესაჯა სულწაწყმედილი, – დაინახა ბრინჯო და თხოვა, აი კლდე გადამაგორებიეო.

ბრინჯო კი უფრო თავისთვის, მაგრამ მაინც შევკეთაის გასაგონად იტყვის: – მე ვინ შემაშველა ხელი აი ლოდი მესამე სართულზე რომ ამომქონდაო?!

– აი, რა მიქენიიი?! – დააწია შევკეთამ კიბეზე არხეინად ჩამავალ ბრინჯოს.

– რაც არ გერგება, არ შეგერგება! – ამოიღრინა ბრინჯომ და სულმოუთქმელად ჩაათავა კიბეები.

– გიჩივლეეებ! – დააწია ბრინჯოს შევკეთამ და ბრინჯომაც: – მიჩივლეეე!

– ციხეში ამოგალპობეეენ!

– დეიჯერეეე!

– თუ კაცი ვყოფილვაარ!

– კაციიი?! – იცინის ბრინჯო, – შენთვის არ მცალიااა!

ისევ და ისევ: ბრინჯო:

იჯდა ფეხებწაჭრილ სკამზე და თავს უბრძანებდა თავის წარსული ცხოვრებიდან გაეხსენებინა რამე. ღმერთო, შესთხოვა მამაზეციერს და თვალწინ დაუდგა ის დღე, როცა სოფლის ცენტრში, დიდ მოედანზე, შაბათობით, ახალგაზრდებს შორის რომ იმართებოდა შეჯიბრება ჭიდაობაში, სოფლის ხელმძღვანელობას წვევამდელებისათვის მოეყარა თავი.

– ეს ლოდი, ხავსი რომ მოკიდებია, ერთხელ ამ ოცი წლის წინ რეჯებამ ამეიტანა ჩვენი ღელიდან, – დაიწყო სოფლის უხუცესმა იუსუფ ეფენდიმ, – ვინ აღარ შეეჭიდა ამ ლოდს, რომ ჯერ თავი გამეეჩინა და მერე ღელისთვის დაებრუნებინა იგი, მაგრამ ხედავთ თქვენც, რომ ლოდი დევს თავის ადგილზე და... – იუსუფ ეფენდიმ ჩაახველა და განაგრძო: – აი ღელეც რომ გვემუქრება, დიმიბრუნეთ ჩემი ქვა, თვარა წაგიღებთ და თავს დააბრალეთ მერეო, – ისევ ჩაახველა იუსუფ ეფენდიმ და გამარჯვებული ფულადი პრემიით დაჯილდოვდებაო, – აუწყა შეკრებილთ, – მერე გადახედა სიმაღლის და მიხედვით დაწყობილ წვევამდელებს და რიგით პირველს მიმართა: – შენ, ნევზეთავ, სულ ბოლოში დადგები და დაელოდები რიგს. რამდენი იქნება შენ წინ, თვითონ დეითვალე! შეჯიბრებას თორმეტ საათზე დევიწყებთ! – იუსუფ ეფენდიმ დატოვა ამაღლებული ბორცვი და ასპარეზი წვევამდელებს დაუთმო.

– მე გევიმარჯვეეე! – წამოიძახა ბრინჯომ და წამოიწია ფეხებწაჭრილი სკამიდან, მაგრამ რაღაც ძალამ სკამსვე დაუბრუნა, – მე ხომ ნევზეთაი ვაარ... მაგრამ დღეს რომ არავის ახსოვს ჩემი სახელიიი?! – მკერდზე დაიბრაგუნა უზარმაზარი მუშტი და... აქ ფიქრმა წაართვა თავი და აქედან სადღაც, ძალიან შორს მოისროლა.

ნევზეთამ სხვა წვევამდებლებთან ერთად თავი ამოჰყო ერთ დაბურულ ტყეში, სადაც სანამ ფიცს მიიღებდნენ, უნდა გაევლოთ „Курс молодого бойца“. წვევამდელები ზოგჯერ ქალაქში მიჰყავდათ, სამხერხაოში, მორები უნდა დაეცალათ ვაგონებიდან და დიდ ფარდულში შტაბელებად დაეწყოთ.

სამუშაო დღე ამოიწურა და ოცეულის მეთაურმა ივანიცამ თავისი ოცეული იმ უზარმაზარ მორთან განალაგა ერთ მწკრივად, რომლის წამოწევაც აზრადაც არ მოუვიდოდა ვინმეს.

ოცეულში რამდენიმე ძალოსანიც ჰყავდათ და ივანიცამ მათ ბათუმელი გოლიათი ნევზეთაც მიათვალა გულში.

– ვინც ამ მორს მუხლებამდე წამოუწევს თავს, „უვოლნენიაში“ გავუშვებ! – გამოაცხადა ივანიცამ და რატომღაც ნევზეთაზე შეუჩერდა თვალი: „ამან რომ შეძლოსო?!“

ჰოდა, შეჯიბრებაც დაიწყო.

– ეი, შენ, კაცო, რომელი წითელი კვერცხი შენ მყავხარ, წინ რომ მიიწევ?! – კარაგოდინი იყო: – „Молодой боец“ პირველი თანრიგის მძიმე წონოსანი, სულ მუდამ კრიჭაში რომ ედგა ნევზეთას.

ნევზეთას არც წყენია კარაგადონისგან, – კაი, ვიქნები ბოლო... – სავსებით მშვიდად

ამოთქვა. იდგა და ელოდა თავის რიგს. დარწმუნებული იყო, რომ ამ მორის მომრევი მის გარდა არავინ იყო ოცეულში. მორს თვალი აარიდა, მაგრამ მორი რომ არ მოეშვა, გაბრაზებულმა დახუჭა თვალი.

– კაცო! შენღა დარჩი! – ფიქრებიდან ძლივს გამოიყვანა ნევზეთა ივანიცამ და მორისკენ წაუბიძგა ხელი.

– კარაგოდინი?! – ამოიძახა ნევზეთამ.

ივანიცამ მიიხედ-მოიხედა და კარაგოდინი რომ ვერსად დალანდა, ულიზნულო, – თავისთვის გულში თქვა და მიდი, კაცოო! – დაკვირვებით შეათვალიერა ნევზეთა და მიდი, გაიმარჯვეო, უბრძანა.

ნევზეთაც მივიდა მორთან, „არ მომიახლოვდეო, თორემ...“ რომ იმუქრებოდა და ამ დროს ვიღაცამ ხელი მხარზე დაჰკრა ნევზეთას: – არ აწევ, ინანებ და აწევ და უფრო ინანებ! – კარაგოდინი იყო ამის მთქმელი.

მაშინ იყო რომ მართლა გაბრაზდა ნევზეთა და თითი დაუქნია გულზე ხელებგადაჯვარედინებულ კარაგოდინს. ახლა გზა გადაუღობა კარაგოდინმა, ჩემი მუქარა ძალაში რჩებაო!

– ხელს ნუ მიშლიიი! – დაუღრიალა ამ არამკითხე – მომჩივანს, მოხვია ხელები და ადგილი შეუცვალა, თან ყურში ჩასძახა: – იქზეა შენი ადგილიო!

ახლაღა გაახსენდა თავისი მორი და თხოვა (გულში) მაინც და მაინც ნუ გამიძალიანდებიო. მორმაც „ესეც Поддубный გამომიჩნდაო“ და მიწაში გაიფესვა. ნევზეთამ იქითაც მიიხედა, აქეთაც მიოხედა და კარაგოდინს რომ ვერსად მოჰკრა თვალი, მთელი გულით გაიხარა, „აი მორი რაფრა მომერევაო?!“

– ნუ დამცინიიი! – ამოიქშინა. უფრო მძულვარედ დაჰყურებდა მორს, მერე აფეთქდასავით და მორს დააცხრა, ნევზეთასავით რომ შეკვროდა სული. მიანჯღრ-მოანჯღრია და ოხვრა აღმოხდა მორს (ასე მოეჩვენა ნევზეთას), ნევზეთმა: – შენ ვინ მიგდიხააარ?! – დასძახა გატრუნულ მეტოქეს და მოწყვიტა მიწას. – ახლა რა გიყოოო? – ამოიღმუვლა და მორის ერთი ბოლო მკერდზე რომ მიედო, მაღლა აზიდა და მარჯვნივ გადაისროლა.

მორს მიწა დაეპატრონა ისევ და უკვე მერამდენედ, მოეჩვენება ნევზეთას: რაღაცას თხოვდა მორი და მიაყურადა. „ხელი მაინც ჩამომართვიო“ და ნევზეთამაც გაუწოდა ხელი. ტიროდა აცახცახებული მორი...

„კარაგოდინი?“ – გაუელვა ანაზდად.

ძირს ხელებჩამოყრილი კარაგოდინი ჩაფიქრებული იდგა მოშორებით. უსიტყვოდ გაერია თავისიანებში.

„По машинам!“ – ბრძანებდა ოცმეთაური ივანიცა და ოცეულიც ჩალაგდება მანქანის ძარაზე.

მანქანა დაიძრა. გამოსცდა ქალაქს და კარაგოდინმაც ანიშნა თავისიანებს, იმათაც ხელები შეუკრეს ნევზეთას, შენს ადგილს ჩვენში ვერ ვხედავთო და როგორც უცხო, მანქანიდან გადაისროლეს.

„Человек за бортом!“ – კი გაიგონა ნევზეთამ და გონებაც დაკარგა.

მძღოლმა დაამუხრუჭა მანქანა.

ოცმეთაური ივანიცა თვითონ მიიჭრა ნევზეთასთან, – Ну, ты, кацо? – სიმწრისა თუ შიშისგან ენა წაერთვა. ჯერაც ვერ გაეცნობიერებია მომხდარი.

ნევზეთა იწვა გონდაკარგული, კეფიდან სისხლი სდიოდა. ასე აღმოჩნდა იგი ბალტიისკის ჰოსპიტალში.

მხოლოდ მესამე დღეს მოეგო გონს, მაგრამ განა ამას ერქვა გონს მოსვლა?! აღარაფერი ახსოვდა. საკუთარი სახელი მხოლოდ მეშვიდე დღეს გაიხსენა. მაგრამ თავისი სოფლის სახელწოდება ვერაფრით გაიხსენა.

მერე სულაც აერია გონება და:

– დეიქცაააა... დუნია დეიქცაააა! – ეჯუჯ-მეჯუჯი ხალხი შემეესევა და ეს დუნია შემეეჭმევა! – და ასე გაგრძელდა შვიდ დღეს, შემდგომი შვიდი დღე დუმილმა მოიცვა, მერე ადამიანებმა კარაგოდინის სახე მიიღეს და ამ სახეს ვერსად გაექცა. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, აქ კარაგოდინი ვეღარ მოგაგნებსო.

ერთხელაც მიეგდო რკინის საწოლზე და მკვდარივით ჩაეძინა. შვიდ დღეს ეძინა.

შეშინებულს გამოეღვიძა: – მართლა დეიქცევა დუნიაო და ხელები თავზე დაიფარა, ციდან ჩამოცვენილი უცხო სხეულები თავიდან რომ აეცილებინა. ინგრეოდა ყველაფერი, რაც კი ადამიანს შეექმნა.

ფსიქიატრიული საავადმყოფოს წინ კედარის ხე იდგა: – ნევზეთავ, მიშველე, თორემ წევიქცევიო, – ჯერ მზეც არ ამოსულიყო, ნევზეთა კი კედარს ბიჯგივით რომ შეუდგა.

ძლივს მოაცილეს კედარს: – ა, ნახავ, თუ წაიქცესო.

და კედარიც რომ აღარ წაიქცა, გაუბრაზდა კედარს ნევზეთა: – თუ არ გიჭირდა, რას მიძახდიიი?!

ერთ დღეს უთენია გამოეღვიძა და მაღლიდან მოესმა, – სამს დევითვლი და ბრინჯივით დეიბნევიო. და მართლა რომ არ გაბნეულიყო ბრინჯივით, სამი კაცი გამოაყოლეს.

– ჩვიდმეტი კაკალი ბრინჯი ვარ და მეშინია არ გავიბნეო, – განუცხადა მშობლებს და იმათაც თავში შემოიკრეს ხელი, კაცი გავგზავნეთ ჯარში და იქიდან ოთხმოცდაათი კილოგრამი ბრინჯი გამოგვიგზავნესო.

ეს ამბავიც, როგორც ყველა სხვა ამბავი, მეხის გავარდნასავით გავრცელდა და ბრინჯოც ასე იხილა ქვეყანამ.

ენვერაი აკადემიაში:

– იმფერ ყავას, მე რომ შემფერის, სა აკეთებენ თუ იცი? – ჰკითხავს ლადუშის ენვერაი და ლადუშიც მთელი სერიოზულობით: – აკადემიაშიო, უპასუხებს.

– მერე სადაა აი შენი აკადემია? – ჩააცივდება ლადუშის ენვერაი.

– გინდა, წამოი, დღეს ერთი პოეტი უნდა შემხდეს, – ეტყვის ლადუში და გაიბღინძება.

– რაცხა არ მგონია კას ყავას აკეთებდეს ვინმე, – დაიჩემა ენვერამ. წელში გაჭირვებით გასწორდა, – ხომ იცი, თუ გავბღეზდი... – თვალები მოწკურა და ასე „შუუხტა“.

– ენვერავ, „ჰოპა“?

და ენვერამაც „ჰოპაო“, ომახაიანად დასძახა და „შუუხტა“ კიდეც.

– ენვერავ... – ლადუში მთელი ტანით გადაეფარა ენვერას, თითქოს ვიღაცისგან იცავდესო.

– ნუ შემიხუთე სული, თვარა გავბღეზდი მართლა!

– გაშალე მაი მუშტი, თვარა შეგაყოფინებ ძაღლის ტ...ი.

– ჭოვ, ამას მე მებნევი?!

– ისე გიზამ, ენვერავ, რომ მაი შენი მუშტი ვერასდროს გამეიღო ძაღლის ტ...კ-იდან!

– ჭოვ, მართლა რომ ვერ გამევიღო, რანდა ვქნა მერე? – სადარდებელი გაუჩინა ლადუშიმ ენვერას.

– კაი, ენვერავ, გედევიფიქრე, მაგრამ მაი მუშტი რაფერ გაგაშლევინო? – საგონებელშია ჩავარდნილი ლადუშიც.

– კაი, შენ არ გეწყინოს და ჯიბეში ჩავიყოფ მუშტს, ვერ დეინახავ, ჭოვ! – გულიანად იცინის ენვერაი. „ჰოპაც“ მაშინ შესძახა და „შუუხტა“ თავისებურად, – გამიძეხი წინ!

ლადუშიც ჩაუდგა ენვერას წინ და ენვერაიც ითვლის: – ერთი, ლადუში, ლადუში ორი და სამი, ლადუშიო... ეს რაფრა დადიხარ, ჭოვ?

– რაფერ, ენვერავ?

– იმფერ, ლადუში... – ენვერამ მარცხენა გადადგმულ ფეხს მარცხენა ხელი გააყოლა, მარჯვენა გადადგმულ ფეხს კი – მარჯვენა ხელი... – იცინის ენვერაი, იცინის და ამ სიცილს ხითხითით ამთავრებს.

– ნუ გეიჭაჭე ახლა, თვარა... – მიიხედ-მოიხედა ლადუშიმ და სანაგვე რომ ვერსად დალანდა, მართლა შეწუხდა, – ენვერავ, ყორისფელი უკუღმა გამომდის.

– ბლაყვი ხარ, ლადუში და აბდალაიც, მაგრამ მარტო არ დაგტიებ შენ... რომ დეიკარგო, მერე რანდა ვქნა? ენვერას არაფერი ეშლება, ჭოვ!

– ენვერავ, ერთი ზღაპარი ვიცი და შენც მინდა იცოდე! იყო ენვერავ, ამ დუნიაზე ერთი ბლაყვი და იმ ბლაყვს ენვერაი ერქვა...

– შენ ხომ ჭკუის კოლოფი ხარ, ლადუში?

– ერთი ლექსი მაქ, ენვერავ, ისეთი, რომ... აკადემიაში წევიკითხავ.

– ჯერ მე მითხარი... რომ შეგეშალოს, ლადუში?!

ლადუშიც დადგა, ხელები გადაიჯვარიდენა ზურგს უკან და დაიწყო: „მეხი მეხამრიდის თაგვია, მეხამრიდი მეხის რაგვია!“ – დაამთავრა და თვალები დახუჭა.

– შეგეშალა? შეგეშალა, ლადუში?

– არა, ენვერავ!

– მაშვინ კიდვენ თქვი!

და ლადუშიც გაიმეორებს თავის „მეხისა და მეხამრიდის“ ამბავს, – რაფერია, ენვერავ?

ენვერაიც ჩაფიქრდება, ვერაფერს მიმხვდარა, რას ითხოვს ლადუში მისგან, – ვერ გევგე, ჭოვ..

– აფორისტულია, ხომ?

– კია აფორისტული, – ეთანხმება ენვერაი, – მარა მაი აფორისტული რაღაა, რომ იმიხსნიდე...

– აფორისტული? აფორისტული აფორისტული იქნება, ენვერავ, ამის მიხტენას რა უნდა?

– კაი, ჭოვ, აფორისტულია და კიდვენ აფორისტული!

– ძმაი ხარ ჩემი, ენვერავ...

– შენ რაფერ თქვი, ჭოვ, ის ზღაპარი... იყო ერთი აბდალაი და ლადუში ერქვა იმ აბდალასო?

– მასთე არა, ენვერავ, იყო ერთი ბლაყვი და...

და იცინიან ენვერაი და ლადუში, მაგრამ არ დასცინიან ერთმანეთს...

– ჰო, მართლა, ლადუში, დღეს ვინ იგვიდუღებს კოფეს?

– არ ვიცი, ვინ იქნება დღეს?

– მაშვინ რომელი ჯობია?

– სონია ჯობია იზაბელას!

– მაშვინ სონიაი იქნება! ჰოპა! – დასძახა ენვერამ და „შუუხტა“.

– აკადემია რაა, ლადუში?

– მეც არ ვიცი, ენვერავ... აკადემიაში იკრიბებიან პოეტები და კიდვენ სხვებიც... და მე და შენ, ენვერავ!

– იქზეა აკადემია? – ენვერამ საჩვენებელი თითი მაღლა ასწია და მზერა ააყოლა თითს, – ლადუში მე ბრიგადირი ვარ ბაზარში, მაქ საკუთარი ტრანსპორტი, ენვერაი აწერია ორივე ბორტებზე, მყავან მოჯამაგირეებიც ჯემალაი და ზურიაი... შენ ვინ ბრძანდები, ლადუში?

– პოეტი, ენვერავ... აფორისტული ლექსების ავტორი.

– მართლა, ჭოვ? – ჩაფიქრდა ენვერაი.

– შენც დიდი კაცი ყოფილხარ, ენვერავ, ბრიგადირი და საკუთარი ტრანსპორტიც, და ორი მოჯამაგირე?! – ხელები გაშალა ლადუშიმ, – ჩვენც გვყავდა სოფელში ერთი ბრიგადირი, არტემაი და შემეეჭამა სოფელი და ვერ გაძღა მაინც მისი აყროლებული ფაშვი, უუჰ, გუუმაძღარია, ენვერავ, კაცი!

– ამას მე მასტავლი, ჭოოვ? – გაუწყრება ლადუშის ენვერაი, – აქზე გევითენოთდა?

აიარეს პირველი სართული, – აქ რესტორიანია, ენვერავ, ქელეხებსაც აქ იხდიან, ავყვეთ ამ კიბეებს და...

– აკადემიაში შევალთ, ჭოოვ?! – ქოშინი აუვარდა ენვერას, – დევღალე, ჭოვ, აქზე შევისვენოთ! შენ ენვერასთან იყავ და არ დეიკარგები... ენვერაი მეიფიქრებს ისეთ რამეს, რომ... აბა, დევიძარით, ჭოვ!

და აუყვნენ კიბეებს.

– ენვერავ, შევედით! აია აკადემია!

– მერე რაფერ გევგო, რომ აკადემია აქზეა? – ჰოპაო, შესძახა და ვეღარ შუუხტა, ენვერაი დეიღალაო, სულს ძლივს ითქვამდა, – მაგრამ ხელცარიელიც არ მოსულა ენვერაი, – უბეში ჩაიყო ხელი და არყის ბოთლს თითები მოუჭირა, – შენ არსადნა თქვა, რომ დღეს დეიბადა ენვერაი და... – დარბაზში შეიხედა, – ენვერას არ მიიღებთ, ჭოვ?

– მოი, ენვერავ, მოი ჩვენთან, – ეპატიჟებიან ყოველი მხრიდან.

– ალი რომელია თქვენში? – საჩვენებელი თითი ასწია მაღლა, – წერსო, ასე მომასტავლეს...

– მე ვარ, ალი... – წამოდგა ორმეტრიანი კაცი, – ჩვენთან, ენვერავ!

– მაი ხალხი ვინეებია, ვერ გააცნობ ენვერას?

და ალიმაც გააცნო ენვერას: – ეს უტყლიპინეა, დემურიი, ეს ზურაბი – პოეტი...

– მეც მახლავან პოეტი ლადუში, გეიცანით! – ენვერამაც წარუდგინა საზოგადოებას აფორისტული პოეტი.

– ვიცნობთ ლადუშის... – ამბობს ზურაბი, – მივყვები ამას წინ ლადუშის. ფურცელი ამოუვარდა ჯიბიდან, გავშალე და ლექსი!

ლადუშის სახე გაბადრვოდა. სანამ მისი ლექსის წაკითხვას დაიწყებდნენ, სამჯერ ჩაახველა და ღრმად ჩაისუნთქა. მზად იყო იმ ლექსის მოსასმენად, რომელიც ვერაფრით გაეხსენებინა.

და ზურაბიც იწყებს:

„თუ გინახავთ ოდა-სახლი
ისლით გადაბურული,
ჩემზე მეტი ჭკუა ქონდეს,
არ მინახავს გურული!“

ენვერამ ტაში შემოკრა.

– აფორისტულია? – იკითხავს ლადუში და პასუხის მოლოდინში სულს განაბავს.

– ალი... – მიუბრუნდება იმ ორმეტრიან კაცს ზურაბი, – სასწაული თუ გინდათ?! ლექსს მისამღერიც ჰქონია თურმე. ვკითხულობ, ყურადღება!

და აკადემიაც გაილურსა.

ზურაბმაც გადახედა აუდიტორიას და განაგრძო: – ლადუში თუ დამრთავს ნებასო და ლადუშიმაც თავი დაუკრა, მიდიო!

ზურაბი სერიოზულ სახეს მიიღებს, ფეხის წვერებზეც შედგება და თავისებურად, რიხით ამოთქვამს:

„ჩემზე უფრო მოდღურული,

არ მინახვს გურული...“ – დაასრულა და ლადუშის მიუბრუნდა: – აფორისტულია და ალიც დამეთანხმება – აფორისტული ლექსის ექსპერტი!

ამასობაში ყავაც ჩამოარიგა სონამ.

– ენვერას ასობი, იმპერატორსკი, სონა, – ზურაბია, რომ უკვეთავს ყავას, – ლადუში კი... მალო კოფე, მალო სლადკი, ჩემსავით, აფორისტული! ახლა კი, სიტყვა ენვერას! – გამოაცხადა და ენვერაიც წამოდგა: – დღეს დევბადე მე და ცარიელიც არ მოსულა ენვერაი თქვენთან! – უბიდან არაყი ამოაძვრინა და მაგიდაზე დადგა.

– ზაკუსკა? – ღიმილით იკითხა ალიმ.

– მაგაზეც იფიქრა ენვერამ! – ჯიბეში ჩაიყო ხელი და „ჰოპაო“, თქვა და ვაშლი ამოიღო, დააფურთხა და შარვლის ტოტზე გაიწმინდა.

ალიმ ზურაბს ანიშნა, რამე მოიფიქრეო და ზურაბიც წამოდგა:

– სანამ ბრინჯო გამოჩნდებოდეს, – წამოიწყო ზურაბმაც, – ლადუშიმ თავის „მეხი-მეხამრიდის ბალადა“ წაიკითხოსო, – ითხოვა.

ლადუში ამდენ ხანს აუჩქარებლად, გამოთქმითაც კითხულობდა თავის „მეხს და მეხამრიდს“, მაგრამ ბრინჯოს შიშით მიასამშაბათ-მიახუთშაბათა. თვალი გასასვლელისკენ მიურბოდა, – ბრინჯოს სუნი მცემს, ენვერავ! – გადაულაპარაკა მთლად ყურადქცეულ ენვერას.

– ევიბარგოთ'ნა? – ჰკითხავს ენვერაიც ლადუშის, – მეც იმის სუნი მცემს, ბრინჯოის...

წამით გაასწრეს ბრინჯოს.

ბრინჯოს კი არც ენვერაის სუნი სცემდა და არც – ლადუშის. შემოვიდა თუ არა, გულში თქვა: „ლადუშის ბაყაყის სუნი ასდის, ენვერას – იმ ბაყაყის თავკომბალებისო“.

ამაყად, მხრებში გაშლილმა შემოაბიჯა, მიყნოს-მოყნოსა იქაურობა და სახე მოეღრუბლა, – მიჭირს სუნთქვაა! ფენჯრები დააღეეეთ! – მერე თავისუფალი ადგილი მოძებნა და დაჯდა, ფეხები გაჩაჩხა და ორთქლმავალივით ამოიქშინა: – სონაა, ჩემი კოფეო!

სონამაც მიუტანა ბრინჯოს თავისი ყავა და ფანჯრები მერე დააღო.

ბრინჯომაც ღრმად ჩაისუნთქა და: – ისუნთქეეთ! – დასძახა თავისებურად და ცხელი ყავა სამ ყლუპადაც არ ეყო.

წამოდგა და ღრმად შეისუნთქა: – იყო აქზე, იყო... მყრალი ენვერაის სუნი მცემს... – თითქოს ჰაერიც აღარ ეყოო, – დევიხრჩვიიი! – ამოიღრიალა და იქაურობა დატოვა.

ბრინჯო იყო, კიბის საფეხურებზე სუნთქვაშეკრული რომ ჩარბოდა.

ომიანობა
(ბრინჯო)

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დამთავრებამდე ორი თვით ადრე, როცა გამარჯვების სასწორი აფხაზებისა და მათი დამხმარე ეჯუჯ-

მეჯუჯი ხალხების დაჯგუფებების მხარეს გადაიხარა, აიღო ბრინჯომ თავისი წინაპრების ნაქონი ფილთა თოფი და ფეხით ჩავიდა აფხაზეთში.

იქ ბრიჯოსნაირებს თავი ერთად მოუყარეს და მოხალისეთა ბატალიონი ჩამოაყალიბეს. ლაბრასთან მიიღო ბრინჯომ პირველი ნათლობა.

ბრინჯო (იგივე ნევზეთა) იგონებს: – იქ რომ დაგვარტყეეეს! – სუნთქვასაც შეიკრავდა სირცხვილისგან სახეალეწილი, – ისევ მიგვცხეს და სადღაც, – ვეღარ იხსენებს იმ სოფლის სახელწოდებას, – იქ აღმოვჩნდით, მაგრამ ვინ მოგვათქმევინა სული, ისევ დაგვარტყეს და ენგურის ხიდს კიდევ ათი კილომეტრით მოვუახლოვდით, მაგრამ იმის ჩიტია მტერი, რომ სული მოგათქმევინოს?! დაგვარტყეს და ენგურის ხიდზე ვიყავით უკვე...

– მერე ის ფილთა თოფი?

– რაში გამომადგაა?! – აქეთ შემოგიყვირებს ბრინჯო, – ენგურში გადაგდებამდე მუხლზე გადავიმტრიე და წყალს გავატანეე!

ბათუმში დაბრუნებულ ბრინჯოს სხვა დახვდა ბინაში და ბრინჯოსაც აღარ უკითხავს ბინის ამბავი, მისთვის ყველაფერი სულერთი იყო, მამაპაპისეულ ქოხში (სწორედაც რომ ქოხში) გამოიკეტა. არავის დანახვა აღარ უნდოდა, თავი მოაბეზრეს ადამიანებმა. არც არავის ენახვებოდა. სარკეში ერთხელ შემთხვევით რომ ჩაიხედა, კინაღამ გადაირია, – ვირთხასავით მორბოდიიი?! – შეუყვირა თავს, თვალი დახუჭა და ორ დღეს არ გაუხელია, გაახილა და ისევ სარკე და სარკეში ის ვირთხა, კუდამოძუებული რომ გამოაძევეს აფხაზეთიდან. – ქალაჩუნაააა! – თითი დაუქნია მობუზულ სარკის ვირთხას, – ნუ მიყურეებ! – შეუბღვირა სარკეში გამომწყვედულ ქალაჩუნა ნევზეთას და იმანაც, – ნუ მიყურეებ, – სარკიდან გამოსძახა. ბრინჯომაც თავი მხრებში ჩარგო და სარკე შეაბრუნა: – შენ, ნევზეთავ და შენისთანებს არ უნდა ეცვათ შარვალი... შარვალი გეიხადეე! – და ისევ იმ სარკიდან შემობღავლეს: – შარვალი გეიხადეე!

და მაშინ გულში იტყვის: „შარვალი რომ გევიხადო, რა ჩევიცვაო?!“

ამ კითხვის პასუხი ვერ მოიძია ბრინჯომ და საგონებელში ჩავარდა: „საქართველო მარცხდება აფხაზებთან. აფხაზეთს ეხმარებიან, მაგრამ ვინ გიშლის, შენც დაიქირავო ვინმე... მაგრამ ვერ მოგართვეეს?! ვეღარ ივარგეე, ქართველოოო?! – გული კინაღამ გაუსკდა ბოღმისგან, მწვანედ ამოანთხია. ემწარა ბრინჯოს დროება: – რაღა ვქნაა? – ხმამაღლა იკითხა.

– იფიქრე, ბრინჯოო! – ესმა და სიმწრისგან გააძაგძაგა.

– ვიფიქრეეე! – თვალებზე აიფარა ხელები.

ასეც რამდენ ხანს ყოფილიყო და ძირს ჩამოუშვა ხელები.

სარკეში მოუნდა ჩახედვა, ერთიც ვნახო, ის ვირთხა რა დღეშიაო?!

– ნუ მიყურეებ! – იმან, სარკის ვირთხამ დაასწრო ამჯერად.

„მე შენ განახვებ სეირსო!“ – ბრინჯომ და კედელზე მიაფშვნა ის, სარკის ვირთხა. აღარ ხააარ?! – ბრინჯო ზეიმობდა გამარჯვებას, – მაგრამ მე რომ ვარ... ბრინჯო! – პირველად აღიარა, რომ სწორედ სამართლიანად შეარქვეს ეს სახელი, – ბრინჯო, ბრინჯო, ბრინჯოოო! – გულზე იბრაგუნებს მუშტებს, – მაგრამ... – ჩაფიქრდა: – ვიფიქრეებო! – უკვე თავის თავს უთხრა და წელში მოიკაკვა: – ქალაჩუნა... ქალაჩუნა... ქალაჩუნა ბრინჯოოო!

ძლივს არ მოიფიქრა?! ახლა კმაყოფილია: „მაგრამ ქალაჩუნას შარვალი რომ აცვია?!“

– მერე და გეიხადე შარვალიი! – უკარნახებენ.

– მერეე! – დაუღრიალა არამკითხე-მოამბეს, – მე რანდა ვქნა?

– რანდა ქნა? – იმ არამკითხე-მოამბესაც ჯერ არ ჰქონდა პასუხი ამ კითხვაზე და ბრინჯომ: – თვითონ მევიფიქრეებ!

ჰოდა, მოიფიქრა და სიხარულისგან კინაღამ ენვერასავით არ „შუუხტა“?! – ნენეის კაბაა!

ძველი კამოდის უჯრა გამოაღო და სათუთად შენახული კაბა ამოიღო, გადაიცვა და ერთი სარკეში ჩამახედაო, გაიფიქრა, მაგრამ სადღა იყო სარკე.

კაბა ერთობ მოკლე იყო მისთვის, კი ეხამუშა, მაგრამ გული გაიკეთა, გრძელი კაბით დღეს აბა, ვინ დადისო?

გულმა ქალაქისკენ გაუწია და „ბრინჯომ სხვა დროში შეაბიჯაო“, ვიღაცას ასეც წამოცდა, მაგრამ ლადუშიმ რომ იხილა ბრინჯოს ამნაირი მეტამორფოზა, გულით გაიხარა და სიხარული თავისებურად გამოხატა: „ბრინჯოს ქალაჩუნების ქვეყანაში დედოფლობა დაშვენდებაო“, იმ გამონათქვამთან, სულ აგერ ახლა რომ გაჟღერდა: „ბრინჯომ დრო მოისაკლისაო“, სხვა ვეღარაფერი მივაო, ლადუშიმ, კიდევ ერთი მისი ხატოვანი აფორისტმი რომ არ გავიხსენოთ, ბრინჯოს დახასიათებას სრულყოფილადაც ვეღარ მივიჩნევთ.

რაო, როგორა თქვეს ბრინჯოზე თავდაპირველად? „ბრინჯომ სხვა დროში შეაბიჯაო?!“ მაგრამ თვითონ ბრინჯო ასე რომ ფიქრობდა?! აღარც ხვალე იზიდავდა და გუშინდელს ხომ აღარც ახსენებდა. ამ ცხოვრებაზე გულაღრენილის ენის წვერს სადაცაა უნდა მოწყვეტოდა ზიზღნარევი სიტყვა: „ნუ მიყურეებთ!“

მაგრამ ბრინჯო, როგორც ასეთი, ბრინჯოც რომ აღარ იყო?!

მაგრამ იყო მაინც...

„ფადიმაი ვარო!“ და ვერაფრით გადაათქმევინეს...

ლადუში:

გული აღარ უჩერდებოდა ქალაქში.

იმდენად ეჩქარებოდა, რომ „ბათუმ-საჩხერის“ მატარებელს აღარც დალოდებია, ფეხით დაადგა გზას, სანამ „საჩხერე“ ჩამოდგებოდეს, უკვე სოფელში ვიქნებიო.

მიდიოდა და მიუმღეროდა გული:

„მეხი მეხამრიდის თაგვია,
მეხამრიდი მეხის რაგვია...“

ენვერა:

ენვერაი?

უთხრეს ერთხელ მაგ დაღრეკილ ფეხებს ღუდუშაურის საავადმყოფოში გაგისწორებენო და ენვერაიც გარდაიქმნა. ენვერაი კაცურაი გეივლისო და რაღა გააჩერებდა ბათუმში?

ზის თვითმფრინავში და ამოვარდნაზე აქვს გული.

სული წინ მიუსწრებს ენვერას...

ლამის ჩამოხტეს თვითმფრინავიდან და ფეხით გაუყვეს გზას...

ძრავა ჩაირთო და „ჰოპაო“ დასძახა, ერთხელ ლაზათინადაც „შუუხტა“, – ენვერაააავ! – დასჭყივლა და ნეტარებით გააზმორა...

გენრიეტა ქუთათელაძე

ციკლიდან — რეკვიემი დევნილთათვის

* * *

დარდმა და მწუხარებამ დააჭკნო ეს ქალი,
ეს ქალი, წარსულში რომ ჰგავდა ყაყაჩოს,
სასტიკმა ცხოვრებამ დასეტყვა,
დამეხა, დაცეცხლა დააზრო და დააბერა, ლამის დაახრჩო
(ეჰ, რა ძნელია დევნილის ხვედრი).
შიში შეეყარა სახადივით და ფიქრებს ცომივით აფუებულს რას მოთოკავდა...
ბულვარში ძელსკამზე თავჩაქინდრულს თავს ახსენებდა დავიწყებული ჰანგები,
წარსულის ლანდები,
მოგონებების ტყეში სოკოებივით რომ ამოზრდილიყვნენ და ცეკვა სურდათ მასთან –
ერთ დროს შუქმფინარსა და მშვენიერთან,
ახლა გალეულსა და დამფრთხალთან,
მოწყვეტილი ვარსკვლავის ტყუპისცალთან,
ჩამქრალი ოცნებების ხეივანში ჩრდილდაკარგული,
ყოველ გაზაფხულზე, წითელი ვარდების კარნავალზე
ცეცხლის სიმხურვალით რომ იწვის... რადგან ლექსები ფარფატით ეშვებიან დედამიწაზე
და ქალს აღარ ძალუძს დააფრთხოს ყვავი, რომელიც უპირებს ლექსების მოტაცებას...
ამიტომ უსაშველოდ მოიწყინეს გვირილებმა,
მინდორში მობიბინე გვირილებმა...
იქნებ მათაც სინამდვილიდან გაქცევა სურთ?
თავი რომ დააღწიონ ბათუმური წვიმების მისტერიას,
ქალის ჩანავლულ თვალებს –
ჩამავალი მთვარის სევდას,
ნაცნობ ხმებს – სასწრაფო დახმარების სიგნალს,
ანდა მედიდური მოქალაქის მზერას,
ახალგამდიდრებულის
დაკმაყოფილებულ ამბიციას:
– ყველაფერი ვიყიდე, რაც მინდოდა: მანქანა, აგარაკი, სასახლე, დიპლომი, ოფისი...
ო, ეს სიტყვები, სიცილი, მზერა!

ხმა ნაცნობია,
მაინც არ ესმის, ჰო, არ სურს გაიგოს, ან რას გაიგებს ტალღის ხმაურში,
ზღვა ღელავს, ღელავს...
აქაურობის არა, არ ესმის,
ის ზეცაშია სულით და გულით
და მაინც, უფრო მაღლა სურს ფრენა!

* * *

შეკრთნენ სიზმრები და სადღაც შორს, მიღმა გადაიხვეწნენ
და იმედებიც წაიყოლიეს.
გამოვიღვიძე,
ვაი ჩემს ყოფას (ნეტა მარტო მე ვიყო დევნილი)
აწმყო წარსულად მექცა უცაბედ
და მონატრებით არ ველი ხვალეს;
მოგონებებად დარჩა ბავშვობა,
ახლა სიბერეს ვუკმევ საკმეველს...
გარდაიცვალნენ თითქოს ფიქრები
და იმალება გაქრობის შიში,
დედა მზემ ჩემზე ხელი აიღო,
არც მთვარე მიწევს მამობას მიწყივ,
და-ძმა ვარსკვლავმაც ზურგი მაქცია
არ მინათებენ ცას ციმციმ-ციმციმ...
აქ უცხოები რიხით დადიან
და გნიასია სხვადასხვა ხალხის...
არ გადაიღო დელგმამ და თქეშმა,
აწვიმს ქალაქებს, სოფლებს, მთა-გორებს,
ჩემს სამშობლოში მე უცხო გავხდი,
ეჰ, დედინაცვლად მექცა ქვეყანა,
ლაბირინთში ვარ, გზას ველარ ვაგნებ,
არც თეზევსი ჩანს, არც არიადნე,
ვინ გამომიყვანს?
ვაი, სიცოცლეს ვემშვიდობები...

* * *

ჩემს ჩრდილსაც ისე ვერიდებოდი,
როგორც შარაზე ბრაზიან ძაღლებს,
წელში მოხრილი და დატანჯული
არ მსურდა ვინმეს რომ დავენახე...

შევცოდებოდი იქნება ვინმეს,
იქნება ხელიც გამოეწვდინა,
მაგრამ მითხარით, ეს სიბრალული
მეტარებინა ამ გულით როგორ!
იქნებ, სხვას უფრო სჭიროდა შველა,
სულით უსუსურს და მომტირალეს...
მე კი ამ გზაზე ის მომყვებოდა,
ზეცნობიერი, მარადმღვიძარე,
მინთებდა სულში ჩაუმქრალ კანდელს
და მირონს მცხებდა უჩინარ ხელით,
ღვთის საუფლოში გასაგზავნ ლოცვებს
მიკარნახებდა ნაზად და სევდით...
და როს მზე დაჯდა ტახტზე მეფურად,
მე დავინახე
აყვავებული კვერთხი აარონის;
თავი ავიღე, გავსწორდი წელში,
ტკივილებიდან ხელახლა ვიშვი,
მე დავიბადე
და ჩემი ჩრდილიც დაგრძელდა გზაზე.

* * *

ძალიან დიდხანს ველოდი სასწაულს,
მოჩანდა ღრუბლის ბლონდებში სხივი,
სხივი, რომელიც გულში ჩასახლდა
უცებ, ერთ წამში ჩაქრა სრულებით
და დავრჩი ასე ბნელს შეყუჟული,
ძირსჩამოცვენილ ფოთლებივით მოცახცახე და ფერწართმეული...
მზე ჩაესვენა ჩემს ჰორიზონტზე,
მზემ მიმატოვა, დიახ, სრულებით;
ვეღარ ვიგუებ ამიერ ნიღბებს,
უწინ ღიმილით რომ ვატარებდი...
დრო გამიბრაზდა, გამინაწყენდა,
რომ ვერ ვისწავლე მე მისი მართვა,
აღარ დამინდო ჟამმა უჟამომ,
თავს დამატეხა სასტიკი ხვედრი,
ვაიმე, შვილო,
სიკვდილს ჰქონია მსახვრალი ხელი...
შენს მონატრებას
ჩემი სიზმრების ჩავაცვი კაბა
და სასოებით გელი...

წუხელ ძილში გამომეცხადე,
ცას გახედეო, ჩამჩურჩულებდი,
სადაც ვარსკვლავი მონიშნე ერთი...
აწი იმ ვარსკვლავს ვესაუბრები
მე ყოველ ღამე.

* * *

მიზეზი?
მიზეზს რა დალევს ამ ქვეყანაზე,
რაც დავიბადე, მას მერე
ხანაც ვტირი და ხანაც ვიცინი...
ფარსაგთან ყოფნა ძნელი არის,
სჯობს ვიყო მარტო;
ფარისევლებს მირჩევნია სულაც ბოროტი,
ცხადად რომ მოჩანს....
მოყვარე მტერი? – ჩემს მტერს, ბატონო!
გლოვა და ლხინი –
ჩვენი ყოფის ორი პოლუსი,
ეს ორი ფერი – შავი და თეთრი
მადგას გვირგვინად...
რაც წლები გადის, მისი სიმძიმე
მაკრთობს, მაწუხებს, მხრებში ვიხრები,
მაინც ჩუმად ვარ,
რა წესია სხვა შევაწუხო,
მაგრამ სიჩუმე თვითონ ყვირის
და მშველელს უხმობს...
ჰო ცის გახსნას ველოდები
მე ყოველ ღამე.

* * *

გაფაციცებით გავყურებ შარას,
გზები იშლება ნარეკლიანი,
საით წავიდე?
რა გზას დავადგე?
აქ ყველაფერი ისე უცხოა,
ჩამოთესლილი როგორც სტუმარი,
დავალ მიწაზე, ვითომ ჩემია,
სინამდვილეში ჩემი არ არის,

ეჰ, სამშობლოში გავხდი ხიზანი..
გამისასტიკდა ლტოლვილის ბედი
და მოგონების ამარა დავალ,
დავტირი მამულს, უღმერთოდ დაჭრილს,
ომში დაკარგულ ბიჭებს დავეძებ...
ჰოი, მამულო, მკერდდაჩეხილო,
როგორ გიშველო თავად სნეულმა,
გიწამლო ვითარ...
ცაზე ღრუბლები მოთქმით ტირიან,
ეს რახანია წვიმს
გამოიდარებს როდის?

* * *

ჰო, ამაღამაც ვერ დავიძინე,
ძლივს გავექეცი ფიქრთა ტორნადოს,
ჩამოვუქროლე უსახელო ვარსკვლავთა ხომლებს,
ღმერთო, ერთმაც კი არ შემიპატიჟა...
ფრთები დავკეცე და მთვარის ბილიკზე ჩამოვისვენე;
მესმოდა ხმები ირეალური – აბზუ მიხმობდა,
თითქოს გალობდა სიკვდილი, ჩუმად გალობდა...
ჩემს უთქმელ დარდთან გავინაპირე,
რა დამრჩენია სიკვდილის გარდა...
შენ კი... ისე შორსა ხარ, ხან ისე ახლოს,
რომ აღარ მჯერა, ნუთუ ეს შენ ხარ!
ჰოდა, მარტო ვარ, აქ, ამ სიზმრების სამფლობელოში,
რა გაათენებს დილას ხვალინდელს,
ვით, ვით ვპოვო უფლის ნუგეში...
მათხოვარი ვარ – წყალობას ველი,
სასუფეველის გამიხსენ კარი,
ჰო, მე ვარ, მე ვარ – დევნილი და მიუსაფარი...
აქ, ამ მიწიდან რა ხანია ვითვლი ვარსკვლავებს (ისინი ჩემი შორეული ახლობლებია)
ფეხშიშველა დავდივარ და უხმოდ ვმღერი,
ღამით გზას მინათებენ ციცინათელები
და მამხნევებენ: – საცაა მიხვალ!
არადა, არ ჩანს ნავსაყუდელი,
მივაღწევ ვითომ?
ვპოვებ სავანეს, რასაც ველტვოდი?
ვინ გამიკარებს უცხოს, უსახოს,
ელვის მათრახით ზურგაჭრელებულს?!
ვერ გამოვფინე ცისარტყელები მშვიდობის ნიშნად

და სიყვარულის მარადიულ ომში
მარტოკა დავრჩი...
რა გაათენებს!
ველი მაინც ცისკრის დადგომას,
რამეთუ ხარ სასო ჩემდა,
შენ, ვის სახელსაც ვაღმერთებ გულში
და ვისაც ეკლის გვირგვინით გხედავ!

* * *

მრავალჯერ გავჩნდი ამ ქვეყანაზე,
მრავალჯერც მოვკვდი,
მზემაც ბევრჯერ გამიღიმა და წვიმამ გამლუმპა,
აღმოვაჩინე ეს სამყარო
საკუთარ თავში და
მრავალ ახალ დაბადებას კიდევ მოველი...
ჭეშმარიტების საძიებლად აღმართს შევუდექ,
გზა არის ძნელი,
ძალიან ძნელი...
ცისფერ სივრცეებს გადასწვდა მზერა,
უსაზღვროებამ ამბორი მიძღვნა და
როცა ყველა სიტყვა გახუნდა,
მე გავიხედე სულ იქით, მიღმა...
რაღაც აენთო და საოცრად განათდა ჩემში და აღარ მაშინებს
სომატური დაბადება
და სომატური სიკვდილი ჩემი!

* * *

თუ ცოცხალი ხარ და სული გიდგას
გაგიელვებს ათასი ფიქრი,
ბევრი ძველი და ბევრიც – ახალი...
ჯერ კიდევ მაშინ, წლების წინათ,
როცა დავიწყე შეგროვება მე ამ ფიქრების,
უცხო ბილიკზე დაიღვარა სინათლის ჩქერი...
დავლანდე ფიქრი ფერმიხდილი,
მისუსტებული,
მოჩანდა კიდევ ეკლიანი, ძალზე საშიში,
ზოგიც ვამსგავსე ყვავილს საამურს,
ახალგაფურჩქვნილს...

და ამ ფიქრების კარნავალზე
როს ავირჩიე მე ერთი ფიქრი,
ცას შემოეხსნა ცხრაივე კარი,
წამის წამებში გადავლახე დროცა და სივრცეც...
აი პლანეტა, ეგზოპლანეტა –
ეს ჩვენი მომავალი დედამიწაა,
ახალ სიცოცხლის აკვნად ირწევა,
აქ ხეები შეფოთლილან უცხო ფერებით და წვიმას გადასდის ვარდის სურნელი;
მესმის გალობა, იდუმალი,
ყოვლისმომცველი...
და ჩემი გული, ფიქრებით რომ გათანგულა,
უცებ დამშვიდდა,
ჰო, ფიქრს შევეთვისე საკეთილოს და იმედიანს –
ჩვენ გადავრჩებით!
ახლა ფიქრს ვართავ უწყვეტ ძაფებად და ქსოვას ვიწყებ...
რას ვქსოვ?
გულთმისანი ხარ, თავად მიხვდები.

* * *

ჩაესვენება მზე მიმწუხრისა საცაა ზღვაში,
დღეც დასრულდება ხვალის ანონსით: –
პორტში მალე ჩამოდგება ხელმწიფის ნავი!
ათასჯერ თქმულა –
არ ჩაჯდეო ხელმწიფის ნავში,
სულის სიმშვიდეს გაუფრთხილდი,
თუ გიყვარს თავი.
თავს რას ვიწუხებ,
ვინ მიმიშვებს ხელმწიფის ნავთან,
არც მაქვს სურვილი, რა ჭირად მინდა!
მე სულ სხვა ნავის ვარ მოლოდინში,
დიახაც, მისით მგზავრობა მინდა.
და ველოდები,
მთელი ცხოვრება ჩრდილში მყოფი, ჩრდილდაკარგული...
მზეში რომ ვიყო, ვიქნებოდი ჩრდილი ღმერთისა
და თამამადაც ვიტყოდი: – მე ვხედავ ხვალეს.
დღეს კი...
დავდივარ ოცნებების უსიერ ტყეში,
სად ხეებს ავარაყებს მწუხრი ოქროსფრად
და ღრუბლებში მოციაგე სხივებს მიგზავნის, რომელსაც უნდა მივახარო:
– დღეს ლექსებმა ყვავილივით გაიხარეს!

ლანდები სიზმრის ირეკლება ყველა სტრიქონში,
ფურცლებს მივანდე გაქვავებული ცრემლი და დარდი,
წიგნად ვაქციე და ვით ძვირფასი სამკაული
უჯრაში გამოვკეტე, წიგნი,
რომელიც ხვალის წიგნია და ელოდება დღის სინათლეს.

* * *

შემომაღამდა ეულად მავალს,
ჯერ შუა გზაზე ვარ,
მთვარის კელაპტარს ვნატრობ, მაგრამ...
მას ვინ ამინთებს?!
არ ამოვიდა ამეღამ მთვარე,
აღარც ვარსკვლავებს ძველებურად
უღიმით პირი...
შორით კი, შორით,
მოსჩანს ტყე ვრცელი,
ქარის ძახილით ამოვსებული: –
ცოცხალო მკვდრებო, რა გეშველებათ,
ვალი გაქვთ ქვეყნის!
უცებ ცა ისე ჩამოიწია,
ასე მგონია კიბე ჩამოდგეს;
მე ასვლას ვიწყებ, სანამ ჯერ დროა
სანამ გაავებულთ უბრძანებიათ:
– გადაურაზეთ სუყველა კარი!
შემომეგება ცა ნაცრისფერი ღრუბელის რაშით,
მე ეს მარულა უნდა მოვიგო...
გავყურებ მინდვრებს – ფერშეცვლილებს და მოწყენილებს,
მავთულხლართებით ჩახერგილებს (ღმერთო ჩემო, ასე სანამდე?!)
ქართლის ველებს ჩაქრობოდათ თვალებში სხივი,
ვხედავდი მოხუცს ნამტირალევს,
მთლად გალეული ფეხზე ძლივს იდგა,
მხრებჩამოყრილი ახალგაზრდა,
ბავშვი დამფრთხალი...
ქალი ძაძებში გულს მიღონებდა;
– ვაიმე, შვილო, ტაძარიც რომ გამომიკეტეს,
ლოცვას მაინც ვერ მომიშლიან,
მართალის გული ტაძარი არის – მოთქვამდა ქალი.
ჰო, არ იყო ქალი მონური სულის,
მას სულიწმინდის ეფინა მადლი,
შვილი მოუკლეს, მაგრამ მაინც ვერ დააჩოქეს;

არც ყვავილები დაუფენია ფეხქვეშ მავანის, როგორც ზოგიერთს...
დედამ ქართლისა კარგად იცის მამულის ფასი და რომ არ თქვას, არ შეუძლია,
რომ უკეთურებს დაუპყრიათ აქ ყველაფერი,
დღითი დღე პატარავდება სამკვიდრო ჩვენი
და ღმერთმა გვაცილოს უარესი ხვედრი...
დედავ ძვირფასო,
მე მესმის შენი,
მადლობელი ვარ, რომ ტაძართან მელი;
ორის ლოცვას მეტი ძალა აქვსო –
ელვამ დასჭექა სათქმელი შენი...
და როს დაწურავს ზეცა მტევანებს მზისას,
ციდან გეწვევი მე ჩემი ქნარით;
ია და ვარდი ჰფენია გზაზე
ქვეყნის მოყვარეს,
ჯვარი სწერია ყველა ზნეკეთილს;
არ დაივიწყოთ, ახლოა ჟამი და
დრო გააცხადებს თუ ვინ ვინ არის.
ჰოდა, იმ დროის გეშინოდეთ, მედროვეებო!

სალომე ანანიძე

არსებობა

ახლა, როცა განსაკუთრებული ხვალინდელი დღე მოდის, ჩემი თვალები თითქოს დაჭაობდა და ეს ჭაობი ქვეყანას ქვესკნელში მიაქანებს. არ ვიცი ახლა რომელი საათია და ამ დროს რას აკეთებენ სხვები. ეს ნათურებიც როგორ გაფერადებულან და შეყვარებულ წყვილებს დამსგავსებიან, გამუდმებით ერთდროულად მოძრაობენ მათი გულები. ცალი თვალით ფანჯარაში გავიხედე. ერთდროულად ვერ გავუსწორებდი თვალს სამყაროს იმიტომ, რომ ჩემი თვალები ხახვს დამსგავსებოდა (ჯანდაბა ჩემს თავს). ვინც კი შემომხედავდა, მაშინვე გოდებას ეძალებოდა. მე კიდევ, ამ დღეს ყველაზე მეტად ის არ მინდოდა, რომ სამყარო ჩემით ატირებულიყო. ჩემს წინ სარკმელმაც ადამიანებივით ფერი იცვალა და ახლა უნდა ელოდო, როდის აყვავდება. ფანჯრიდან გადავედი და უცებ, ხალხით სავსე ქუჩაში აღმოვჩნდი. დღეს, ისე როგორც არასდროს, მივუყვები ქუჩას და რატომღაც ვგრძნობ, რომ საერთოდ არ არის ცარიელი.

საჩუქარდამშვენებული ხალხი, იმედისფერი უთვალავი მტრედი, თვალებისფერი ჩიტები, ბარტყები, კატები, ძაღლები, გაშიშვლებული ხეები, მარადმწვანე ბალახი, ლურჯი ცა, ყვავილები, ჩამოგლეჯილი ფოთლები, ოღონდ არა მარადიულად, ჩუმი ნიავი, ცაში ამღვრეული ზღვა კი ნაპირთან მიახლოებას ვერ ბედავს. ვიკარგები, ვიძირები ლურჯ ცაში. ჩემს ფიქრებზე ვიღიმი და წვიმის წვეთებში ამღვრეული ცრემლები, ჩემს გამხდარ ლოყებზე იღვრებიან. ქუჩებს ფეხებით ვეალერსები. ნეტა, შემეძლოს გულში ჩავიკრა! ერთი შეხედვით მარტივია, განვლო ეს სავსე ქუჩა, სადაც ფიქრები დადუმებულან და გარს არ გეხვევიან, მაგრამ რაღაც უხილავი ძალა გექაჩება და დარჩენას გთხოვს. მოულოდნელად კი წყდები ქუჩას და იძულებული ხარ მოექცე კედლებს შორის, რომელთა მიღმა სინამდვილეში არაფერი არ ხდება, მაგრამ მაინც ყველაფერი სიყვარულითაა სავსე. ამ კედლებს მიღმა მიტირია და სწორედ აქ ვყოფილვარ უსაზღვროდ ბედნიერი. რამდენ ხანსაც არ უნდა იყო კედლებში თუ მათ შორის, მოსახდენი მაინც უნდა მოხდეს. კედლებში პატარა სარკე მაქვს და ჩემთვის ღმერთივითაა ეს სარკე, სადაც ვერაფერს ვხედავ, ტკივილებისა და აჩრდილების გარდა. ეს აჩრდილი დგას სირთულეების, ჭაობის უკან და დაბრმავებული შეჰყურებს შავ სარკეს.

დიახ, ეს მე ვარ და სადღესასწაულოდ სევდიანი სარკე მიდგას წინ. ორი პატარა მარცვალი, რომელიც კვლავ აყვავდება და შექმნის ზღაპარს, სადაც ყველაფერი უჩვეულოა. ამ ცხოვრებაში ჩვენ არ ვგავართ სამყაროს, მაგრამ სამყარო დაგვემსგავსება ჩვენ!

ერთ დღესაც მოხვალ შენ, ვისაც ქუჩებში დაგეძებ და აი, მაშინ სარკეში გაგაცნობ ჩემ თავს. ეს დასაწყისია. ბევრი კრიტიკა, ბევრი შეცდომა, ბევრი დაცემა საკუთარ თავთან. მოკლედ, უამრავი „ბევრი“. ეს ხომ ცხოვრებაა, აქ უამრავი „ბევრი“ იქნება!..

დაიმახსოვრე, ჩემო სარკევ, რომ არსებობა არსებობს არსებობის არსისთვის!..

ვერ გავუფრთხილდი!

გუშინ უკანასკნელი ფოთოლიც დაენარცხა. ვერაფრით გავუფრთხილდი, ვერ ვუშველე. ჩემი უსუსურობა მეტკინა. ზამთარს დანებდა და უბრძოლველად, უსიტყვოდ გაფრინდა. რა ქნან ახლა მარტო დარჩენილმა ხეებმა. შემოდგომის წერტილად ქცეულიყო შეუბრალებელი ზამთარი. იქნებ ასე ჯობდეს. ახლა ფიქრისთვის უფრო მეტი დრო აქვთ, მარტო დარჩენილ ხეებს. მარტო დარჩნენ განწირული ხეები.

დღეს სიცივემ ისევ გაიმარჯვა და ამ გამარჯვებას მხრებით ვატარებთ, რომ ბოლოს უფსკურანტულმა ღამემ ყველაფერი შეცვალოს. დაუღალავად ვეძებ სიწმინდეს. არ მინდა არაფრის მომტანი დროება. დრო არ ნებდება მანამ, სანამ გასწორებულს უფსკრულისკენ არ გაგაქანებს. ბედნიერ პეპლებს ვერ გავუფრთხილდი, ყველა ჰაერმა შთანთქა. არ მინდა გადამისამართება! ვუმტკიცებდი საკუთარ თავს, რომ უბედური არავინ არ იბადება და დასამშვიდებლად ძილს ვუხმობდი. გავიღვიძე. ღამესაც ვერ გავუფრთხილდი. მინდოდა სიწმინდე მეძებნა და დავინახე, რამდენი ბავშვია უმშობლოდ, მშივრები და გამოწვდილი ხელებით. გაჩერებასთან მივედი და მტრედებიც აღარ დამხვდნენ (მშვიდობის ნასახიც არსად არ იყო), ადრე ყოველ დილით, რომ მეგებებოდნენ. გადავწყვიტე, ჩემი მეგობარი მომეძებნა და რეალობამ უგულოდ მითხრა, რომ ასეთები არ არსებობდნენ. სიყვარული მინდოდა, მაგრამ გამახსენდა, რომ მე არ ვიყავი მწერალი და უეცრად დარდმა იმარჯვა ჩემზე. უბრალო ადამიანობისთვის მინდოდა ხელი ჩამეჭიდა და თითები ერთმანეთს დაშორდნენ! – ვერაფერი ვიპოვე. გრძნობებს ვერ გავუფრთხილდი. თურმე ყველა ვინც ეძებს სულაც არ არის მპოვნელი. ყვირილი მინდოდა, ამოუთქმელი, ისეთი მთელს დარდს, რომ ამოაყოლებ და ქარს გაატან. მაგრამ ვიცოდი, ვერავინ გაიგებდა. ყურებით დაბრმავებულიყო სამყარო. ბოლოს, საკუთარი ლანდი შემძულდა, მანაც მარტო დამტოვა, უთქმელად დაპატარავდა და ფეხქვეშ გამომეცალა.

იქნებ უფრო მეტი ხდებოდა ჩემს თავს, ვიდრე ვგრძნობდი. საკუთარ თავზე ხომ ყველაფერს ვერ იგრძობ და ვერც იტყვი. არის რაღაც, რაც სხვისი თვალებით უნდა ითქვას, მაგრამ ვინღაა გარშემო ამ ხავსმოდებული სიმარტოვის გარდა. ვინ იტყვის იმ რაღაც სიმართლეს. გული მტკივა. შენი რეალობა სხვების მაღვიძარად ხომ უნდა ქცეულიყო, არა?!.. რა ლამაზი ნოველა გამოვიდოდა.

დავინახე. შევიგრძენი. განვიცადე. მეტკინა. ვერ გავუფრთხილდი. საკმარისია!

.....

ადამიანები ცხოვრებას სწავლობდნენ და უსწავლელობას იყენებდნენ სანიშნედ...

ის... აღარ!

პროლოგი

გაფიქრება ცოდვილობაა.
ფიქრი ცოდვის ნაშიერი.
ცხოვრება მარტივი არაა.
ვცხოვრობ და ვცოდვილდები!

* * *

საათი ისე ვერ დავადუმე, რომ ჭიანჭველების სასაფლაოზე არ აღმოვჩნდე. ეს ბატარეაც განა რამდენ ხანს იმუშავებს გაუჩერებლად? ირგვლივ სულ შავი სისხლის ღვარი თუ შეგხვდება. შეგხვდება და გზას გადაგიღობავს, წინ არ გაგატარებს. ეს ჯანდაცვის მოგონილი სისხლიც კი ჩემზე ძლიერია, თავის ჭკუაზე ატარებს დანარჩენებს.

ამ უმთვარეო, უსიყვარულო, უშემოდგომო, უმტევნო ღამეს მოსვლისას ხელში არაფერი ეჭირა, სამაგიეროდ სიკვდილები და ტკივილები წაიღო თან. ღამეს ასე სჩვევია, შური უნდა იძიოს უმზეო ცაზე, ყველა ღრუბელზე სხივები დედამიწისკენ რომ არ გამოატარა და გვამები უნდა გაუგზავნოს სასჯელად. ვინ იცის, რამხელა ზღვა იხრჩობს თავს თვალებში.

რა ფერია ეს ზღვა?

ის... აღარ! აღარ სუნთქავს.

ზღვის ფერდობზე მიაკლეს ჭიანჭველა, ყვავილზე გასრისეს, უცოდველ პურზე მიაძინეს, ცოდვა ჩაიდინეს, ფუსფუსი დაუშალეს მიწაზე, ყველას რომ იტევს იმ მიწაზე.

მიწამ ჭიანჭველა ვერ დაიტია!

დედამიწა დამძიმდა.

ის... აღარ! აღარ შრომობს.

ერთი გენახათ, როგორ იცლებოდნენ ცოცხალი ჭიანჭველები. ეტყობოდა, ის ერთი სატრფო იყო. ზეციური თვალები ჰქონდა, სიყვარულისფერი. ნამდვილი სიყვარულით გახელილი. თავის პატარა ხელებს ზეცას ურტყამდა, მაგრამ კედელს ზევით არავინ იყო დარდის ექიმად მონათლული. პლანეტები თავს იკლავენ, როცა შეყვარებულებს ერთმანეთთან ყოფნა აღარ შეუძლიათ. ფარდა ეშვება და გრძნობის სასაფლაო შენდება.

როგორ მარტივად აშენდა ეს ერთიც!

ადამიანს მხოლოდ სასაფლაოთა შენება გამოსდით კარგად.

ის... აღარ! აღარ დადის.

წესი მივაგეთ სიყვარულმოწყურებულ ჭიანჭველას, შარვალ-კოსტუმში გამოწყობილს, მაგრამ სასო წართმეულს. გლოვის უფლება არ გვქონდა, ის ისეთმა გაიმეტა მე როგორიც ვარ.

ნეტავ, პეპლისხელა ცხოვრება მაინც გაევლო. გავზომე, ათასჯერ გადავითვალე, მაგრამ არ გამოვიდა.

უცოდველ სამყაროში კვდება უცოდველი და მას ცოდვილი კლავს. ზედმეტი ძალისხმევის გარეშე კლავს, საჩვენებელი თითის უმნიშვნელო მოძრაობით. ასეთ შემთხვევაში ორივე ხელზე, ყველა თითს „არათითი“ უნდა ერქვას.

ის... აღარ!

არა! ამას ვერ ვუყურებ. როგორ ამაყად დაუკრძალავთ ჭიანჭველათა ჭირისუფალთ.

იქნებ, მათთვისაც გარდაცვლილი უფრო ღირებულია. მესაფლავე, შენ ახლაც ფიქრობ, რომ გარდაცვლილის ჩრდილი უცებ ავიწყდებათ?

მარტივი წარმოსადგენია, რომ ყველაფერი ნარნარა და ლამაზი სამ დღეზე მეტს ვერ ცოცხლობს.

მე იქ ვიყავი!

ის... აღარ!

ჩემსა და შენს შორის ცის კედელია

შევიგრძენი.

ჭიანჭველები ცდებიან ადამიანებში.

მოუსმენ ჭიანჭველებს და გაიგებ, რომ ცოდვილი ხარ.

აწი მზეს ამოსვლა რომ მოესურვება ჯერ იმ ოცნებადანგრეულ ჭიანჭველას გაუნათებს მიწის ბოქლომიან სარკმლებს.

განერიდე მთვარიან ლეგა ღრუბელს, მას სიკვდილზე ფიქრები მოაქვს!..

ეპილოგი

მე აქ ვარ. რას წარმოადგენს ეს „მე“?

ზეციერო თუ გესმის ჩემი?

მაპატიე, თუ მხოლოდ ტკივილებს განდობ.

დილა გაბატონდება წმინდა და სუფთა!

მე უკეთ გავხვდები!..

უკანასკნელი ადამიანი

ამ სამყაროს ირგვლივ შემაწუხებელი წესრიგია, მომაბეზრებელიც კი: ყველაფერი ერთ ფერში გამხდარიყო, ბუმბულის წონა ჩიტები რკინის ფრთებს აჭმევდნენ და დილაობით ფრენდნენ. ყველაფერი დაჩარჩოებულია, გეგმიურად წიკწიკებს საათის ისრებიც. ჭიანჭველისოდენა გულები ერთმანეთს შორდებიან.

განშორებები მკლავს!

ჰოდა, მეც ამდენი ხანია სიმშვიდით რომ ვიიმედებ თავს. კლდიდან გადმოვარდნილი კაცივით ვეცემი მუხლებზე, ცოდვილ ხელებს ზეცისკენ აღვაპყრობ და ბინდგადაფარებულ თვალებს ვხუჭავ.

– მკვლელო, სისხლიანო! – შორს, სადღაც სიბნელის საუფლოში ლოყებდაბერილი ქერა ქალის სახე ჩნდება და მოახლოებასთან ერთად უმოწყალოდ მიყვირის. უსიცოცხლო მზერას არ მაშორებს.

ცივი ჰაერი გადავყლაპე და სასწრაფოდ გავახილე თვალები.

საათის ისრები ისევ ღამისკენ იპარებიან. მზე ჩადის, ოკეანეს სიწითლე ეპარება. დახეთქილი კლდის თავზე კი მე ვდგავარ, დიდი ყავისფერი ჩექმებით და ველოდები. ველოდები ჯერ არ მოსულს, ვერ შექმნილს. ქარი გაცხოველებით ზუზუნებს ისევ და ასე მგონია, ყურში მილიონობით ბზიკმა ერთდროულად გაშალა ფრთა.

– ხმა ჩაიწყვიტე, შე არაფრის მაქნისო! – ვღრიალებ უკიდეგანოდ, მაგრამ ჩემი ბგერები ჰაერში იკარგებიან.

– რომ არ გავჩუმდე? რომ არ მოვისმინო შენი მონაჩმახი? მე ვერ მომკლავ! მე ადამიანი არ ვარ! – ჩამესმის ზუზუნით მოხაზული ქარის ბგერები და ადგილზევე ვშეშდები.

კი, ნამდვილად შევიშალე! არც მეტი, არც ნაკლები, ქარს ვესაუბრები. ერთი წამი... ერთი წამიც არ მინდა ამ წყეულ დედამიწაზე გასატარებლად.

თქვენ იკითხეთ, როგორი გრძნობაა, როცა ცეცხლწაკიდებულ მზეს ისრუტავს აღელვებული ზღვა? მით უმეტეს, როცა ამ სურათს უკანასკნელად ხედავ. რამდენი ნახატი, რამდენი წიგნი, რამდენი სონეტი დაწერილა მზის ჩასვლაზე? ოჰ, განა ვინ მოთვლის. ესეც გამართლებაა, რომ ჩემს თაფლისფერ თვალებს შეუძლია ამის ნახვა.

მე ბოროტმოქმედი ვარ! სიცოცხლის მკვლელი ვარ! მე უკანასკნელი ადამიანი ვარ!

გონებაში მსუქანი, ბეწვიანი ობობები აფუსფუსდნენ და ლამისაა თავი გამისკდეს. რამდენ რამეს იტანს ეს გონდაკარგული ტვინი. სხვა გზა არ მაქვს. ვდგავარ ნაცრისფერ ქვებზე და მზის მიღმა რაღაცის დანახვას ვცდილობ. ვცდილობ დავინახო სამყარო, სადაც „უკანასკნელად“ ვიწოდები. აქ ყველა მიწად იქცა. მე ამოვხოცე ყველა!

მძულს! ყველა და ყველაფერი მეზიზღება! უფრო სწორად მძულდა, თორემ ახლა აქ კაცის ჭაჭანება აღარაა.

გაცოფებულმა ქარმა ლამის ხელი ჩამავლო და თავისკენ ფრენის გაკვეთილები ჩამიტარა. ამ ქარმა, ამ ხეებმა, ჰაერმა, ამ სამყარომ მე ამირჩია.

როგორ ცხოვრობენ რჩეული უკანასკნელი ადამიანები?

ბედის ირონიაა, მაგრამ დედამიწაზე უკანასკნელი ადამიანი დიდ, გაშლილ სიმწვანეში გალიაში იჯდა და უსმენდა მოზუზუნე ქარს. სულის განცდის გადმოცემა ძალიან ძნელია. ის სცდება საზღვრებს და ადამიანი სიგიჟემდე მიჰყავს. სიგიჟისთვის საზღვრის დაწესებაა დიდი სიგიჟე. მასში იყლაპება ადამიანი.

ბუნების პატიმარს სურდა ელაპარაკა და ესმინა ვინმეს მისთვის, ამოენთხია ტკივილი და ბოღმა. სიცოცხლეში გამეფებული სიჩუმე ბოლოს უღებდა ტუსაღს. ადამიანი ყველაფერზეა წამსვლელი, ოღონდაც რამე გააკეთოს და უმოქმედოდ არ სუნთქავდეს. წარმოსახვითი სამყაროდანაც, ქარიდანაც შექმნის ვინმეს და აალაპარაკებს...

– ისე, დედამიწაზე უკანასკნელი ადამიანის კვალობაზე ცუდად არ გამოიყურები, – უთხრა ქარმა, რომელიც ერთადერთი იყო ხმის გამცემად რომ მოვლენილიყო მისთვის.

კარგად გამოიყურებოდა თუ ცუდად უკანასკნელობის ტუსაღი მარტო დარჩა. მას აღარაფერი დარჩენოდა – არც წარსული, არც აწმყო და არც მომავალი. რაღა თავგადასავალი უნდა ახსოვდეს გონებას, რომლის სხეული მარტოობისთვისაა განწირული.

უკანასკნელია დასავლეთით – იქ, სადაც გამყინვარება პიკს აღწევს და შინაგანად დანაწევრებულს თითები ემსხვრევა, მერე კიდურებიც და ბოლოს ნაწილებად დაფქვეული ცდილობს საკუთარი სხეულის აშენებას.

უკანასკნელია აღმოსავლეთით – სადაც არასოდეს ამოვა მზე, რადგან გასათბობი აღარავინ დარჩა, შვებულებაში გავიდა და გადაწყვიტა მცხუნვარება ღრუბლებს მიღმა დამარხოს.

უკანასკნელია ჩრდილოეთით – სადაც აღარაფერია დარჩენილი, დამსხვრეული ქვებისა და მოკლე ჩრდილის გარდა.

უკანასკნელია სამხრეთით – იქ, სადაც არაფერია დაუსრულებელი ლურჯი ცის გარდა, რომელშიც დავაბიჯებ ბინძური ფეხებით და ხანდახან ონკანს ვაღებ, რომ დედამიწის მოწყურებულ ყელს წვიმა ეღირსოს.

უკანასკნელი ადამიანი ზის სამყაროს მხრებზე, რომელმაც არ იცის რა არის სიყვარული, მონატრება და თბილი ღიმილი. არ აქვს მნიშვნელობა ვინაობასა და რაობას, მანამ არსებობ მხოლოდ, სანამ ვინმემ იცის, რომ ამ სამყაროს ტვირთს მასთან ერთად ზიდულობ. თუკი არავინ დარჩება სამყაროში, დედამიწა წყალში ჩაიძირება, უფსკერო ოკეანეს, სადაც სიტყვების კორიანტელი დატრიალდება. მეც გავქრები, ვინაიდან არავისი ფიქრების სახელი არ მერქმევა, არავინ მირწმუნებს.

შიში.

იმედგაცრუება.

მონატრება.

სიყვარული.

სინანული.

სიცარიელე.

შვება.

დაბადება!

დედამიწაზე უკანასკნელმა ადამიანმა იცოდა გრძნობების სახელები, მაგრამ ვერ შეიგრძნობდა მათ. გრძნობათა სიცარიელემ თავზე ხელი გადაუსვა, აგრძნობინა, რომ არ იყო მარტო. უთხრა, რომ გადარჩენა არასდროსაა გვიანი. ხელებში თავჩარგული იჯდა და ელოდებოდა, რომ სიტყვა „უკანასკნელი“ აზრს დაკარგავდა.

დედამიწაზე უკანასკნელ ადამიანს ეშინოდა საკუთარ თავთან შეხვედრის, თვალებში ჩახედვის...

* * *

პატარაობისას ყოველ ღამე უამრავ ზღაპარს უყვებოდა და ნაზად ეფერებოდა (როგორც ახლა მიწას). ეს იყო დედამიწაზე არსებული სამოთხის იმიტაცია და ბედნიერების მირაჟი. მძიმე იყო ამ ყველაფრის დასასრულთან შეგუება. მძიმე იყო ბავშვობის სიზმრიდან შვილის გამოფხიზლება და სამუდამო ძილისთვის გამეტება, მძიმე იყო ბავშვობის თვალების მოფშვნეტა და რეალობის მუქ თვალებში ჩახედვა.

სამყაროს დაუნდობელი ცა და ადამიანის თვალები წვეთ-წვეთებად იშლებოდა. იდგა შვილმკვდარი დედა, თან რაღაცას უყვებოდა შვილს. ის უკანასკნელი იყო შავფერი ღრუბლების ქვეშ და ისიც შთაინთქა. მუხლდამხობილი კითხულობდა საფლავის ქვას და შვილს უყვებოდა უკანასკნელობის ამბავს, რომელმაც თეთრი ფურცლიდან აიდგა ფეხი და რეალური ადამიანის სხეულში დაიდო ბინა.

რა იცის, დედამიწაზე უკანასკნელი ადამიანის დედამ, როგორ იტანჯება თავისი შვილი ბუნების გალიაში, სადაც მზეც მკვდარია, ადამიანიც და ქარი კვლავ განაგრძობს ბობოქრობას!

უკანასკნელი სიკვდილით დაიწყო გარდაცვალების დაბადება!..

ვაჟა ოთარაშვილი

პოეტური დუეტი

ციკლიდან: „ჩემთვის მოსულხარ იებად...“

(ვაჟა-ფშაველასა და კეკეს (ეკატერინეს) სიყვარულის ისტორია)

1

* * *

ჩამოაღამდა ჩარგლის ცას...
გული მიკვნესის უშენოდ...
მზე უძოს მთასთან წაიქცა,
წამო... ორივემ ვუშველოთ...
წამო... ჩემ გვერდით იარე,
მთები მთებს ნისლით მიება...
მიყვარხარ, ჩემო სიამევ,
ქალავ... მოსულო იებად...

2

* * *

ვერცხლისა ქამარ-ხანჯალი,
შენგან ნაქსოვი წინდები...
ქალავ, როდი ვარ ჯანჯალი,
ძილშიაც შენ მამინდები...
ქალაქს ცოტა ხნით ჩავედი,
ძალა ვატანე ქალამანს,
ჩემი სამშობლო მხარეთი,
ყოველდღე შენთან არა ვარ...

3

* * *

ჩარგალს დაგტოვე გულსევდით,
ხანჯლის წვერით ვჩხვერ დარდებსა,
ქარი მთებს ღრუბლებს უსევდა,
იქნება გაავდარდესა...
მე წამოვედი... ჩავყევი
ქალაქის ქუჩაბანდებსა...
დუქნად დავლიე არყები,
ძალა მივეცი დარდებსა...
გული მანდ დარჩა ტიალი,
მანდ არის... ყელზე გეხვევა...
აქ ფეთქავს, მანდა ტრიალებს,
უყვარს შენს მკერდზე შეხება...

4

* * *

შემოდგომის წვიმებმა,
თმები რად დაგისველა?
ნუ გღლის ჟამთა დინება,
ჩემთან მოდი ისევა...
ვაჟა კი გელოდება
ჟინვალთან და შატილთან...
დარდი მოაქვს ლოდებად
თუ არაგვი ატირდა...

5

* * *

ჰოი, გოგოვ... ნეტა ადრე მენახე...
ნეტა ადრე შემხვედროდი ქალავ...
დამეკრიფა შენი ნორჩი ვენახი,
ჩემგან გეგრძნო სიყვარულის ძალა...

არაფერი უკვე აღარ მიკვირს,
თვალწინ მიდგას შენი იერსახე...
შენზე ფიქრში გადის დღე თუ კვირა
და აქამდე, როგორ ვერა გნახე...

6

* * *

როგორ ძნელია თურმე,
ვაჟავ, გაგიგოს ვინმემ...
მიაჭრიალებს ურმებს,
ქარი არაგვის ჰიმნებს...
ამილახვართა ქალმა,
უპოვა შენს გულს უბე
და ტრფობის ნაზმა ალმა,
ფრთა შეუფაკლა ღრუბლებს...
ჩარგლურას პირას ორნივ,
ხელჩაჭიდულნი სხედან...
შორით ყრანტალი ყორნის
არ ენაღვლება მხედარს...

7

* * *

არ გეძინება ჩემო ერთავ... არ გეძინება,
ზეცას გაჰყურებ, თვალში ითვლი ცრემლის ვარკვლავებს...
ჩემი ლექსები გეფინება ყელზე მძივებად
და ბროლის მკერდზე ყაყაჩოებს გამონასკვავენ...
შენა ხარ ჩემი დარდიც, ოცნებაც
და ჩემი სულის მონათესავე...
ჩემი სიცოცხლის გასხივოსნებავ –
შენი კვნესა მე...

8

* * *

გადაიღალა გოგო,
მატყლის ჩეჩვით და რეხცვით,

გულში რამ ააბორგა
კვლავ მონატრების ცეცხლი...
ისევ ჭიუხში დავალ
თან ვაჩხაკუნებ ფანდურს...
როგორ მიყვარხარ ქალავ,
ასე თბილი და სანდო...
დავამარილოთ ჯიხვი,
მოვკალი ერთი სროლით...
ქმარი მოგივალ რიხით,
ღიმით შემხვდები ცოლი...

9

* * *

მენატრები... სიტყვას ვლესავ ხმალივით,
რომ გავკვეთო ეს მანძილი ტიალი...
მაღლა მთებში ქუხილია ხარირმის
და არაგვი ხეობაში მიელავს...
მე მეგონა ისევ ჩემთან იყავი
და ჩემს მკერდზე ნებიერად გეძინა...
ეს სიზმრები შენთან გამომრიყავენ,
ვარსკვლავებით ზეცა გადაძენძილა...

10

* * *

ჩარგალი და არაგვი –
სიყვარულის არაკი...
შეგეკითხე: „გიყვარვარ?...“
მიპასუხე: „არა... კი...!!!“

ეკა კვანტაღიანი

პოეტური დუეტი

ციკლიდან: „ჩემთვის მოსულხარ იებად...“

(ვაჟა-ფშაველასა და კეკეს (ეკატერინეს) სიყვარულის ისტორია)

1

* * *

გულია – რითმის სალარო,
გრძნობა – ლექსების სათავე...
ტრფობით ვაკვნესებ სალამურს,
შენთან მომიყვანს სამთავე...
ვიძინებ სიზმრის მდელოზე,
თითქოს გზად მიკრეფ ყვავილსა...
ლექსს მითხრობ საქართველოზე...
სხვას შენნაირი ჰყვა ვისა?
არ ვთმობ ოცნებას ძილშიაც...
მთებს გადმოივლის ლიხის მზე,
იები ფარდაგს გვიშლიან,
ჩარგალში შემომიხიზნე...

2

* * *

ჩიტი მოფრინდა სარკმელთან,
სულისშემძვრელად წიაპობს...
დღემ ღამე შუქით გაჰკვეთა,
უნდა მოვირგო წრიაპი...
მოვდივარ!... ნახვა მწყურია...
სანადიროდ ხარ?... ცხვარშია?...

ლექსებს მოვაპყარ ყურია,
ბრძოლაში თუ ხარ ცხარშია...
უნახველობა გეძნელა,
არც ჩემთვისაა იოლი...
ცრემლი მდის, როგორც ენძელა –
უკვე აივსო იორი...

3

ვაჭას...

დარდი ფიქრებში მეხდება –
თვალს თუ მოჰკრავდი დიდოელს...
ქართველზე მეტად შეხვდები,
ტფილისში სპარსს თუ ინდოელს...
ქვეყანა სტუმარ-მასპინძლის
განა სტუმრობას თაკილობს?...
თეძმით... ვარძიით... ასპინძით...
ან მსურს კი ვინმე გავკილო...
ია არ ჩივის – ვარ ჩია,
ისევ გვეხვევა დუშმანი...
შენს გვერდით ყოფნა ვარჩიე
ბორბალოს მთიდან უშბამდე...
შენი ნაბადი ვიფარო,
მზემ დილა გაალამაზა,
გზად წიფელი და იფანი
კვალში მიჰყვება ალაზანს...

4

* * *

ვერც მიწა, ვერც ცა გვიცვნია,
ნეტა მზე ქართლს არ ჩაუქრეს...
შენი, – მთებმაც კი იციან, –
კალმის და ხმლის სიჩაუქე...
ერთი გიპოვე ამ ქვეყნად,
ჩემი გულის და სულისა...
მე, შენი ტრფობა დამყვება
და მახსენდება სულ ისა...
შენზე ფიქრები თანა მდევს,
გულს გული უნდა ედემად...

უფლის ლოცვები გვფარავდეს,
ციდან რომ გადმოგვედება...

5

* * *

შენი ნახვის მოლოდინი მიპყრობს,
გული მკერდში მოუსვენრად ფეთქავს...
მინდა შენთან განუყრელად ვიყო,
რომ გიამბო, რაც ლექსებმა ვერ თქვა...
ჯვარს გავედრებ ლაშარსა და მლეთას...
თუნდ გავიდეს საუკუნე ასი,
სიყვარულის ძალა ვიგრძენ შენთან,
შენგან ვპოვე მიჯნურობის ფასი...

6

* * *

კალამს ქარქაშს არ ჩააგებ
მტერს შეახვედრებ სატევრად...
ტრფობას შენზე და ჩარგალზე,
ერთ ლექსში უჭირს ჩატევა...
წარსულს ვერ შეცვლის წუხილი,
გარდასულ ჟამთა ძიება...
ამ სიყვარულის ქუხილი,
აწმყოს მომავლით მიება...

7

* * *

სიცხე ჩამოწვა... მზე ზეცაში წითლად ელვარებს,
ხვატით დაღლილმა თითქოს ხევმაც ამოიოხრა...
და ენატრება შენი ხილვა დანამულ თვალებს,
ღამით, მთიდან რომ დაეშვება, შენ ის სიო ხარ...
ბარს ჩამოსული ნისლი ისევ მთებში ავიდა,
ხევსურულ ჯვრებით მოგიქარგე ჩოხის კალთები...
რად აგვიანებ? არ ჩამოხვალ ნეტა ფშავიდან?...
მაშინ მოვალ და შენს ლექსებში მოვკალათდები...

8

* * *

შარაზე, ფშაურ ნაბადით,
ამოაგელვე ცხენია...
შენ მითხარ: „თვალ რად ნაბავდი?...
ქალავ ჩემი რად გრცხვენია...“
გუდანის მადლმა, საუფლომ,
დაგვამწყალობნოს მადლითა...
ლექსით ამბები გვაუბნოს,
არ გშორდებოდე ადლითა...

9

* * *

ოცნებით განახელებს,
ვარსკვლავთ დაკრეფას ცდილობ...
მხრებზე შემომხვევ ხელებს,
დარდი რომ ამაცილო...
ტრფობა ნუკრივით ჩვილი
ვავედრეთ გრემს და თელეთს...
მთასავით მომიჩრდილე
და გული გამიმრთელე...
ერთ სულ ვიქეცით ორი,
რაც არ მეჯერა წინათ...
ვარდების მოგაქვს თოვლი
და ყაყაჩოთა წვიმა...
შენთვის შევნატრი ამ ჟამს,
ქართლი მიქციე ფშავად...
სიზმრად აქ მყავდი ვაჟა,
ცხადმა რა დაგიშავა?...

10

* * *

არაგვი და იორი,
მტერი ბორგავს ვერაგი...
„თუმც არ არის იოლი,
წამომყვები?“ – „ვერა... კი!!!...“

ციცინო გრიტიაშვილი

ქოთანი

კი არ აიტანა, რომ იტყვიან, ძლივს აათრია ქოთანი ტროლეიბუსში.

ახალგაზრდა კაცმა თავაზიანად დაუთმო ადგილი.

გოგონამ ოდნავ გაუღიმა მადლობის ნიშნად და დაჯდა.

ქოთანი უზარმაზარი იყო, გოგონა დაღლილი, ტროლეიბუსი – ძველი.

– უკაცრავად, სად იყიდეთ?

– არ მიყიდია.

– გაჩუქეს?!

„ნეტავ თავს დამანებებდე!...“ – არა, მე თვითონ გავაკეთე.

– ლამაზია! – ამბობს ახალგაზრდა კაცი და ქოთანს ათვალიერებს.

გოგონამ არ უპასუხა. ტროლეიბუსის ფანჯრიდან უყურებდა ქალაქის ნაცრისფერ ქუჩას.

„ტვინი გაგეყინება. ყველაფერი ნაცრისფერია... ნაცრისფერი და ულაზათო...“

გოგონა მიხვდა, კაცი ისევ მას ელაპარეკებოდა ქოთანზე...

„ქოთანი – გაცნობის ერთადერთი შანსი“... ფიქრში სათაური მოუძებნა კაცისა და თავის „ურთიერთობას“. „ეს მაკლდა ახლა!“...

ტროლეიბუსი გაჩერდა.

– უკაცრავად, ჩავდივარ! – ვიღაც მიეხმარა ქოთნის ჩატანაში.

ამოისუნთქა.

„რატომ ჩამოვედი აქ?!“

ქოთანი დადგა.

– სად იყიდეთ? – ეკითხება ქალი.

– მე თვითონ გავაკეთე. – პასუხობს და ქოთანს იღებს. „ნეტავ ტროლეიბუსის ფული თუ გადავიხადე?! чёрт с ним!“...

– სად იყიდეთ ქოთანი? – ეკითხება ისევ ვიღაც, – რა ლამაზია!

– მე თვითონ გავაკეთე!

– აააა, მე „ფირმა“ მეგონა. – ტუჩი აიბზუა იმ ვიღაცამ.

ძლივს მიჰყვებოდა ტროტუარს.

„მძიმეა!“

– გოგონა! გოგონა! – ეძახის გზის მეორე მხრიდან ვიღაც, – სად იყიდეთ ქოთანი?!

არც გაუხედია. „ნეტავ ვინმე ნაცნობი გამოჩნდეს!“

ფეხსაცმელში კენჭი ჩაუვარდა.

ქოთანი დადგა.

ფეხსაცმელი წაიძრო. კენჭი გადმოაგდო.

ხელებს ვეღარ ამოძრავებდა.

ცოტა ხანს იდგა.

დაისვენა.

ვიღაცამ გვერდით ჩაუარა, მერე ისევ მობრუნდა:

– ქოთანი იყიდეთ? – ეკითხება.

– არა, ძველი ბინიდან მიმაქვს ახალ ბინაში. – უღიმის.

– მერე, მანქანით ვერ წაიღეთ?! – უკვირს გამვლელს.

– მანქანა გამიფუჭდა. – ისევ უღიმის – „მხოლოდ... საკერავი მანქანა...“ დაასრულა დიალოგი ფიქრში.

ძლივს მიდის სიცხისა და დაღლილობისაგან.

„როგორც იქნა!“ მიაღწია სახლამდე.

ქოთანი ისევ დადგა, „დავისვენოთ ცოტა ხნით!“

ქალი და ბავშვი მოდიოდნენ მისკენ...

– ქალბატონო, ეს ქოთანი არ მიყიდია, მე თვითონ გავაკეთე, თიხაა!!! – ყვიროდა, სახეზე წითელი ფერი ედო.

ქალი მოულოდნელობისაგან გაშეშდა.

– კისერიც გიტეხია! ვის აინტერესებს შენი ქოთანი?!

„მადლობა ღმერთს!“

ქოთანი ისევ აიღო ხელში და გზა გააგრძელა.

სახლს თანდათან უახლოვდებოდა.

კაცი ან ძალიან დიდი იყო, ან გოგონასთან შედარებით ჩანდა ამხელა.

ცხელოდა.

ყოფილ სკვერში ბავშვები ბურთს თამაშობდნენ.

ყველაფერი მტვრიანი იყო და გადახრიოკებული.

– ხომ ხედავ, როგორ დაიღალე, ყველაფერს თავი დაანებე ცოტა ხნით.

გოგონა მიწას დასჩერებოდა.

– ხედავ?! სიცხისაგან ბალახი გახმა... ტყუილად დაკარგე ამდენი დრო. დაღლილობის მეტი არაფერი შეგრჩა.

– ახლა კარგი იქნებოდა მთაში. – ყვითელ ბალახს ჭიჭკნიდა თითებით.

– გინდა წავიდეთ?! – ერთი დღით გასვლა ერთ თვეს გეყოფა.

– „როგორ დავიღალე უშენოდ!“... არა მგონია, მოვახერხო, საქმე მაქვს.

– საქმეები გადადე, მოკვდები.

– არ შეიძლება. გადავდებ და ვეღარ გავაკეთებ.

– შენი ნებაა, – კაცს ოდნავ ნაწყენი კილო ჰქონდა, – სოფი, მე მგონი, შენ თვითონ არ იცი, რა გინდა.

– მე მინდა ფორტეპიანოზე ვუკრავდე ათივე თითით... მაგრამ ვინაიდან ჩემგან ვირტუოზი შემსრულებელი არ დადგება, კლავიატურას ცხოვრებაში ვერ შევეხები, არა და... ძალიან მინდა.

ბავშვებს ბურთი აუზში გადაუვარდათ და ჭუჭყიან წყალში ტყაპა-ტყუპით გადაყვნენ ბურთს.

სოფიკომ ისევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.
– რაღაცის თქმა გინდოდა.
– სხვა დროს გეტყვი.
– ახლა მითხარი.
– რა ცნობისმოყვარე ხარ? – გაეღიმა სოფიკოს.
კაცი აწრიალდა.
– ცნობისმოყვარეობა რა შუაშია!
– კარგი, ნუ ბრაზდები. უბრალოდ, იმის თქმას ვაპირებდი, კარგია ასეთი რომ ხარ.
– როგორი ასეთი?
– აი ასეთი, როგორიც ხარ... და საერთოდ... რომ ხარ!
– შენ როგორი ხარ?
– მე?!! ჩემგან არასოდეს არ დადგება მუსიკოსი... ვურტუოზული შესრულება ღმერთის საჩუქარია... მე... მე გამწირეს...
ბავშვებს ბურთი გამოუგორდათ, კაცმა მსუბუქად დაჰკრა ფეხი და უკან დაუბრუნა...
– ნიკა, თუ შეიძლება გამაცილეთ სახლში. – სოფიკო მერხიდან ადგა...

ზურგს უკან დარჩა სკვერი, ბავშვები და ბურთი.
– ვინმე ხომ არ გამოჩენილა?
– ვინ „ვინმე“?!
– რა ვიცი, აფორიაქებული ხარ და ვიფიქრე ვინმემ ხომ არ გაგაღიზიანა.
– „ვინმე!“... ერთი შენც... რა მნიშვნელობა აქვს! – სოფიკოს უკვე მშვიდი ხმა ჰქონდა.
– სულ მინდოდა მეკითხა, როგორ არის შენი ქოთნების საქმე?
– მე მგონი, ეგ ერთადერთი საქმეა ცოტა კარგად.
– ეგეც კარგია, ცოტა კარგად რომ არის. „რა უნდა ვითომ, ნეტავ რას თამაშობს?!“...
უკვე ბინდდებოდა.
„ქალი ქალია!“...

სოფიკო ფანჯარასთან იჯდა და ეზოს უყურებდა. ეზო ზემოდან ხელისგულისოდენა ჩანდა.
კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.
– სოფიკო, ყავა გექნება. ამ ქარში მაღაზიაში გასვლა არ მინდა.
– კი, მაქვს. – მეზობელ ქალს სამზარეულოში შეუძღვა. საფქვავში ყავა ჩაყარა.
– მომეცი, მე დავფქვავ.
ტელეფონი აწკრიალდა. სოფიკომ საფქვავი მისცა.
– გისმენთ!
მეზობელმა ქალმა ყურადღება დაძაბა.
– ააა, მაიკო, შენა ხარ?!
...
– მართლა?!
...
– სკოლაში რა არის ახალი?
...
– ჩემს მაგივრად მიულოცე.

...

– მაიკო, ახლა სტუმარი მყავს და მერე დარეკე, კარგი? დიდ ბოდიშს გიხდი, ყავას ვსვამთ.

...

– კი, ქოთანი მოვიტანე.

...

– არა უშავს, კარგი გამოვიდა, მე მომწონს.

...

– კარგი, კარგად იყავი.

ყურმილი დადო. სამზარეულოში შებრუნდა.

მეზობელმა ქალმა ყავის დაფქვა გააგრძელა.

– ვინ იყო?!

– ერთი პატარა გოგოა, თერთმეტი წლის.

– ახლობლის ბავშვია?!

– არა, პირველად შემთხვევით დარეკა, მერე კი ერთიმეორე მოგვეწონა და ახლა მირეკავს ხოლმე. ლექსებს წერს. ჩემს მასწავლებელს ხვალ დაბადების დღე აქვსო.

– არ იცნობ?!

– პირადად არა.

„Дура, არ იცნობს და ელაპარაკება ვიღაცის ბავშვს...“

სოფიკომ ყავა მოადუღა.

მეზობელი ჩიოდა, „უცბად ამოვარდა ქარი“-ო.

„რატომ ვუთხარი მერე დამირეკე-მეთქი, იქნებ კიდევ რაიმეს თქმა უნდოდა...“

მეზობელი ყავას სვამდა და თან უამბობდა, როგორ მიუვარდა მეორე მეზობელს საყვარლის ცოლი.

„აი, თურმე რატომ ვერ გავიდა „ამ ქარში“ მაღაზიაში ყავის საყიდლად...“

ყავის ჭიქები გარეცხა.

ნელიმ, ასე ერქვა მეზობელს, დაწვრილებით უამბო რა სიტყვებით ლანძღეს ერთმანეთი მეორე მეზობელმა და მისი საყვარლის ცოლმა.

„ნიძლავს დავდებ, ამას სახლში თუ არ ჰქონდეს ყავა!..“

ნელიმ ამ ამბის თხრობა დაამთავრა და გადავიდა მეორე „საკითხზე“, რა „გაჭირვებით“ გააკეთა მიშენება, რა „გაჭირვებით“ დააგო მუხის პარკეტი, „მადლობა ღმერთს, რომ ახლა ყველაფერი იშოვება, მაგრამ ყველაფერი ძვირია, ძალიან ძვირი...“ თხრობა დაამთავრა.

– ყავისთვის მადლობა, სოფი, წავალ ახლა.

სოფიკომ კარამდე მიაცილა.

ნელიმ გასვლისას აათვალიერა.

– როგორ შეგიძლია სახლშიც მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული?!

სოფიკომ ფეხსაცმელზე დაიხედა.

– რა ვიცი, შევეჩვიე, დაბალქუსლიანზე ვერ დავდივარ. „ჩემი ფეხსაცმელი ეზოს „საბჭოს“ ახალი „განსახილველი თემა“ გახდება...“

– მაგან, გენაცვალე, ვენების გაგანიერება არ გამოიწვიოს. – ნელი კიბეებზე ჩადიოდა.

სოფიკომ კარი მიხურა.

„მაღალსართულიანი შენობების პროექტი უზნეო არქიტექტორის შექმნილია“ – გააკეთა დასკვნა.

ოთახში შევიდა.

იატაკზე თიხის უზარმაზარი ქოთანი იდო. სოფიკოს ფიქრშიც ეშინოდა, ეუხერხულებოდა იმის აღიარება, რომ ეს ქოთანი ზუსტად ისეთი იყო, როგორიც უნდოდა. ბევრი იწვალა, მაგრამ გააკეთა, თხელკედლიანი, თიხითვე მოხატული თეთრი ქოთანი. ეშინოდა, ასეთი თხელი კედელი გამოწვას ვერ გაუძლებსო... გაუძლო...

კარზე ისევ დააკაკუნა ვიღაცამ.

„ნელის ალბათ, რაღაც დაავიწყდა...“

კარი გააღო.

კართან თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭი იდგა.

– გოგა! – გაუხარდა მეზობელი ბავშვის დანახვა, – შემოდი, შემოდი!

– დისკი დაგიბრუნე.

– მაგიდაზე დადე. „ჰენდელი!“

– ეს ის ქოთანია?!

– კი, მოგწონს?

– ძალიან. აუჰ, რამხელაა!

სოფიკოს გაუხარდა გოგას რომ ქოთანი მოეწონა.

– არდადაგების დროს გასწავლი ქოთნის ამოყვანას.

გოგა გ

...

– კარგი, გეტყვი!.. მეზიზღები შენ, იმისათვის, რომ საზიზღრობა ხარ! მეზიზღება საკუთარი თავი, იმისათვის, რომ შენი არსებობა ვიცი! მეზიზღება გარშემო ყველაფერი, იმისათვის, რომ შენ-ნაირები არსებობენ! ხომ გასაგებად ვამბობ?! აღარ დარეკო!

...

აღარ მოუსმინა, ყურმილი დაკიდა.

ვერ მოისვენა.

„საიდან გავახსენდი?!.. უხერხემლო იმპოტენტი!...“

აბაზანაში შევიდა. ხელები დაიბანა. ოთახიდან სკამი გაიტანა, ფანჯარასთან დადგა და ისევ ეზოში დაიწყო ყურება.

ეზო პატარა იყო.

სოფიკო ხედავდა, რა ხდებოდა წინა შენობაში. ვიღაც ქალი სამზარეულოში წითელ ქვაბში რაღაცას ამზადებდა. ვიღაც სხვა ფანჯარასთან წიგნს კითხულობდა.

„არ გინდა სხვისი თვალთვალი და უბრალოდ იძულებული ხარ...“

ერთი ფანჯრიდან კაცი ეზოში იყურებოდა.

სოფიკოს გაახსენდა, დილით ქარი არ იყო და ამ ფანჯრიდან ქალმა დიდი რუდუნებით დაფინა თეთრეული, გაქათქათებული თეთრეული, მოლურჯო რომ დაჰკრავს. ჯერ შალითები გაკიდა თოკზე, შემდეგ ზეწრები, ბოლოს ბალიშის პირები და ცხვირსახოცები.

ამ რუდუნებით დაფენილ სარეცხს ქარი ახლა თოკებზე ახვევდა და შენობის კედელს უხათქუნებდა.

კაცი მშვიდად იდგა ფანჯარასთან.

სოფიკომ ფანჯარა გამოაღო და კაცს დაუძახა.

კაცი ჯერ ვერ მიხვდა, რა უნდოდა ვიღაც ქალს მოპირდაპირე შენობის ფანჯრიდან.

– ჩამოხსენი სარეცხი, ხომ ხედავ დაგლიჯა ქარმა! – სოფიკო გაღიზიანებული იყო.

„საერთოდ აღარ შემრჩა ნერვები. ვინ მკითხავს სხვის სარეცხს?!..“

მეზობელი ნელი „ამ ქარში“ ეზოში იდგა და ვიღაცას ელაპარაკებოდა.

კაცმა სარეცხის ჩამოხსნა დაიწყო.

„ბოთე!.. რად უნდოდა თქმა, ვერ უნდა მიმხვდარიყო თვითონ?!“ ფანჯარა მიხურა. ვერ დაწყნარდა „რა მომდის?!..“

ისევ ვიღაც რეკავდა ტელეფონით.

დიდხანს არ იღებდა ყურმილს.

იფიქრა ტელეფონს საერთოდ გამოვრთავო. მერე გადაიფიქრა, „იქნებ მაიამ დარეკოს“-ო.

– ნუ რეკავ, გესმის?! ნუ რეკავ!..

...

– ნიკა, შენა ხარ?!

...

– სხვა მეგონა.

...

– რა მნიშვნელობა აქვს.

...

– საშინელ ხასიათზე ვარ.

...

– არა, ნუ მოხვალ.

...

– შენ რა შუაში ხარ. – გაეღიმა.

...

– კარგი, თუ გინდა მოდი...

ხელები უკანკალებდა. „დღეს მძიმე დღეა...“. მაგიდა მტვრიანია... როცა ქარია, ყველაფერი მტვრიანდება...“

მაგიდა გადაწმინდა.

საძინებლის კარი გამოხურა.

დაჯდა.

ქოთანს გახედა.

„მართლა კარგი გამოვიდა... მოვა... და მერე რა, რომ მოვა...“

„ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს გადირეკს ნოემბრის ბაღები...“

...რა ცუდია, რომ ჩემგან არასოდეს არ დადგება მუსიკოსი...

– სამწუხაროა, – თქვა მელიამ, – ამ ქვეყანაზე არაფერი არ არი სრულყოფილი“.

გამომძიებელი მაგიდასთან იჯდა და მეზობელი ნელის ჩვენებას იწერდა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მარტო იყო?

– კი, ვიცი, რომ მარტო იყო. მე ცოტა ხნით შემოვედი, ყავა დავლიეთ. მერე ეზოში ჩავედი და დავინახე, როგორ გააღო ფანჯარა და წმენდა დაიწყო.

– არ მოგეჩვენათ, რომ ქარში ფანჯრების წმენდა უცნაური საქციელი იყო?!

– Она была очень странная, საერთოდ, როგორც პიროვნება, ამიტომ არ გამკვირვებია.

– როცა ყავას სვამდით როგორი იყო, მშვიდი, აფორიაქებული, გახარებული? იქნებ შეშინებული?

– აფორიაქებული სულ იყო, რაც ვიცნობ. სიხარულისა რა მოგახსენოთ, სიხარული არასდროს არ გამოუმჟღავნებია. შეშინებულიც არა, რისი უნდა შეშინებოდა?!

– კიდევ ვინმეს ხომ არ უნახავს თქვენს შემდეგ?

– არა. თითქმის არავის არ იცნობდა. არავის არ გვეკარებოდა, სულ სახლში იჯდა. ერთი მე შემოვდიოდი მხოლოდ.

– საერთოდ რას აკეთებდა?

– Я-же сказала, сидела дома, как дура, ყავას სვამდა, სიგარეტს ეწეოდა, ვიღაც ბავშვს ელაპარაკებოდა ტელეფონით, რომერლსაც არც კი იცნობდა, „ლექსებს წერს”-ო. რამოდენიმეჯერ ნასვამიც მოვიდა, მეზობლებმა დაინახეს. ძირითადად კი რაღაცას თითხნიდა თიხით.

– ეს ქოთანი?!

– Это-же самоделка!

– ვერ გავიგე! – გაუკვირდა გამომძიებელს.

– თავისი გაკეთებულია, „სამადელკაა“.

– გასაგებია!

– სულ ვურჩევდი, გათხოვდი. არ გინდა ოჯახი გქონდეს, ქმარი, შვილები და ადამიანურად იცხოვრო-მეთქი. „რომელი კაცი აიტანს ჩემს მეჭურჭლეობა-მექოთნეობას“-ო. „რომ გავთხოვდე, მერე ველარ ვიფრენ“-ო და ამიტომ გადაფრინდა მერვე სართულიდან...

გამომძიებელი წერდა.

– არა, ეგ რომ ნორმალური ყოფილიყო, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით ავიდოდა ფანჯრის რაფაზე, ქარში, ფანჯრების დასაწმენდად?!

– თავისუფლები ბრძანდებით. – თქვა გამომძიებელმა.

– ვინ იცის, რამდენ ხანს უნდა მედგას თვალწინ, თავგახეთქილი და თვალებგადმოცვენილი როგორ გდია ძირს. – მეზობლები გავიდნენ.

გოგა შემობრუნდა.

– რამის თქმა გინდა?! – ჰკითხა გამომძიებელმა.

– არ მოუსმინოთ ნელის, უსაქმურია და ჭორიკანა, – ქოთანთან მივიდა, – ეს ქოთანი თეთრი თიხით არის ნაძერწი. ნახატები შავი, წითელი და ყავისფერი თიხის ხსნარით არის შესრულებული. წინასწარ უნდა განისაზღვროს გამოწვის შემდეგ რომელი თიხა რა ფერი დადგება და რა ეფექტს დატოვებს ქოთნის ძირითადი თეთრი ფერი. ამხელა ქოთნის ამოყვანა ასეთი თხელი კედლით ადვილი არ გეგონოთ, შეიძლება გამოწვის დროს გასკდეს...

– შენც იცი ქოთნების ამოყვანა?

– არა, მაგრამ სოფიკო მპირდებოდა არდადაგების დროა გასწავლიო... ძალიან მინდოდა მესწავლა...

– ერთი ჩემი ახლობელიც კერამიკოსია. კარგი კაცია. თუკი გამომივლი, მიგიყვან და აუცილებლად გასწავლის.

„შემთხვევით გადავარდა თუ თავი მოიკლა?! რატომ?! ხომ ისე ცხოვრობდა, როგორც სურდა?! სვამდა, ეწეოდა...“ „რაღაცას თითხნიდა თიხით“, გაახსენდა მეზობელი ნელის ნათქვამი.

მანქანა დაქოქა.

„ბოლოსდაბოლოს დავწერ: მხატვარი იყო... მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით მოუნდა ფანჯრის რაფაზე ასვლა და ფანჯრების დაწმენდა... ქარში“...

ქარი ჩამდგარიყო.

წვიმდა.

უსიამოვნო გრძნობა მაინც ვერ მოიცილა, თვალწინ ის მშვენიერი ქოთანი ედგა.

ნოშრევანა

წინა საღამოს ცხრა საათიდან მკვდარი ქალაქი ნოშრევანას ხმამ გააცოცხლა.

– ნავთი გოგოოოო!.. ნავთი ბიჭოოოო!.. ნავთი, ნავთიიი!..

იცოცხლე, ხმა ომახიანი ჰქონდა.

„ესე იგი უკვე შვიდი საათია“. გაიფიქრა ქალმა საწოლში და საათს შეხედა. „ზუსტად!.. ეს კაცი კრემლის საათივით ზუსტია“.

– ნავთი, ნავთიიიი! – გაიმეორა ხმამ.

ქალი საწოლში წამოჯდა.

– რა იყო, ნოშრევან, წუხელის სახლში არ შეგიშვეს?! – გამოეხმაურა ვიღაც პირველი სართულიდან, – ღამე არა გძინავს?!

– რა ვქნა, ალექსეევიჩ, ხუთი შვილი მყავს, რჩენა უნდათ!

– ხუთი შვილი რა ამბავია, ნოშრევან, სახლში სხვა საქმე არა გაქვს?! – იცინის ალექსეევიჩი.

– ცივა, ალექსეევიჩ, ცივა, სუ ვწევარ! – პასუხობს ნოშრე და – ნავთი, ნავთიიიი! – გაჰკივის.

– ნავთს შენა ჰყიდი და ისევ შენა გცივა?! – უკვირს ალექსეევიჩს.

– რო ვყიდი, იმიტო მცივა, რო ვყიდულობდე დამცხება, – უხსნის ნოშრე და – ნავთი, გოგოოო!.. ნავთი ბიჭოოო!.. ნავთი „კასანდრა"!.. ნავთი „იზაურა"! ნავთიიიი! – თან საქმეს აკეთებს.

– ნავთი შენ და სატკივარი! – გამოეხმაურა რომელიღაც მეზობელი რომელიღაც ფანჯრიდან.

„პროვინციელი!" გაიფიქრა სხვა მეზობელმა სხვა შენობის სხვა ოთახში, „დედაკაცივით იწყევლება".

– რათა სატკივარი, გენაცვალოთ ნოშრე, მა ნავთი არ გინდათ? – არ ბრაზდება ნოშრე.

– ნოშრე, ბავშვები ნუ გამიღვიძე, ცოტა ხმადაბლა იყვირე. – ეუბნება ვიღაც.

– ხმამაღლა ვყვირი არა ყიდულობთ და ხმადაბლა რო ვიყვირო, მერე ხო სულ არ იყიდით! – და ნოშრე უფრო ხმამაღლა გაჰყვირის – ნავთი, ნავთიიი! გენაცვალოთ ნოშრე! იყიდეთ ნავთი სუფთა, ნავთი წკრიალა, ნავთიიიი!

– მანანااა! მანანااااა! – ეძახის ერთი შენობის მეცხრე სართულის ფანჯარა მოპირდაპირე შენობის მესამე სართულის ფანჯარას – მა-ნა-ნااა!

– უფრო ხმამაღლა დაუძახე, ხო ხედავ, ვერ აგონებ! მაგან ისეთი ძილი ციიიის! – ასძახა ნოშრემ მეცხრე სართულს და მერე თვითონ ისეთი ხმით დაიძახა – მანანااااა! – მარტო მანანამ კი არა ერთი-ორმა სხვამაც გამოიხედა.

– ლია გეძახის, გოგოოო! მეცხრე სართულის ლიااა! – აუხსნა ნოშრემ და ურიკა გააგორა.

– ჩემთან ამოდი, საქმე მაქვს, – ეუბნება მეცხრე სართულის ფანჯარა მესამე სართულის ფანჯარას.

– ლიااა! ნავთი არ გინდა?! რასაც შენ და მანანა ყავას ადუღებთ „ფეჩზე"!.. – და ვინაიდან ნოშრემ იცის ლიას დღეს ნავთი არ უნდა, კმაყოფილი ყვირილს აგრძელებს – ნავთი, ნავთიიი!!! – ერთი კარგი საქმე გააკეთა, მანანა გააღვიძა – ბიჭო ვასოოო!!! ბებიაშენმა არ დაგიბარა ნავთი იყიდეო?! გუშინ აღარ ექნებოდა!

„ბებიაშენს მოუკვდი შენ!" გაიფიქრა ქალმა სამზარეულოში.

– ნოშრე, რომელი საათია? – ეკითხება რომელიღაც კაცი-ფანჯარა.

– რვა საათია, გოგი, გენაცვალე! ზუსტად რვა. რატო „ბუდელნიკს" არ ყიდულობ, მე რო არ გაგაღვიძო ხო დაგაგვიანდება და ეგ არიი! ნავთი, ნავთიიი!!! გაიღვიძეთ ხალხოოო! იყიდეთ ნავთი წკრიალა, ნავთი სუფთაااა! ნავთიიი!.. ნავთი „იზაურაااა!"

– ნოშრე, ნახევარი ლიტრი მომეცი და ფულს ხვალ მოგცემ, – ეძახის მეხუთე სართულიდან ქალი.

– „სიფთაზე" ნისია გაგიგონიათ კაცო?! – უკვირს ნოშრეს, – ჩამოდი, ჩამოდი, ერთ ლიტრს მოგცემ, შენი ბავშვების ამბავი რომ ვიცი, ნახევარ ლიტრს შეშის ერთ შეკეთებაზე ასხამენ. ოღონდ ფული ხვალ აუცილებლად უნდა მომცე, ხო იცი, მეც „პოსლეზე" მაძლევენ. – თანხმდება ნოშრე. – ნავთი „კასანდრა" ნავთიიი!!!

– ნოშრე, შენი ჭირიმე, ახლა დაბლა ნუ ჩამომიყვან ამ სიცივეში, თოკს ჩამოვუშვებ და მოაბი, – სთხოვს ქალი.

– კარგი, ჩამოუშვი! ოღონდ ცარიელი ბოთლი მოაბი, ხო იცი, ჭურჭელი მიჭირს.

ქალმა თოკით ჩანთა ჩამოუშვა.

– ნოშრე, „პერაშკებიც" არის ჩანთაში მიირთვი, სანამ ცხელია.

ნოშრემ ნავთი „აუგზავნა" და „ბარტერული" გაცვლა დამთავრდა.

– ნავთი გოგოო!!!.. ნავთი ბიჭოოო!!!.. იყიდეთ ნავთიიი!!!.. ნათელااა!!! ნავთი არ გინდა გოგოოო?!!.. მერე ეგეთ ნავთს აღარავინ მოგცეეეემთ!

– ნავთი, თქვე კაი დედმამისშვილებო, ნავთიიი!!! – იძახდა ნოშრე და ამ ყვირილ-ყვირილში თანდათან თენდებოდა.

ასე იყო ყოველ დილით იმ ქალაქის იმ მიკრორაიონში დილის შვიდი საათიდან. ფანრით, ურიკით, ნავთითა და ომახიანი ხმით ნოშრევანა ეზოებს უვლიდა.

ნოშრევანას „სამუშაო საათები“ დღის თორმეტ საათზე მთავრდებოდა.

„უკვე ცხრა საათია!.. რამდენ ხანს მძინებია!.. ვერც საუზმობას მოვასწრებ და სამსახურშიც დავაგვიანე“, გაიფიქრა ქალმა საწოლში და უცნაურად მოეჩვენა ნოშრევანას ხმამ რომ არ გააღვიძა ამ დილით.

„ისე ღრმად მეძინა, რომ ნოშრევანას ხმა ვერ ავიგე ?!“ გაუკვირდა.

– ნოშრე ამ დილით არ იყო?! – ჰკითხა ვიღაცამ ვიღაცას ერთი შენობის მეორე სართულიდან მეორე შენობის მეშვიდე სართულზე.

– არ ვიცი, ხმა არ გამიგია. – პასუხობს მეშვიდე სართული.

– ნოშრევანას ნავთი არ ჩამოუტარებია?! – ისევ ეკითხება რომელიღაც ფანჯარას რომელიღაც ფანჯარა.

– რატომ ნეტავ?! სულ მაგის ხმა მაღვიძებს ხოლმე.

– როგორ გავიდე ნავთისთვის ამ დილაადრიანაად?! – შეწუხდა რომელიღაც სართულის ბინა.

– ვაა, ფული მქონდა მისაცემი!

ნოშრევანა არც მეორე დღეს გამოჩენილა...

არც მესამე დღეს და...

არც მთელი კვირა...

მერე კი ვიღაცამ ამბავი მოიტანა, „ნოშრევანა მოუკლავთო“...

„ტყუილი იქნება“-ო – არ დაუჯერეს...

მერე კი...

– ნოშრევანა სახლში მთვრალი მოდიოდა თურმე, ვიღაცეები დახვედრიან და მოუკლავთ...

– არა, თვითონ კი არ ყოფილა მთვრალი, თვითონ არა სვამდა, მთვრალებს აშველებდა თურმე და ჩხუბში შემოკვდომიათ...

– ნოშრევანას მანქანა დასჯახებია, საავადმყოფომდე ცოცხალი მიუყვანიათ და იქ მომკვდარა...

– ნოშრევანასთვის ინფაქტს დაურტყამს...

– ნოშრევანას თავი მოუკლავს...

– ...რა ეშველებათ იმის ხუთ შვილს?!

... იმ ქალაქის ის მიკრორაიონი ჩაკვდა.

დილით უკვე აღარავინ აღვიძებდათ:

– ნავთი გოგოო!.. ნავთი ბიჭოოო!!!

...მაღვიძარები მომართეს.

... ნავთზე თვითონ დაიწყეს სირბილი.

ჩუმად იღვიძებდნენ დილით.

ერთიმეორესაც იშვიათად ხვდებოდნენ.

... მერე ვიღაც სხვამ დაიწყო სიარული ურიკით.

„მაგას სად ველოდოთ?!“-ო, მეზობლები თითქმის არ ყიდულობდნენ.

...ხმამაღლა არავინ ამბობდა, თორემ იმ ქალაქის ის მიკრორაიონი ნოშრევანას გლოვობდა ...

...ერთ დილით კი...

– ნავთი გოგოოოო!!!.. ნავთი ბიჭოოო!!!.. ნავთი გენაცვალოთ ნოშრე, იყიდეთ ნავთი „იზაურაა-აა“!!! ნავთიიიი!!!...

„ესე იგი, უკვე შვიდი საათია!“, გაიფიქრა ქალმა საწოლში და წამოჯდა.

ნამძინარევმა გონებამ უცებ ვერ გაიაზრა, რა მოხდა...

მერე კი ...

– ცოცხალი ხარ, ნოშრე?!

– სადა ხარ, შე დალოცვილო?!

– გამარჯობა, ნოშრეე!!!

– ნოშრე, შენა ხარ თუ მეჩვენება?!

– ნოშრე ასე დაკარგვა შეიძლება, კაცო?!

იმ მიკრორაიონის ყვალა ფანჯარა ერთად ელაპარაკებოდა ნავთის ბოთლებით სავსე ურიკასთან მდგარ გაკვირვებულ და გაღიმებულ ნოშრეს და ნოშრევანაც ყველა ფანჯარას ერთად პასუხობდა:

– რატო არ უნდა ვიყო ცოცხალი რა, ავადმყოფსა ვგევარ?!

– „ინფაქტი“ რათ უნდა მქონოდა რა, მერე ჩემს შვილებს შენ შეინახავდი?!

– ისეთი ლამაზი ცოლი მყავს, იმის მარტო დატოვება არ შეიძლება! ცოცხალი უნდა ვიყო, ცოცხალი!

– თქვენი ცოდვით მიქელ-გაბრიელი არ მიმიღებს, არა!!! ამ სიცივეში ნავთზე სად უნდა ირბინოთ?!

– ნავთი, ნავთიი!!!...

– შვებულებაში გავუშვი ჩემი თავი, ალექსეევიჩ, ხუთი წელია გემსახურებით, სამკვირიანი შვებულება აღარ მეკუთვნოდა?!

– ნოშრე, ნავთს რომ გაყიდი, ისევ აქ მოდი!

– ნოშრე, არსად არ წახვიდე, იცოდე!

– ნოშრე, ეგ შენი ურიკა აი, აქ დატოვე, ხელს არავინ მოკიდებს. შენ დღეს სახლში ფხიზელს ვერ გაგიშვებთ.

ნოშრე უცბად მორჩა ნავთის გაყიდვას...

...და სანამ ნოშრემ ნავთი გაყიდა...

ვიღაცამ მჭადი ჩააკრა,

ვიღაცამ ლობიო გააცხელა,

ვიღაცამ ხაჭაპური გამოაცხო,

ვიღაცამ ქათამი მოხარშა,

ვიღაცამ კვერცხი.

ვიღაცამ სამწვადე მოიტანა,

ვიღაცამ კარტოფილი შეწვა,

ვიღაცამ სარდაფიდან ღვინო ამოიტანა,

ვიღაცამ – არაყი.

ეზოში დადგმულ მაგიდას სხვა მაგიდა მიადგეს და მერე კიდევ სხვა.

კარვით გადახურეს...

მაგიდებთან გრძელი ხის სკამები დადგეს და...

სუფრა გაიშალა.

– ნოშრე, შენს ყვირილზე თუ არ გავიღვიძე, იმ დღის მუშაობას ბარაქა არა აქვს!

– კაცო, საათს აღარ ვმართავდი, ისე ზუსტად „მუშაობდა“!

– შენს აქ არყოფნაში რაც ჩვენ ვიწვალეთ და ნავთზე ვირბინეთ, არა გცხვენია?!

– გმადლობთ ხალხო, – ამბობდა შემთვრალი ნოშრე და ეღიმებოდა, – არ მეგონა, ეგრე იდარდებ-დით, თორემ ყველას ცალ-ცალკე ჩამოგივლიდით, ხვალიდან „შვებულებაში“ ვარ-მეთქი!

– ხუთი შვილი იმიტომ მყავს, რო!.. განა მართლა სუ ვწევარ!.. ბავშვები მიყვარს... ბავშვებთან თამაში მიყვარს... რო იზრდებიან მერე ჩემთვის აღარა სცალიათ... სუ გაკვეთილებსა სწავლობენ. სანამ პატარები არიან, ზღაპრებს ვუკითხავ, ან... რაღაცეებს ვიგონებ ზღაპრებივით და ვუამბობ... ეგრე დღეები მალე გადის!..

– ყველას გიცნობთ. სუ ვიცი, ვინ რომელ სართულზე ცხოვრობთ და ვინ რომელ საათზე დგებით, ვის რა გქვიათ.

– ბიჭო, გეცოდინება, აბა რა იქნება, შენი „სპეციალობა“ ეგ არი!

– ...ვინ როდის გადიხართ სახლიდან და სად გადიხართ!.. ვინ რას საქმიანობთ !.. სულ ვიცი...

„ნატა მართლა იცის?!“ გაიფიქრა ვიღაცამ და შერცხვა.

– რაც უბანში ჭორებია, სულ ნავთის რიგში ლაპარაკობენ და მესმის, რა ვქნა!

– ნოშრეს გაუმარჯოს, ნოშრეს! დილას ეგ გვითენებს. ნოშრე რომ დაიძახებს „ნავთი გოგოოო!.. ნავთი, ბიჭოოო!!!“ ვიცი, რომ იმ დღის ცხოვრება უკვე დაიწყო.

– თქვენ გაგიმარჯოთ, ხალხო! მეზობლობას გაუმარჯოს! მეგობრობას გაუმარჯოს! ადამიანის სიყვარულს გაუმარჯოს! კაი „გამარჯობას“ გაუმარჯოს!

– ნახე, ნოშრევანას რეები სცოდნია!

გვიან ღამემდე ისმოდა სადღეგრძელოები, სიმღერა და სიცილი.

მერე კი მთვრალი „მიკრორაიონი“ თანდათან სახლებში წავიდ-წამოვიდა.

„ვიღაცას ვჭირდები!..

მარტო ჩემს ცოლ-შვილს კი არა, ღმერთო!..

კიდევ ვიღაცას!..

მარტო ნავთის საყიდლად კი არა!

ისედაც!

გაიგე, ღმერთო, რა მითხრეს?!

„შენით იწყება იმ დღის ცხოვრება“-ო!

აუუჰ!!!

რა კარგი რამეა ეს დალოცვილი სიცოცხლე, ეეე!!!

ადამიანი ხომ სულ წვალობ, წვალობ, წვალობ... და მაინც კარგია!..

ხო ყველა ემდურება სიცოცხლეს, სიკვდილი მაინც არავის არ უნდა. თურმე, კაცი რომ თავს იკ-ლავს, სახეზე სინანული ახატია, ბოლოს სიკვდილს ნანობს, სიცოცხლე უნდა.

იმიტომ რომ სიცოცხლე კარგია.

ვინმეს რომ სჭირდები...

ვინმეს რომ აკლდები...

ვინმე რომ გელოდება, იმიტოა კარგი!

აუუუჰ !!!“

ფიქრობდა სახლისკენ არეული ნაბიჯით მიმავალი ნოშრე და თვალები ეცრემლებოდა.

– ნავთი გოგოოო!!! ნავთი, ბიჭოოო!!! ნავთი სუფთა, ნავთი წკრიალა, ნავთიიი!!! – გააცოცხლა „მკვდარი“ მიკრორაიონი ნოშრევანას ხმამ.

„ესე იგი, უკვე შვიდი საათია!“ გაიფიქრა ქალმა საწოლში და წამოჯდა. საათს შეხედა.

„...შვიდს უკლია თხუთმეტი წუთი“... (!!!) ნოშრევანას მექანიზმი მოეშალა!..“

ისევ დაწვა.

– ნავთი შენა და სატკივარი. – გამოეხმაურა რომელიღაც შენობის რომელიღაც ფანჯარა.

„პროვინციელი!“ გაიფიქრა სხვა მეზობელმა სხვა შენობის სხვა ოთახში.

„დედაკაცივით იწყევლება“.

– რათა სატკივარი, გენაცვალოთ ნოშრე, მა ნავთი არ გინდათ?! ნავთი, ნავთიიი!!!

გარდენია შევარდნაძე

სტუმარი ღვთისაა

შვიდი-რვა წლის წინანდელი ამბავი მინდა მოგიყვეთ, – წერს ავტორი. საპატივცემულო სტუმრები მყავდა გერმანიიდან, ბოტანიკოსი პროფესორები და საქვეყნოდ ცნობილი მებაღეები. რა თქმა უნდა, გურიაში წავიყვანე. ერთ დღეს შემოქმედი ვაჩვენე და გომის მთაზე გადავწყვიტე ამეყვანა მზის ჩასვლის სანახავად. ვიფიქრე, გზად, ბჟუჟის პირას, ჩაქუხაზე, ფაცხებში ვასადილებ-მეთქი და საგზალი არ წავიღე. მდინარის პირას, თევზზე მეტი, ადამიანი დაგვიხვდა, იყო ჟრიამული და ღრიანცელი გაუდიოდათ გურულებს. აღარ გავჩერდით და იმის იმედით, რომ რამეს გზად ვიყიდდით, ავედით მთაზე. თქვენც ნუ მომიკვდებით, არც მაღაზია, არც რამე დუქანი, ხმელი პურიც კი ვერ ვიშოვეთ. მოგვშივდა, დროდადრო მეკითხებიან სტუმრები, რა უნდა ვჭამოთ? მზის ჩასვლამდე ჯერ ადრეა. ვამშვიდებ, როგორც ვახერხებ...

სხვა გზა არ იყო, ჩამოვუარე მთაზე საიალაღოდ ამოსულ აჭარელი მწყემსების სახლებს, შედარებით მოწესრიგებული ეზო შევარჩიე; კიბეზე მასპინძელი, თავდაბურული შუა ხნის ქალი, მეზობელს ესაუბრებოდა. ქალს დიდი, ქინძის, პრასისა და მაკიდოს კონა ამოედო იღლიაში. შევედი, თავაზიანად მივესალმე და ვუთხარი, ოთხი უცხოელი სტუმარი მახლავს, ხომ ვერ შეძლებთ გვასადილოთ-მეთქი.

არ დაფიქრებულა, მობრძანდით, თუ არ მემასხრებით, საჭმლის მეტი რა მაქვსო. ოთახის კარები ფართოდ გააღო და დაგვიძახა, ჰაიდე, ბუირუმს, მობრძანდით, თქვენი ჭირიმეო.

სახლში, რომ შევედით, სუფრაზე უკვე ელაგა კოხტად დიდი ემალის ჯამით ყაიმაღი, ჩლეჩილა ყველი, ბევრი მწვანილი და ბოლოკი, ღუმელზე იდგა ბორანო და სინორის ფირფიტებს ნივრიან მაწონსაც ასხამდა. დიდი ბელტივით ჭადის დაკვრა როდის მოასწრო, არ ვიცი. დავსხედით და უთავმოყვარეოდ ბარაქიანად გეახელით. ბოდიში მოგვიხადა, ჩემი ქმარი სახლში არ გახლავთ, სტუმრებს გადეცით არ იუხერხულონო. თავისი მაზლი, იოსები, წარმოგვიდგინა... მეზობლის ქალმა დოქებით კამპოტი შემოიტანა და დიდი ხის ჯამით შავი ქლიავი დადგა, ბარიდან დღეს გამომიგზავნეს, მიირთვითო.

ისე გვეხვეოდა თავზე ყველა, მონატრებულ შინაურს რომ დახვდები და უმასპინძლებ. ჩემი სტუმრები გაკვირვებული აკვარკვალებდნენ თვალებს. ნელ-ნელა ივსებოდა ოთახი მეზობლებით, ცოტა არ იყოს და ისინიც გაკვირვებული გვიცქერდნენ. იოსებმა გარმონი რომ გაწელა და ყველამ ერთხმად დაამღერეს „ბახმაროს მთებზე დაუთოვია, ჩემს შეყვარებულს სხვა უთხოვიაო“, ვოლფრამის თვალებზე კურცხალი შევნიშნე. ანდრიასმა კამერა საწოლის თავზე ჩამოკიდა და გაინაბა. ბოლოს ბორეგი მოგვიტანეს, ეგება ტკბილი გესიამოვნოთო და მოცვის ჩაიც შემოგვთავაზეს. მეზობლის

ქალებმა ჩონგურიც გააჩინეს, ენა და პირი ვერ აღწერს ისე მოგვალხინეს, იშაირეს: „აბლამ უთხრა ემიასო, ჰაიდე წევდეთ ნენიასო, ერთი ღამე ჩემთან დაწევ, გამოგიწერ პრემიასო“. ეს დამამახსოვრდა. ოჯახის რძალმა ქილებით ყაიმაღი, მაწონი და ჩლეჩილა ყველი გამოგვატანა, ზეინეფ ბებიამ კი ყველა სტუმარს ჭრელ-ჭრელი წინდები ჩამოურიგა. „უბრალო არ ეგონონ, ნენი, ჩემი ხელით დართული და დაქსოვილია, ასლი ღაზლისაააო“. ერთ-ერთმა გაკვირვებულმა სტუმარმა, საფულისკენ მიმითითა. მე ვუთხარი, თუ გნებავთ ამ ოჯახს და ხალხს შეურაცხყოფა მივაყენოთ, კი ბატონო-მეთქი. გაიყურსა.

ნახევარმა სოფელმა გამოგვაცილა, კიდევ გვესტუმრეთ აუცილებლადო, მოგვეფერნენ, მოგვეალერსნენ.

მადლობას, რომ ვიხდიდით, „ჩვენ რა შუაში ვართ, სტუმარს ღმერთი გვიგზავნისო“.

მზეს ძვლივს მივუსწარით, თითქმის ჩასული დაგვხვდა. ჩემი სტუმრები ძალიან აფორიაქებული იყვნენ, მე კი შევიფერე, თითქოს სულ ასე დავდივარ მუქთად და ვითომ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყოს. ბოლომდე არ გავტყდი, მეტიც, ავიჩემე, რა მოხდა ქარველები ვართ, არაფერია ამაში განსაკუთრებული-მეთქი. დღემდე იხსენებენ ამ ამბავს, უყვებიან ყველას ემოციით და აღტაცებით. მეც, როცა გავწბილდები და უიმედობა დამეუფლება ხოლმე, გავიხსენებ იმ დღეს, ღარიბი მწყემსის ოჯახში რომ ვიყავი დარწმუნებული, და ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ქვეყანა გადარჩება და დიდხანს, ძალიან დიდხანს არაფერი საშიშროება არ დაემუქრება...

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ

ᲛᲐᲠᲘᲐ! ᲛᲐᲠᲘᲐ! ᲛᲐᲠᲘᲐ!

Марія! Марія! Марія!

Марія! Марія! Марія!
Мале, Марія!
аღар შემიძლია ქუჩებში!
Момиშვი!
არ გინდა?
შენ ელი –
და როცა წმინდა და სუყველას ნასინჯი ლოყები
ღრმულებში ჩაცვივა,
მე მოვალ უკბილო და ჩაგიჩიფჩიფებ,
რომ ამ დღეს
„საოცრად მართალი“ კაცი ვარ.

ხომ ხედავ, მარია,
მე უკვე ნელ-ნელა, მხრებშიაც ვიხრები.

ხალხი კი ქუჩებში
ოთხკეცა ღაბაბის გადავლით,
გადმოღვრის ცხიმსა და
ორმოცი წლის ნაღვლით თვალებს რომ დაქაჩავს,
ერთმანეთს გადაუჩურჩულებს,
რომ მე მაქვს კბილებში
ჯერ კიდევ
გუშინდელ ალერსის გამხმარი ფუნთუშა.

წვიმამ დაატირა ტროტუარს –
გუბით ჩაუბღუჯავს ბაცაცა,

სველი – ქვაფენილით ჩაქოლილს
ქუჩის გვამს ლოკავს და წამწამთან
ჰო, ეს წამწამია – ჭაღარა,
წამწამი ყინულის ლოლოთა,
ცრემლები თვალიდან,
თვალი კი, მილია საწვიმრის –
მოწვეთავს.

აი, ამოსვლიპავს გამვლელებს
წვიმის სიფათი და ეტლებში –
მსუქანი ათლეტი ათლეტზე მიკრულა,
ასკდებათ ხორცი და იქიდან ნახეთქში
ცხიმია –
მოჟონავს
და დასდის ნიაღვრად
ნალოღნი პურით და
ნაღეჭი კატლეტით
ეკიპაჟს სწორედ იმ ათლეტით.

მარია!
როგორ?
როგორ ჩავტენო
გაქონილ ყურებს ჩუმი სათქმელი?
ჩიტი ხან აქ და
ხან იქ გაკენკავს,
მერე მშიერიც ლამაზად მღერის.

მე კი კაცი ვარ,
უბრალო კაცი,
ის ვინც – ჭლექისაგან დაჭმულმა ღამემ
ჭუჭყიან მკლავზე ახველა პრესნის.

მარია, გესმის?
გინდა ამგვარი?

მე დაკრუნჩხული თითებით ვუჭერ
ზარის ლითონის ყელს –
გამიღე!

გადარეკილი –
მხეცდებიან ქუჩები, უჩანთ –
კისერზე ჭყლეტის ნატერფალები.

მტკივა, მარია!
ხედავ?
თვალებში შემრჭობია
ქალის ქუდის ქინძისთავები!

მიღებს!
პატარავ,
ნუ გეშინია,
ამ ჩემს –
ხარივით კისერს –
გაფაშფაშებული ქალები სველი მთებივით დაჰყავს,
მთელი ცხოვრება ასე მოვათრევ –
მილიონი – სუფთა სიყვარულია
ორი ამდენი – ჭუჭყიანი, პატარა კახპა.

ნუ გეშინია!
როცა ღალატის ავი ჟამი მოვა, მარია,
მე მიმიკრავს
„მაიაკოვსკის მოყვარული“
ათასობით ლამაზი სახე
და ეს ხომ დინასტიებია,
შეშლილის გულზე რომ ავიდნენ –
დედოფლად დასხდნენ.

ახლოს, მარია!
მოურიდებელ სიშიშვლეში მოცახცახეს –
შენ გეშინია?
მომეცი შენი ბაგეების უჭკნობი ხიბლი.

მე და ჩემს გულს მაისამდე არასოდეს არ გვიცოცხლია,
განვლილი გზები
ასიოდე აპრილს თუ ითვლის.

მარია!
პოეტი სონეტს უძღვნის ტიანას,
მე კი ვარ ხორცი –
ადამიანი მხოლოდ! მარია!
და შენს სხეულს ვითხოვ, უბრალოდ –
ისე, როგორც ქრისტიანები
ითხოვენ:
– პური არსობისა

მოგვეცი ჩვენ, დღეს.

მომე, მარია!
მე მეშინია არ დამავიწყდეს შენი სახელი,
ისევე, როგორც ეშინია პოეტს დაკარგვის –
რაღაც, ღამის სატანჯველით ნაშობი სიტყვის,
რომელიც თავის სიდიადით ღმერთის ტოლია!

მარია, გესმის?
მე შენს სხეულს ისე მოვუფრთხილდები,
როგორც ომიდან მოწყვეტილი ჯარისკაცი –
უსარგებლო, უნათესავო,
დაჰკანკალებს თავის
ერთადერთ კიდურს.

გინდა?
არ გინდა!
ჰაჰ!
ესე იგი
ისევ ბნელი, უძლური,
ავიღებ გულს და ცრემლით დავწვეთავ.
მერე წავიღებ, როგორც ძაღლი,
რომ მიაქვს სახლში
თათი – რელსებზე დასრესილი მატარებლისგან.

გულიდან სისხლით - გზა გავილაღე
და ყვავილებად ეკვრის ახლა მტვერს ტანსაცმელის,
ათასჯერ კიდევ შემოიცეკვებს იროდიადა –
მზე დედამიწას –
თავს ნათლისმცემლის.

და როცა ჩემი წლების სიუხვე
დაიწრიტება, ფსკერამდე დავა,
მილიონობით სისხლის წვეთი დაეფინება –
ნაკვალევს,
მამის ჩემის სახლისკენ მავალს.

მე ამოვძვრები ჭუჭყიანი,
(ბინადარი ბნელი თხრილების)
მხარდამხარ მივალ,
მოვიხრები და ყურში ვეტყვი:
ბატონო ღმერთო, მომისმინეთ,

კისერში არ ამოგივიდათ,
რომ დღიდან დღემდე –
მზერას ალბობთ ღრუბლის კისელში.
მოდით, იცით რა?
ერთი საქანელა ჩამოიკიდეთ –
სიკეთისა და ბოროტების გარჩევის ტოტზე.

ყველგანმყოფელო, თქვენ იქნებით ამ კარადაშიც,
მოდი, ჩავდგათ სუფრაზე ღვინო,
ოღონდ ისეთი,
რომ მოღუშულ პეტრე მოციქულს,
მოესურვოს და
კი-კა-პუ-თი ჩაისეირნოს.

მოდი, ედემში დავაბრუნოთ ყველა „ევოჩკა“,
შენ ოღონდ ბრძანე
და ამაღამვე –
ლამაზმანები,
ახლომახლო ბულვარებიდან,
დასტა-დასტა შემიძლია ამოგიყარო.

გინდა?
არ გინდა?
შეთეთრებულ წარბებს იჭმუხნი?
თავს აქანებ კულულებიანს?
შენ რა –
გგონია ემაგ ფრთიანს, უკან რომ გიდგას,
სიყვარული გაეგება?
არა მგონია!

მეც – ანგელოზი...
უფრო სწორად, ვიყავი ერთ დროს,
და მზერა მქონდა – დაშაქრული ბეკეკა თვალში,
მაგრამ აღარ მსურს ფაშატებს ვჩუქნო,
სევრის ფხვნილისგან ნაძერწი თასი.

ყოვლისშემძლეო,
მოიგონე წყვილად ხელები,
შექმენი თავი. მოაბი ყველას.
იმაზე რატომ არ დაფიქრდი –
რომ კოცნო, კოცნო, კოცნო, კოცნო –
დაუტანჯველად!

მეგონა დიდზე დიდი იყავი,
შენ კი აღმოჩნდი „სამოსანი“ და „ღმერთიციდა“,
ხედავ? ვიხრები
და მეწაღის დანას ვაცურებ –
ჩექმის ყელიდან.

ე, ფრთოსანო ბაიყუშებო!
შეიყუჟეთ ემანდ, ედემში,
წამოიფხორეთ ბუმბულები შიშის კანკალით!
გიკმევთ საცეცხლურს, ისე გადაგფენთ,
აქედანა და ალიასკამდის!

შემიშვით!
თქვენ მე ვეღარ დამიჭერთ!
ვაჩმახებ!
– რაო?
– არა მაქვს ნება?!
მე ხომ სიმშვიდე არ მეხერხება!
შეხედეთ! თავი წასხიპეს ცას და
საყასბოსავით გადასისხლეს კვლავ ვარსკვლავებმა.

ეჰეი! ზეცავ!
მოიხადე ქუდი.
მოვდივარ!

სიჩუმე სრული.

სძინავს სამყაროს და თათზე უდევს –
ვარსკვლავებით მოტკიპული ვეება ყური.

რუსულიდან თარგმნა **ნინო ქოქოსაძემ**

ანელიზე ვროგსტი

გოგონა

ორივე ბავშვს, რომელთა შესახებაც მინდა გიამბოთ, პირველად კინოთეატრში შევხვდი. ის იყო ბილეთი ავიღე და მაყურებელთა დარბაზში უნდა შევსულიყავი, რომ უკნიდან ვიღაცის ხმა მომესმა: „გეთაყვათ, ცოტა ხნით კარს ხომ არ დამიჭერთ?“

შევბრუნდი. ჩემ წინ თოთხმეტ-თხუთმეტიოდე წლის გოგონა იდგა. ტანად უფრო პატარა ჩანდა. მოკლედ შეკრეჭილი წაბლისფერი თმები ჩამოშლოდა. წითელი ქურთუკი ეცვა და თავისი წლოვანებისთვის მეტად შეუფერებელი, დაბრძენებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ხელით სატარებელი ეტლი, რომელშიც მისივე ხნის სუსტი, ფერმკრთალი და საოცრად ცოცხალთვალება ბიჭი იჯდა, წინ გააგორა. მე კარი დავუჭირე და გოგონამ ეტლი დარბაზში შეიყვანა. აქ იგი პარტერის ერთ კუთხეში მიაყენა. შემდეგ ჭაბუკს ქურთუკი გაუხსნა, ქუდი მოხადა, ხელთათმანები წააძრო და სკამზე ჩამოჯდა. ბიჭს ისეთი უცნაური სახის ნაკვთები ჰქონდა, რომ მნახველზე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მეორედ ისინი ისევ ერთად ვნახე, ქუჩაში. გაზაფხულისთვის უჩვეულო თბილი ამინდი იდგა. სასიამოვნო მზე ადამიანებს სუფთა ჰაერზე მოუხმობდა. ხელით სატარებელი ეტლი გოგონას ახლო მიეწია და ბიჭს გაცხოველებით ესაუბრებოდა, თან ფარულად იღიმებოდა, ბიჭი კი ხმას არ იღებდა, სახეზე არავითარ რეაგირებას არ ამჟღავნებდა. ალბათ, თვალებით პასუხობდა გოგონას.

გამოხდა ხანი. გოგონას ისევ შევხვდი. ამჯერად იგი მარტო იყო. ტრამვაიში ამოვიდა და ჩანთაში, რომელიც იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, მოსწავლის ბილეთის ძებნას შეუდგა. ბოლოს იგი ლექსიკონის რვეულში იპოვა. დამინახა თუ არა, მაშინვე მიცნო. ერთმანეთს გავუღიმეთ. გოგონა ჩემ წინ დაჯდა და შვებით ამოისუნთქა.

– ყოველთვის ვფიქრობ, ბილეთი ქურთუკის ჯიბეში ჩავიდო, რომ ადვილად ვიპოვო, მაგრამ მუდამ მავიწყდება, – მითხრა სიცილით.

ავადმყოფი ბიჭის შესახებ მინდოდა მეკითხა, მაგრამ თავი შევიკავე. ცნობისმოყვარეობის მაშინვე გამომჟღავნება მეუხერხულა და ამიტომ ჯერ ვკითხე, სკოლიდან ხომ არ მოდიხარ-მეთქი. მან თავის დაკვრით დამიდასტურა. შემდეგ დავინტერესდი, ხომ არ გადაუწყვეტია, რა უნდა გამოვიდეს.

– მედიცინის და, – მითხრა მან.

ჩემი გაოცება ვერ შენიშნა. საუბრის გაგრძელება სურდა, მაგრამ უცებ სახეზე ღიმილი გაუკრთა და ჩაფიქრდა.

– ბიჭი რომ დაგყავთ სატარებელი ეტლით, თქვენი ძმაა? – ვკითხე ბოლოს.

გოგონამ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მიპასუხა: – არა, ჩემი მეგობარია.

– დაბადებიდანვე ასეთია?

– ორი წლის წინ ორივე ავტოკატასტროფაში მოვყევით. ექვსი თვე საავადმყოფოში გავატარეთ. ექიმებმა მე რის ვაი-ვაგლახით ფეხზე დამაყენეს, იურგენს კი ვერაფერი მოუხერხეს. მას შემდეგ თითქმის დადამბლავებულია. მართა-

ლია, ხელებს ცოტათი შლის, მაგრამ ფეხებს ვერ ამოძრავებს. აქამდე ვერც ლაპარაკობდა. ენა ისევ მხოლოდ ამ რამდენიმე კვირის წინ ამოიდგა. მიუხედავად ამისა, ძლიერ ნერვულობს.

გოგონა შეჩერდა, ცოტათი დამშვიდდა და განაგრძო:

– ზოგჯერ სინდისი მქენჯნის, რომ მე კარგად ვარ, ის კი ცუდად, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მალე ისიც გამოჯანმრთელდება.

– თქვენ ხშირად დადიხართ მასთან?

– დიახ, ყოველდღე მასთან ვარ. მამა არ ჰყავს, დედა კი მუშაობს და მხოლოდ საღამოს ბრუნდება შინ. სადილობამდე იურგენი როგორმე თვითონ უვლის საკუთარ თავს, სადილს კი მე ვაჭმევ. შემდეგ ერთად ვასრულებთ საშინაო დავალებებს. სკოლაში ჩვენსავით სწავლობს. რუსულს ჩემზე უკეთ ფლობს, ყველა სიტყვა იცის. ზოგჯერ ერთად კინოშიც დავდივართ ან ვსეირნობთ.

– კი მაგრამ, – ვკითხე გაუბედავად, – ამდენს როგორ უძლებთ. ყოველივე ეს ხომ ძალზე ძნელია თქვენისთანა პატარა გოგონასთვის?

– რა თქმა უნდა, მაგრამ მეც ხომ შეიძლება ასეთივე მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავი, როგორც იურგენი და ძალიან გამიხარდებოდა, თუ ვინმე მომივლიდა და მარტო არ დამტოვებდა. მაგრამ არა, ის უეჭველად გამოჯანმრთელდება და ჩვენ მალე ყველაფერში დავეწევით ჩვენს ამხანაგებს.

მომდევნო გაჩერებაზე გოგონა ჩავიდა. ქუჩა გადაკვეთა, ტროტუარზე ავიდა, ერთხელ კიდევ გამომხედა, თავი დამიკრა და მეზობელ ქუჩაში გაუჩინარდა. ბოლოს, რასაც თვალი მოვკარი, ეს იყო მისი მოსწავლის ჩანთა, რომელსაც აქეთიქით აქანავებდა.

ნელი ნაბიჯით შინისკენ გავუყევი. გზაში მასზე და იმ ბიჭზე ვფიქრობდი. რამდენი რამაა ჩვენს სინამდვილეში შესაძლებელი. ახალგაზრდა ადამიანი უარს ამბობს საკუთარ კეთილდღეობაზე და ნებაყოფლობით დგება სხვის სამსახურში, რათა ავადმყოფს მდგომარეობა შეუმსუბუქოს, გაჭირვება გადაატანინოს.

და მე გავიფიქრე: წერილი უნდა დავწერო. ეს ამბავი ნამდვილად ღირს დასაწერად. იგი უფროსებს ახალგაზრდებისადმი რწმენას დაუბრუნებს, ახალგაზრდებს კი მაგალითად გამოადგებათ.

ამას შენზე ვწერ, ჩემო გოგონა. დიახ. ამ წერილს შენ გიძღვნი. შენ ღირსი ხარ ამის.

გერმანულიდან თარგმნა **ნოდარ გასილაძემ**

ნინო
დარჯაისელი

ვინ უპასუხა ირაკლის

(ვ. გულეურის ერთი ლექსის გამო)

არა, ძვირფასო მკითხველო, არ შემშლია ლექსის სათაური, არც კორექტურაა გაპარული, „უპასუხა“ რომ მიწერია აქ, (ნაცვლად ვ. გულეურის ლექსის სათაურში გამოყენებული ფორმისა – „უპასუხებს“).

დიახ, ირაკლიმაც და ლექსის ავტორმაც ინტერნეტით, „ფეისბუქზე“ ახლახანს ისეთი „პასუხი“ მიიღო თავის კითხვებზე – ქართველი „ზეპური დედებისაგან“, აქ გამეორება ძალიან მრცხვენია...

თავად წარმოიდგინეთ ყველაზე დიდი უწმაწურობა, რაც კი გსმენიათ!

მშობლის „როლური მოდელის“ დღესდღეობით ძალზე პოპულარული აღმზრდელობითი მეთოდის შუქზე თუ შევაფასებთ მათ საქციელს, უნდა ითქვას, რომ საკუთარ აღსაზრდელებსა თუ შვილებს, მთელს ქართულ ინტერნეტ-საზოგადოებას იმდენსართულიანი პირადი მაგალითი მისცეს საქვეყნოდ, ვასო გულეური ერთი კი არა, მისებრი ასი რომ გვყავდეს, მთელი თავისი შემოქმედებით, ცოტას თუ რასმე უშველის...

* * *

მაგრამ „ასი ცხვრისა და ერთიც მგლისაო“, ნათქვამია.

ეს ლექსიც ვნახოთ, იქნებ რაღაცაში არც ისინი ტყუიან.

დარწმუნებული არა ვარ, სად გადააწყდნენ ამ ლექსს. არ მგონია, პოეზიის და მით უმეტეს, საბავშვოს კითხვაში ათენ-აღამებდნენ, თორემ ელემენტარული რამეები ხომ მაინც ეცოდინებოდათ ამ სფეროსი...

არ მითხრათ, ასე რატომ ენამწარეობ, მათგან არაერთი ლექსებსაც წერს, აქვეყნებს კიდეცო...

ჩვენი უბედურებაც სწორედ ეგაა!

საქართველოში, მით უმეტეს ახლა, რაც ხალხმა ინტერნეტის მოხმარება ისწავლა, ყველა წერს და არათუ სხვების, თუნდაც ახლობლების, საკუთარ ნაწერებსაც კი არ კითხულობს გამოქვეყნებამდე, რომ ელემენტარული რამეები ჩაასწოროს; დარწმუნებულია, ფრთაფარფატა მუზა აზის მხარზე და თავანკარა, ზეციური ინსპირაციის შედეგია მთელი მისი ლექსები.

ესეც ასე, პირველმა ბრაზმა გადამიარა (განა მე კი არა ვარ ბრაზიანი?! „ცხვარი – ცხვარიაო“) ახლა შეგვიძლია, მშვიდად, ორიოდე სიტყვა ვთქვათ ამ ლექსზე:

ვ. გულეური

ვინ უპასუხებს ირაკლის

ჩვენი პატარა ირაკლი,
ჩემი უმცროსი ძამიკო,
უცნაურ კითხვებს გვისვამს და
სურს, ყველაფერი გაიგოს.

– მზე როცა ჩადის, სად ჩადის,
ან დილით როგორ ამოდის?
ღრუბელი წვიმას რომ გზავნის,
მერე იმ ღრუბელს რა მოსდის?

წრუწუნას თხილი რად უყვარს?
მელას რად უყვარს ჩიჩია?
ვინც ყოველ დილით რძეს დალევს,
მართლა მაგარი ბიჭია?

ღამურა ღამით ხომ ფრინავს?
დღისით რომ ფრინავს ბელურა,
ბელურას რატომ ვეძახით,
რატომ არ ჰქვია დღემურა?

გაზაფხული რომ მთავრდება,
ზაფხული თუკი იწყება,
შემოდგომას რომ მოჰყვება,
მოდგომა ერქვას, იქნება?

კითხვებს იგონებს უცნაურს,
თუმცა სულ ამას ვარიგებ:
– ბიჭო, ირაკლი, გეყოფა,
გაიზრდები და გაიგებ!

მაგრამ მაინც არ ჩუმდება,
მთელი დღე კამათს ვუნდებით:
– შენ რომ დიდი ხარ, თუ იცი,
მე რატომ არ მეუბნები?

ჯერ ფორმა მოვილიოთ:

ავტორს უმარტივესი, დაბალშაირის გახალხურებული (5/3) რიტმი შეურჩევია, თავისი შვიდკატ-რენიანი ლექსისთვის, „ადვილი“ სარითმო წყვილებით (0a0a 0b0b) – ქართველი ბავშვის ასაკისათ-ვის ზედმიწევნით ადვილად აღსაქმელი ფორმაა.

ძირითადი ლექსიკური არსენალიც („შემოთავაზებული“, აქცენტირებული ნეოლოგიზმების გამოკლებით, თუმცა ისინიც არსით, იმავე ფაზას მიეკუთვნება. ამაზე – ქვემოთ) სავსებით შეესაბამება იმ ასაკობრივ არეალს, რომელიც ტექსტშია წარმოდგენილი. იქნებ ავცდე კიდეც ავტორის ჩანაფიქრს, მაგრამ, როგორც მე ვგრძნობ და მესახება, პატარა ძმა, ირაკლი ასე, ოთხი-ხუთი წლისა უნდა იყოს, რადგან ეს ასაკი გამოირჩევა სწორედ ინტენსიური სიტყვათწარმოებითი აქტივობითა და ჩვენთვის, უფროსთათვის გაცვეთილ სიტყვათა და ფრაზათა „ახლებური“ სემანტიზაციით, რისი არაერთი ნიმუშიცაა დაფიქსირებული ამ ლექსში... ამ საკითხით დაინტერესებულ მოყვარულ მკითხველს ვურჩევ კ. ჩუკოვსკის სახალისო წიგნს „ორიდან ხუთამდე“.

ახლა გარე კომპოზიციას შევხედოთ, მანამდე კი ამბის ჩარჩო შემოვწეროთ:

ლექსის მიხედვით, არსებობს ორი ძმა. ერთი – უკვე სკოლაში დადის, „დიდი ბიჭია“ და მეორე – პატარაა, რომელიც ასაკობრივად იმყოფება საგნებსა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დაფიქსირების ქვედა ფაზაში. ფაზაში, როცა ენის შიდა სტრუქტურას კი გრძნობს ბუნებრივად, გაუცნობიერებლად, მაგრამ, ლექსიკური სალარო ჯერ კიდევ არა აქვს იმდენად მდიდარი, რომ მოიმარჯვოს.

გარეკომპოზიციურად ლექსის შინაარსი ორი ნაკადის ურთიერთმონაცვლეობითაა აგებული. ერთ მოდურ ლიტმცოდნეობით თეორიას თუ მოვიშველიებთ, მასში ერთი ავტორისგან მომდინარე, ორი ძირითადი ხმა ისმის:

1. საკუთრივი, „დიდური“ რომლითაც იწყება ლექსი

და

2. ორხმოვანი – ავტორის მიერ გახმოვანებული სხვისი სიტყვები (დიდი ძმა იმეორებს პატარას ნათქვამს, როგორც „უცნაურს“ (სტრ. 2, 3, 4, 5) და ეს ორხმოვანება ფინალშიც ჟღერს (სტრ. 7).

არის თუ არა სინამდვილეში უცნაური, ის კითხვები, რომელსაც პატარა ძამიკო სვამს? იქნებ ზემოთა ტექსტს თავად ახედო, ძვირფასო მკითხველო, პასუხი ხელისგულზე დევს და აღარ მინდა, ზედმეტი ციტატებით გადავტვირთო ნაწერი.

დიდი ადამიანის თვალით, დიაღაც უცნაურია და არ მგონია, ამაზე თუნდაც ყველაზე ორთოდოქს ოპონენტებს განსხვავებული აზრი ჰქონდეთ.

„დიდი ძმა“, რომლის სახელიც არ ვიცით, დაწყებითი კლასების მოწაფე ჩანს, ასაკობრივად და განვითარების მხრივ იმ ფაზაში, როცა კითხვის უცნაურობას კი უკვე ხვდება, მაგრამ ჯერ კიდევ პატარაა იმისთვის, უცნაურის საცნაურად ქცევა რომ შეეძლოს და მით უმეტეს, პატარა ძმისთვის გასაგებ ენაზე ახსნა. კონფლიქტის ეს მომენტი კარგად არის ჩავლებული ფინალში, სადაც პატარა ძამიკო ეუბნება:

– შენ რომ დიდი ხარ, თუ იცი,
მე რატომ არ მეუბნები?
(ფინალური ორხმოვანება)

* * *

ლიტერატურის ყველა კარგმა მკითხველმა იცის ლამის აქსიომა:

ყველა ჟანრს თავისი სპეციფიკა აქვს და ერთი ჟანრის მახასიათებლები მეორისათვის კრიტერიუმად რომ გამოვიყენოთ, ტრაგი-კომიკურ შედეგამდე მივალთ.

კლასიკის მოყვარულებს მარტივად შევახსენებ შექსპირის ტრაგედიებსა და კომედიებს, რომელნიც ერთი მხრით თანაბრად ემორჩილებიან დრამის ზოგად კანონებს, მაგრამ ჟანრობრივად – პრინციპულად სხვადასხვა კანონებს მისდევენ (და ქმნიან).

თუმცა ქართველ მკითხველს, ალბათ, მშობლიური ლიტერატურის მაგალითი უჯობს: მაგალითად, შეიძლება ბარათაშვილის ფილოსოფიური „ფიქრნი მტკვრის პირად“ და გურამიშვილის ბუკოლიკური, დაუსრულებელი პოემა „ქაცვია მწყემსი“, რომლის ცენტრალურ მომენტშიც ვნებამორეულ ახალგაზრდებს ნაცში ეკლები ესობათ, ერთი სამზერიდან განიჩხრიკოს? არადა, ხომ ორივე ქართული პოეზიის საგანძურშია?

ან რად გვინდა ბარათაშვილის შეწუხება, თავად „დავითიანის“ დიდ ნაწილს შევუდაროთ „ქაცვია მწყემსი“, თუნდაც იმ ფრაგმენტებს, ძველებს სკოლაში საზეპიროდ რომ გვეძლეოდა.

ვიცი, საბავშვო პოეზიასთან უფრო ახლო მდგომი მაგალითის მოხმობა სჯობდა აქ, მაგრამ თვალსაჩინოებისთვის – ეს ვარჩიე.

თუმცა კლასიკას რატომ, შედარებით გვიანდელ მაგალითს მოვუხმოთ!

შეიძლება, თუნდაც არა ადამიანზე, არამედ ერთ ცხოველზე, დათვზე დაწერილი დრამატული ლირიკის ნიმუში და საბავშვო ლექსი განვიხილოთ ერთი და იმავე კრიტერიუმით?

მაგალითად, ავიღოთ მურმან ლებანიძის „დათვები“:

მთელი ზამთარი ხუდადოვის ტყეში მეძინა,
იქ ცხოვრობს ჩემი წყეული კასტა.
. . . . . .
...და ჰა, ბუნაგიდან გამოვდივარ დაჭრილი დათვი!

ახლა შევადაროთ გივი ჭიჭინაძის ამ ლექსს:

„დათუნია დრუნჩასა
ერბო მერგო ქარვისა,
რა გინდ ბევრი მეხვეწოთ,
არ დაგითმობთ არვისა!“

„რთულად მისაღწევი სიმარტივე“ – აი, რა მოეთხოვება საბავშვო პოეზიას ლექსის მწერალთა სამზერიდან.

უთუოდ ამითაა განპირობებული, რომ არაერთ დიდსა და „სადიდო“ პოეტს უცდია ხილად ამ ჟანრის ნიმუშის შექმნა, მაგრამ არ მაგონდება ერთი მაგალითიც კი, შედეგი მათსავე კარგ ლექსებს გატოლებოდეს, არათუ საუკეთესოებს.

თუ მე არ მახსოვს, ან აქ რამე მეშლება, მადლიერებით მივიღებ მართებულ შენიშვნას.

* * *

მარტივად: რა მოეთხოვება საბავშვო ლექსს?

იგი, როგორც ეს განსახილველი ლექსი, აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს თამაშურ საფუძველს.

თამაში – უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მხოლოდ ბავშვის, არამედ პიროვნებისა და მეტიც, საზოგადოების ფორმირებისთვის. (ვისაც წაკითხული არა აქვს, მოიძიოს თუნდაც ჰოეზინგა).

როგორც ამ ლექსში, საბავშვო პოეზიის თამაში უნდა იყოს კეთილი და სწორი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვის ნაზ ფსიქიკაში პოზიტიური მოტივები უნდა შეჰქონდეს შეუმჩნევლად, რათა ეს ბავშვი არ დაემსგავსოს იმ აგრესიულ, უზრდელ „ზეპურ დედებს“, რომელიც ზემოთ მოვიხსენიე.

საბავშვო პოეზიას, როგორც ამ ლექსს, უნდა ახასიათებდეს საღი იუმორი – პოზიტიურ განწყობას უზრუნველყოფდეს, რაც ბავშვის შემეცნებით არხებს ხსნის (ეს რომ თვალნათლივი იყოს, წარმოიდგინეთ აქ მისი ანტითეზა – უფროსების მხრიდან არაჯანსაღი, ნეგატიური ხუმრობა, შემაშინებელი ან დამამცირებელი, თუნდაც გაუგებარი, რასაც შედეგად ბავშვის მრავალმხრივი „ჩაკეტვა“ მოსდევს).

როგორც ამ ლექსში, ავტორი კარგად უნდა იცნობდეს იმ ასაკობრივ ფსიქოლოგიას, რომლისათვისაც ტექსტია განკუთვნილი;

იცოდეს ბავშვის აზროვნების სპეციფიკა.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში – სახეზეა სამყაროს, საგანთა და მოვლენათა მიმართ გამოვლენილი ინტენსიური, თუმცა ასაკით განპირობებული ნაივური ყურადღება; გამოცდილების ჯერაც მწირ, საკუთარ ენობრივ ველში მოქცევის მცდელობა.

საბავშვო პოეტმა ამ ავტორივით უნდა იცოდეს, რომ არსებობს ენის, სიტყვათწარმოების წესის შინაგანი, თანდაყოლილი გრძნობა ბავშვში – გრძნობა, რომელიც მას უბიძგებს, სიტყვათწარმოების წესი განავრცოს და ე. წ. „ანალოგური მოდელირების“ შედეგად საკუთარი ნეოლოგიზმები შექმნას.

დარწმუნებული ვარ, ამ „ზეპურთაგან“ არაერთი დარჩებოდა აღტაცებული, მათ პატარა შვილს ან შვილიშვილს რომ ეკითხა, ღამურას თუ ღამურა ჰქვია, იმიტომ რომ ღამე დაფრინავს, ბეღურას დღემურა რატომ არ ჰქვიაო: ყველას მოუყვებოდნენ, ენაცვალოს დედა /ბებია/ მამიდა! ვიღაც სასწაული გვეზრდებაო.

* * *

ახლა რა ლექსის გახსენებასაც ვაპირებ, ის რომ ვ. გულეურს ან რომელიმე მის ქართველ კოლეგას გამოექვეყნებინა, ალბათ სადარბაზოს წინ დაუხვდებოდა გავეშებულ „ზეპურ დედათა“ სიმრავლე, ხელში ტრანსპარანტებით: „შორს ანტისანიტარია – ჩვენი შვილებისაგან“. „ბუზი – შენს ჯიშსა და შთამომავლობას!“. მის 17 საბავშვო და 7 „სადიდო“ წიგნს აუტოდაფეს შესწირავდნენ და ზედ ხელებს გაითბობდნენ თუ მოითბობდნენ (სეზონსა და ვითარებას გააჩნია) და ა. შ., ხოლო თუ გავიხსენებთ, თუ რა ღიად, გამწარებით იწყევლებიან და იმუქრებიან ისინი ფეისბუქსა და ზოგადად, ვირტუალში ვასო გულეურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფით, რიყის ქვები და დანა-ხანჯალიც რომ მოიმარჯვებინათ, გასაკვირი არც ის იქნებოდა.

ბუზი, ბუზი ბუზანკალი,
ოქროსმუცლიანი ქალი!

ბუზმა მინდვრად იქროლა.
ბუზმა ფული იპოვა.

მოიარა მან ბაზარი
და იყიდა სამოვარი.

„მოდით, ტარაკანებო,
ჩაის დავაყენებო“

და სტუმრებიც გაჩდნენ იქა,
გამოცალეს ყველა ჭიქა.

სამწერეთი მოიკრიბა,
თითომ შესვა სამი ჭიქა.

უხდებაო რძე დილით,
უყვართ ჩაი კრენდელით.

დღეს ხომ ბუზი ბუზანკალის
დაბადების დღეა!

ცხადია, იცანით, ეს ხომ რუსულენოვანი საბავშვო პოეზიის ერთ-ერთი მწვერვალის – კორნეი ჩუკოვსკის „მუხა ცაკატუხა“-ს დასაწყისია (მაპატიეთ, ქართულ შრიფტს რომ ვიყენებ. რუსული არ მიყენია).

თუმცა რუსული რაღად გვინდა! რამე, საბავშვო პოეზიის მსოფლიო კლასიკის საგანძურიდან არ გვირჩევნია?! მაგალითად, ეს:

მე ვარ სემი. მე ვარ სემი.
ეს სახელი არის ჩემი.

– მე სემი ვარ,
მოვალ-მივალ.
მე არ მომწონს, რომ სემი ვარ!

– მიპასუხეთ, გიყვართ ლორი, მწვანე კვერცხი ერთი-ორი?

– არა, ყელში არ ჩამივა. მე სემი ვარ!
მე სემი ვარ!
მე არ მიყვარს თქვენი ლორი. მწვანე კვერცხი ერთი-ორი.

– ხომ არ გინდათ, შინ ან გარეთ?

მე არ მინდა შინ ან გარეთ! მაგას ვერსად დამაძალებთ!
მე არ მიყვარს თქვენი ლორი, მწვანე კვერცხი ერთი-ორი.
მე არ მიყვარს. მე ვარ სემი!
ეს სახელი არის ჩემი!

„მწვანე კვერცხიო“, არა?! ხედავთ, როგორ ატყუებენ ბავშვებს?! ამის წამკითხავი „ზეპური დედები“ ხომ არაფრით დაიჯერებდნენ, რომ გაეგოთ, რომ „მწვანე კვერცხები და ლორი“, რომლის დასაწყისის თარგმანიც ახლა გაგაცანით, დოქტორ სუსის საუკეთესო ლექსია; რომ ყოველწლიურად მისი ავტორის დაბადების დღეზე, 2 მარტს, მთელი ინგლისურენოვანი სამყაროს ბაღებში, სკოლებსა თუ რესტორან-სასადილოებში მწვანე ერბო-კვერცხით უმასპინძლდებიან ბავშვებს, ხოლო სკოლებსა და ბავშვთა სხვა სასწავლო დაწესებულებებში, გასართობ ადგილებსა თუ მაღაზიებში წითელზოლიანი წინდებით, უცნაური ქუდებით და დოქტორ სუსის პერსონაჟთა ტანსაცმლით იმოსე-

ბა დიდი თუ პატარა... კიდევ უარესი, თითქოს ის არ კმაროდეს, ყველამ ზეპირად რომ იცის, ანიმაციური ფილმიცაა გადაღებული; მისი პირველი სტრიქონი „მე ვარ სემი“ ხომ არაერთი აკადემიური პრიზის მფლობელი ფილმის სათაურადაც იქცა (ვისაც ნანახი აქვს და ახლა მე გავახსენე, მჯერა, გახსენებაზე ცრემლი თუ არ მოერეოდა, ყელი მაინც ჩაეკეტებოდა, ვისაც ჯერ არ უნახავს, ვურჩევ, მოიძიოს, რადგან სწორედ იმაზეა ეს ფილმი, თუ რა სჭირდება სინამდვილეში ბავშვს უფროსებისგან ანუ იმაზე, რასაც ვერ ხედავენ და ვერ გრძნობენ ჩვენი ნეტარი „ზეპურები“).

ასე მგონია, კორნეი ჩუკოვსკი – რუსული საბავშვო პოეზიის მწვერვალი, დოქტორ სუსი – ამერიკულისა – დღევანდელ საქართველოს რომ ჰყოლოდა, ამ „ზეპურ დედათაგან“ ყველაზე ჰუმანურთა წყალობით, ალბათ კარგა ხნის დაქვემდებარებულნი იქნებოდნენ ე. წ. იძულებით მკურნალობას, რედიარდ კიპლინგის გვერდითა პალატაში. რედიარდ კიპლინგი ტყუილად როდი ვახსენე აქ. გულეურის ეს ლექსი მე მისი შემოქმედებით ინსპირირებულად მიმაჩნია. ოღონდ არა – უშუალო გზით, მისი შორეული პირველწყარო უნდა იყოს ერთი ლექსი კრებულიდან „უბრალოდ ზღაპრები“, კერძოდ, ლექსი, რომლითაც მთავრდება „პატარა სპილოს ამბავი“. აი, ისიც:

მე მყავს ექვსი მსახური
(ზღაპრიდან „პატარა სპილოს ამბავი“)

მე მყავს ექვსი მსახური. ყველა ერთად მოდის,
რომ დამიდგეს წინ.
მათი სახელებია: რა, რატომ და როდის,
როგორ, სად და ვინ.
ვგზავნი ყველგან: ზღვა არის, მთებია თუ ბარი,
ოთხივ მხარეს და
შრომით დაღლილს ვასვენებ, როგორც მეგობარი, –
მოსულს შორიდან.

დილის ცხრიდან ხუთამდე ვსაქმიანობ რაკი,
არ ვაწუხებ სულ,
არც საუზმე-სადილის დროს ღირს ლაპარაკი,
რადგან ჭამა სურთ.
მაგრამ ადამიანი არის მრავალგვარი.
ერთ პატარა ქალს
ათი მილიონი ჰყავს მსახურ-მეგობარი,
შრომით აცლის ძალს.

ფხიზლობს, რათა გაგზავნოს საზღვრებს იქით მარტო,
მიწად, ზღვად თუ ცად,
მილიონი „როგორ?“ და ორჯერ მეტი „რატომ?“
შვიდჯერ მეტი „სად?“

(ეს და სხვა ლექსები და ტექსტები საგანგებოდ „ზეპური დედებისთვის“, ინგლისურიდან და რუსულიდან თარგმნა ნინო დარბაისელმა).

კიპლინგის ეს ლექსი იმის დასტურად როდი მოვიყვანე, რომ თითქოს იგი ვასო გულეურის ლექსის უშუალო წინამორბედად მიმაჩნდეს. სიცხადისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კიპლინგის ლექსი, ქრონოლოგიურად პირველი იყო, იმ ლექსთა შორის, რომელიც ბავშვის ამ ასაკობრივ თავისებურებას – ინტენსიურ ცნობისმოყვარეობას შეეხო. პატარა სპილოს ამბავიც ხომ იმას ეხება, ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამო, ამ უკანასკნელს ცხვირი ხორთუმად როგორ გადაექცა. მას შემდეგ არაერთმა საბავშვო პოეტმა დაამუშავა იგივე თემა, არაერთ ნაციონალურ ლიტერატურაში გადავიდა და ინტერტექსტუალურობის მთელი ბადე გაიბა. კიპლინგთან ინტერტექსტუალური კავშირი ჩვენს განსახილველ ლექსს ინდირექტული ანუ არაპირდაპირი აქვს, მათ შუა, მინიმუმ, კიდევ ერთი ქართული პოეტური ტექსტია, რომელიც ჩემი ვარაუდით, რუსული წყაროდან უნდა იღებდეს სათავეს.

კიპლინგის ის ლექსი ადრევე, არაერთხელ ითარგმნა რუსულად, ქართულადაც, ანუ, ვ. გულეურს არაფერი შეუშლიდა ხელს, ისიც სცოდნოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში კიპლინგი მისი უშუალო წინამორბედი ვერ იქნება. ვ. გულეურის ლექსის თემის წინარე დამუშავება უკვე სხვა საფეხურზე ასული ჩანს.

ვინც მორის ფოცხიშვილის შემოქმედებას იცნობს, ეცოდინება, რომ იგი ბევრს მუშაობდა ქართული სასიმღერო რეპერტუარის ტექსტებზე. პირადად მე ვაჟა აზარაშვილისგან არაერთგზის ნათქვამი მახსოვს, რომ მორის ფოცხიშვილისთანა ადამიანის წასვლა დიდი დანაკლისი იყო იყო ქართველი კომპოზიტორებისთვის, რადგან მას გააჩნდა უნიკალური უნარი – მზა სასიმღერო მელოდიაზე ტექსტის დადებისა. ეს იქნებ არც მომგონებოდა ახლა, რომ არა ტექსტი, რომელიც მინდა ჩემი თაობის ადამიანებს გავახსენო. თქმა მიჭირს, ამ შესანიშნავ სიმღერაში რომელი იყო პირველადი, ლექსი თუ მუსიკა, რომელსაც ფოცხიშვილმა პოეტური ტექსტი „დაადო“.

ვგულისხმობ სიმღერას „მზიურის“ პირველი თაობის რეპერტუარიდან. „რატომ. საიდან. რისთვის“ – ვეკითხებოდი ყველას (როგორც ჩემთვის ცნობილია, – თავდაპირველი, ვრცელი ვერსიის მიხედვით, ხოლო „მზიური“ უკვე შემოკლებულ-შეცვლილ ვერსიას ასრულებს, თუმცა არც ეს ვერსია ეწინააღმდეგება ჩემს მოსაზრებას). იმ ლექსის მიხედვით, ბავშვი უკვე სკოლის მოსწავლეა, წიგნებს კითხულობს, ცოდნას ეწაფება და იცის პასუხები კითხვებზე, რომელიც სკოლაში წასვლამდე აინტერესებდა: რატომ ვარდება მეხი, რატომ არის ყინული ცივი, რად არ დაფრინავს თევზი და ა. შ.

კონფლიქტი – იმ სიმღერაში არ არსებობს (მოკლე, „მზიურისეულ“ ვერსიაშიც კი ფინალი – ღიაა, – ე. წ. რკალურ რეფრენად მეორდება თავში დასმული კითხვა). უკონფლიქტობის იდეოლოგიის გარკვეული ექო ხომ კვლავაც მოქმედი იყო მაშინ! (გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებს შუა). ბავშვი გაიზრდება და სკოლაში ყველაფერს ისწავლის. დროის ამბავია. დასკვნა – „ცოდნა – სამყაროს შეცნობისას – ლამპარია“.

რა შემდეგ ნაბიჯს დგამს ინტერტექსტუალურ კიბეზე ვ. გულეური? გარდა იმისა, რომ შემოაქვს კონფლიქტი ფინალში?

უფროსი ძმის სახით გვიხატავს ადამიანს, რომელიც ზემოდან უყურებს სხვას, – მას, ვისაც უპასუხო კითხვები აწუხებს, ხოლო თავად ამ კითხვებზე საპასუხოდ მზად არაა. (სოციალური პლანი); გარდა ამისა, ვ. გულეურს შემოაქვს ახალი – ენასთან, მისი სიტყვათწარმოების წესთან ადამიანის ასაკობრივი მიმართების პრობლემა. ეს კი კროსდისციპლინარული პრობლემაა ენათმეცნიერებას, ასაკობრივ ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიას შორის. საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის, ორთოდოქსი ოპონენტის, „ზეპური დედისთვის“ იქნებ ხმამაღლადაც ჟღერდეს, მაგრამ აგერ, ზემოთ დევს ტექსტი, პრობლემა აშკარაა და მასზე პასუხს ვერც მარტო ენათმეცნიერება ფარავს, ვერც ასაკობრივი ფსიქოლოგია და ვერც მარტო სოციოლოგია... და კვლავ ჩემი საყვარელი ფრაზა: თუ მე არასწორად მესმის, მადლიერად მივიღებ ყველა დასაბუთებულ განმარტებას!

იქნებ ვინმეს ფიქრით, ერთ საბავშვო, შვიდსტროფიან ლექსს კიდევ მეტი მოეთხოვება? მე ვფიქრობ, არა!

* * *

საკვირველზე საკვირველია ერთი ამბავი. საქართველოში, რომელსაც რიტორიკულად თუ გულწრფელად „პოეტების ქვეყანას“ უწოდებენ, – დღეს მაინც, როცა მთელი საქართველო წერს, ჯერაც არ არსებობს ლექსის წერის სასწავლი რაიმე სახელმძღვანელო. არადა, სხვადასხვა ენაზე გამოცემული ასეთი წიგნებით სავსეა უცხოეთის მაღაზიები. ბევრგან შეხვდებით თავს „როგორ დავწეროთ ლექსი ბავშვებისათვის“ ამ თემისადმი მიძღვნილი სტატიების სიმცირეც ნამდვილად არ იგრძნობა. „გუგლით“ ძებნა ვისაც არ ეზარება, ინტერნეტშიც ბევრს იპოვის. დამაინტერესა და ერთგან მოცემულ, ექვსპუნქტიან მეთოდურ რჩევებს შევუდარე ვ. გულეურის ეს ერთი ლექსი. წერისას ძალიან ვეცადე, მთავარ დინებას არ ავცდენოდი და მის სხვა ლექსებზე არ მელაპარაკა.

შევუდარე ეს ლექსი და გინდ დამიჯერეთ, გინდ არა! – ხურდაც კი დამრჩა.

ჯერ ვიფიქრე, შევიტან ამ ჩემს წერილში მეტი თვალსაჩინოებისთვის-მეთქი... ახალგაზრდა ლიტერატორი რომ ვყოფილიყავი, დაუყოვნებლივ ასეც მოვიქცეოდი, გადმოკოპირებას რაღა უნდა!... მაგრამ ასაკში რომ შედიხარ ადამიანი, გამოცდილებით რაღაცეებს სწავლობ.

არსებით სადაოს რომ ვერ მოერეოდნენ ოპონენტები, დაიწყებდნენ რამე ასეთს:

– ხედავთ, დარბაისელს უნდა, ქართული, მშობლიური ლიტერატურა უცხო არშინით გაგვიზომოსო; მაგათგან რა გვესწავლება, კოლუმბი რომ ჯერ მაგათ ქვეყანას დაეძებდა, ვახტანგ მეფე კანონებს გვიწერდაო.

– ეგ რა ავტორია, ვისაც ეს იმოწმებს, მაგაზე დიდი საბავშვო პოეტები სხვები არიან. ისინი უფრო მეტ ან ნაკლებ კრიტერიუმებს ასახელებენო!

– ეგრე ხომ სხვათა ლექსებიც შეიძლება მაგ პუნქტებს მოერგოს, ნეტა თავის ინგლისურის ცოდნას რას გვახარბებსო. დაიწყებოდა ჩემთვის უცნობი ავტორების დასახელება.

და ასე შემდეგ...

და მართლებიც იქნებოდნენ, გარკვეული გაგებით.

როგორც მე ინტერნეტიდან ვხედავ, ვასო გულეური საქართველოში არაერთ საინტერესო საქმეს უძღვება საბავშვო პოეზიის, ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით. აი ძირითადად ის მიმართულებანი, რაც ინტერნეტში მიპოვია:

შაბათის შეხვედრები „ბავშვები მწერალთა სახლში“;

სისტემატური შეხვედრები ბავშვებთან სკოლებში, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში;

პანდემიის პერიოდში – ონლაინ-ჩართვები სკოლებში, პირდაპირი ჩართვები და საბავშვო ლიტერატურაზე საუბრები;

„იუთუბის“ არხზე საკუთარი შემოქმედების აუდიოჩანაწერები (კარანტინის პერიოდში ამ ვიდეოებს რამდენიმე ათასი ნახვა ჰქონდა დღეში);

საბავშვო ლიტერატურის თარგმნა...

იქნებ რაიმე კიდეც გამომრჩა – ყველაფრისთვის შორიდან თვალის დევნება ძნელია, თუმცა ადვილია იმის დანახვა, რომ ვ. გულეური საკუთარი პრაქტიკული მაგალითითაც გვიჩვენებს, როგორი უნდა იყოს საბავშვო პოეტი, საბავშვო ლექსი, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი... ზოგადად, ეს არის ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა მოახმარო შენი ნიჭი და ცოდნა შენს ქვეყანას... მაგრამ ეს მაინც ცოტაა.

მასზე კარგად დღეს საქართველოში ვერავინ შექმნის თუნდაც პატარა წიგნს – „როგორ დავწეროთ საბავშვო ლექსი“ (სახელმძღვანელო დამწყებთათვის), უცხოური მასალებით, – აგერ, მე მოვამარაგებდი...

წავიოცნებოთ:

ეს უნდა იყოს ერთდროულად პრაქტიკული სახელმძღვანელოც, საუკეთესო თვალსაჩინოებებით, ფერადი ნახატებით, სახალისო დავალებებით და ზოგადად – მსოფლიო და ასევე, ქართული საბავშვო პოეზიის ისტორიაც.

თუ ვ. გულეური იტყვის, მარტო ამხელა სამუშაოს ვერ შევეჭიდებიო, საბედნიეროდ, გვყავს დღეს მთელი წყება საბავშვო პოეზიის შესანიშნავი ავტორებისა, კალამიც რომ კარგად უჭრით, გონებაც, ილუსტრირებაც რომ შთამბეჭდავად შეუძლიათ, კარგი საქმის საკეთებლად საერთო პროექტში გაერთიანება, კარგი წინამძღოლი და გუნდად ქცევა აკლიათ.

იმედი მაქვს, მათზე საუბრის საშუალებაც გვექნება.

დგება თეთრი დღეები

(გალაკტიონის ერთი ლექსის შესახებ)

ქართული პოეზიის ჭეშმარიტი მოყვარულებისთვის ადრეული შემოდგომა ყოველწლიურად საუკუნის წინანდელი ამ ერთი ლექსით იწყება (იქნებ აქ მხოლოდ ჩემს პირად სამეგობროს ვგულისხმობ, რომელშიც ასეთი ადამიანების გარდა, მართლა არავინაა).

დგება თეთრი დღეები

დგება თეთრი დღეები,
რიდეების სეზონი;
გაჩდნენ ორხიდეები
ყოვლად უმიზეზონი.
ლაჟვარდების კიდეო,
დაბურულო ზმანებით,
ლურჯო მონტევიდეო,
ვიწრო ხელთათმანებით;
სულში ნისლის ტბებია
და ქაოსის მხატვარი,
სადაც ვეღარ თბებიან
ფრთები ნამკათათვარი.

ძნელი საგრძნობია არაა, რომ ეს პატარა ლექსი რაღაცას, იმაზე მეტს შეიცავს, ვიდრე მის მომხიბლავ ზედაპირზე დევს.

საქართველოში ყოფნისას კარგი, საინტერესო მასალები მქონდა მოძიებული, წერილის ჩარჩოც – მზად.

სამწუხაროდ, დასრულება არ დამცალდა, მასალები თბილისში დავტოვე... თუმცა მეხსიერებამ რაღაცეები მაინც შემოინახა.

იქნებ ასე უკეთესიცაა.

თუ დაკვირვებიხართ, წვრილ წითელშუქიანი ლაზერული ფანრით, ანუ ე. წ. „ლაზერ-პოინტერით“ რაიმე ადგილს რომ ანათებთ? საუკეთესო ინსტრუმენტია რამეზე მისათითებლად, უზუსტესია გამოცდილ ხელში, თუმცა მხოლოდ ერთ წერტილს მოიცავს, მასზეა ფოკუსირებული, ყოველივე დანაჩენი კი მისი შუქის მიღმა რჩება. მოინდომებ მისი მეშვეობით სხვა წერტილის გაშუქებას და ახლა წინა წერტილი „ჩაგიბნელდება“. ანუ რაღაც-რაღაცეები აუცილებლად გრჩება ფოკუსგარეთ. გალაკტიონი სწორედ ასეთი ტიპის პოეტია. ფაქტების უტყუარობა, მართებული ლოგიკური მიზანმიმართულება მისი შემოქმედების ამა თუ იმ ასპექტის თავისთავად რთული კვლევისას, ბედნიერ შემთხვაში, წარმატებულადაც შეიძლება დამთავრდეს, მაგრამ შედეგი – იმ ლაზერული პოინტერივით მხოლოდ ერთ წერტილს მოიცავს და სრული სურათი მაინც დაუნახავი გვრჩება (დავაზუსტებ: აქ მის რეალისტურ პოეზიაზე არა მაქვს საუბარი, რომანტიკულ-სიმბოლისტურ ესთეტიკასთან დაკავშირებულ ლექსებს ვგულისხმობ).

მოდით, ახლა აქტიურ მიმოქცევაში მყოფი ტერმინი 3D გამოვიყენოთ და ვთქვათ, რომ მისი სახეობრივი სისტემა, პოეზია ასეთი რამაა, – სამ და იქნებ მეტგანზომილებიანიც.

ადრე სხვადასხვა მოდიფიკაციით, არაერთგზის აღმინიშნავს ერთი აზრი და მგონი, მკითხველს თავიც შევაწყინე იმავეს გამეორებით, რომ გალაკტიონის რთულ პოეტურ იმაგინაციათა დაყვანა ერთს, რომელსამე მნიშვნელობაზე, რაოდენ კარგად და დამაჯერებლადაც არ უნდა იყოს დასაბუთებული იმ მნიშვნელობის ღირებულება და ნამდვილობა ფაქტების მოხმობით, საფუძველშივე უპირისპირდება მის ესთეტიკურ პრინციპს, მის, ასე ვთქვათ, პოეტურ ალქიმიას, მოიხელთოს სხვადასხვა ღია თუ ფარულ დინებათა რაღაც ნაზავი.

რა ნაზავია ეს?

ან რა დინებებია ასეთი?

განა სხვა ქართველი თუ არაქართველი პოეტები არ ახდენენ დინებათა გარკვეულ სინთეზირებას? – ვიქნები საკუთარი თავის ოპონენტი, ვიდრე სხვა ხმას მომაწვდენდეს. ცხადია, მეტნაკლებად ყველა პოეტის შემოქმედებაში, სახეთქმნადობაში ხდება ცნობიერ და არაცნობიერ, კრეატიულ, ფარულ და ღია დინებათა შერწყმა, უამისოდ პოეზია ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მე აქ საუბარი მაქვს წარმმართველ, „თაურ-პრინციპზე“.

მის პოეტურ სამყაროში მოგზაურობისას ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმას მივუახლოვოთ ფიქრი, რაც, სხვადასხვა დროს, როგორც იტყვიან, ცდაში გვეძლევა. მაგრამ ნამდვილი რეცეპტის საიდუმლო მან ერთმა იცოდა და თან წაიღო.

დავუკვირდეთ თუნდაც მის პოეტურ ლექსიკასა და სიტყვათწარმოებას: გალაკტიონი განგებ ირჩევს ქართული ენის ლექსიკიდან იმ სიტყვებს, რომელთაც ორი და მრავალი მნიშვნელობა აქვთ. ეს – ერთი ძირითადი გზაა მის მრავალმნიშვნელოვან სახეთა ქმნადობისათვის (რეალისტური ლექსების კორპუსი აქ არ იგულისხმება. მათში სხვა რიგის ამოცანებს ისახავს და წარმატებითაც ჭრის, მაგრამ ეს – სხვა საუბრის თემაა). მის შემოქმედებაში ამ მხრივ ყველაზე უკეთესი ნიმუშია ლექსი „უცნაური სასახლე“, სადაც ყოველი სახე, როგორც ტაძრის ფერად ვიტრაჟებში გარდატეხილი მზის სხივი სულ სხვადასხვაგვარ ფერადოვნებას ასხივებს აღქმის რაკურსის ყოველი ცვლილებისას. აღნიშნული ლექსის სათაურში გამოყენებული სიტყვა „უცნაურიც“ სწორედ ამას მიგვანიშნებს.

ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ გასული საუკუნის დასაწყისში ქართული ენა ვერ იყო მეცნიერულად საფუძვლიანად შესწავლილი, სხვა, განვითარებული ერებივით, სხვადასხვა ზოგადი და სპეცი-

ალური ლექსიკონების სიმრავლით მოვიწონებდით თავს, არც სალიტერატურო ენის ნორმები იყო ასე დადგენილი. ამ მხრივ თანამედროვე ავტორები შესაშურ ფუფუნებაში ვიმყოფებით, მაგრამ საკითხავია, გვინდა კი ეს ფუფუნება დღეს, ისევ გვჭირდება?

თანამედროვე პოეზიას უკვე სხვაგვარი ესთეტიკური ღირებულებები აქვს. მისი ლექსიკა მასმედიის საშუალებათა და ინტერნეტის გავლენით, უფრო და უფრო მწირი, „მიწიერი“ ხდება. დაიკარგა სიტყვათა და ფრაზათა ქმნისა და ბმის სინთეზური წესი, სწრაფვა თანაჟღერადობისაკენ და ახლა ნარატიულობამომძლავრებულ წრფივ კავშირებს სჯერდება. რას ვიზამთ, დროის ნიშანია!

აქ, ამერიკაში საქველმოქმედო მაღაზიათა ერთი ჯაჭვია, „გუდვილი“ ეწოდება. სავსეა მისი მაღაზიები მოხუცებულთა საკუთარი სახლებიდან თუ ბინებიდან შთამომავლების მიერ ყუთობით გამოზიდული, მუქთად ჩაბარებული, მართლაც ღირებული და ხარისხიანი საგნებით, ისეთით, საქართველოში რომ ნებისმიერ შეძლებულ ოჯახს დაამშვენებდა, ძველად და იქნებ ახლაც, „ანტიკვარიატსაც“ რომ ვუწოდებდით და ეს ყველაფერი რაღაც ცენტები ღირს. თავისთავად ღირებულ ამ ყველაფერს ახალგაზრდა თაობამ მთლიანად ზურგი აქცია და ახლებური, იაფი, გაცილებით დაბალხარისხიანი, მაგრამ მახვილგონივრული დიზაინით იწყობს საცხოვრისსა და ზოგადად ცხოვრებას. ცდილობს, მაქსიმალურად გათავისუფლდეს ხარისხიანი, საყოველთაოდ დადგენილი, თუმცა უკვე მოძველებული ღირებულებებისგან და უფრო და უფრო მეტი სივრცე დაიტოვოს საკუთარი ინდივიდუალობის გამოსავლენად. თუმცა შემთხვევათა დიდ ნაწილში მათ მიერ ინდივიდუალობად მიჩნეული „სიახლე“ ტიპობრივი აღმოჩნდება ხოლმე და მუდმივი მოწოდება „იყავი შენი თავი, იყავი ინდივიდი, თამამად გამოხატე შენი არსება“ – საბოლოოდ ჩაკეტილ წრეზე ტრიალს ემსგავსება. ახალგაზრდულ პოეზიაშიც რაღაც ამგვარი ხდება. ხელოვნებაში თვითგამოხატვა, თავისებური ეგოცენტრიზმი – როგორც მთავარი რამ – დროის ნიშნადაც იქცა, თუმცა გარკვეული დოზით ხომ მუდამ არსებობდა კიდეც.

* * *

რა ძნელია, რამეზე წერისას საუბრის თემა, ძირითადი ხაზი სწორად გეჭიროს და თემიდან არ უხვევდე მალიმალ.

რაღაც, ასეთს ვკითხულობდი, მაინც რა, თუნდაც ჩვენთვის ხილული დინებებია ისეთი გალაკტიონთან, სხვა პოეტებს რომ ნაკლებად აქვთ-მეთქი. ანუ მისეული, იდუმალი პოეტური ალქიმიის შედეგად, რა ჩვენთვის ასე თუ ისე ნაცნობი ნივთიერებები შედის მის ქმნილებათა შენადნობში:

1. იმდროინდელი ქართული პოეტური და ზოგადკულტურული ტრადიცია.

2. მითადქმნილი მსოფლიო კულტურული კონტექსტი, გააზრებული იმგვარად, რაგვარ საშუალებასაც იძლეოდა, მწირი, მეტიც, არარსებული პირდაპირი კომუნიკაცია და მისი ჩამნაცვლებელი რუსული არხები – წყაროები.

3. პირადი სულიერი გამოცდილება თუ ცხოვრებისეული რეალია.

4. საკუთარი ფანტაზია და კრეატიულობა.

ეს – ძირითადი, მხოლოდ აუცილებელი, მაგრამ არა – ამომწურავი „რეცეპტია“. იქნებ ვინმემ არაცნობიერი მოისაკლისოს. სხვა დინებებიც ბევრი იქნება. სიტყვას შევამოკლებ და ვიტყვი, რომ არ არსებობს სხვა ავტორთა არცერთი კარგი პოეტური ქმნილება, აქ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ორიოდეს რომ მაინც არ შეიცავდეს, მაგრამ გალაკტიონთან ეს და ყველა სხვა დინება ინტეგრირებულია, ანუ ამ სიტყვის სალექსიკონო მნიშვნელობით, ყველა პლანი რაღაც ერთში, მთლიანობაშია ჩართული, დანარჩენენ კომპონენტებთან კომბინირებულად დაკავშირებული.

ვწუხვარ, ზუსტად აღარ მახსოვს, რას გულისხმობდა გალაკტიონი სიტყვაში „ინტეგრალები“, მაგრამ ახლა მეჩვენება, რომ ის რაღაც ამასთან ძალზე ახლოს უნდა იყოს.

* * *

გალაკტიონის ლექსის კვლევისას მე ჩემი საწყისი მეთოდი მაქვს. არ ვიცი, იქნებ სხვაც ასე იქცევა.

ფანქრით გავხაზავ ხოლმე ყველა მომენტს, რომელიც უჩვეულოდ, უცნაურად ჟღერს ან გამოიყურება, ამოვიწერ და მათზე ვაკონცენტრირებ ყურადღებას. საანალიზო ლექსში ასეთ მომენტებად მივიჩნიე:

1. თეთრი (!) დღეები – ტრადიციული წარმოდგენით ხომ ღამე – შავია, დღე – ისედაც თეთრი. რანაირად დადგა თეთრი დღეები? ჩვეულებრივ ხომ შემოდგომაზე დღე პირიქით – მოკლდება.

ეშლება რამე პოეტს?

თეთრი ღამეები რომ იყოს, ყველაფერი ხომ გასაგები იქნებოდა.

2. რას ნიშნავს „გაჩნდნენ ორხიდეები – ყოვლად უმიზეზონი“?

რა შეიძლება იყოს ან არ იყოს ყვავილის გაჩენის მიზეზი? თანაც – „ყოვლად“?

3. რას ნიშნავს „ლურჯი მონტევიდეო, ვიწრო ხელთათმანებით“?

მონტევიდეო სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ, ურუგვაიში დიდი საპორტო ქალაქი კია, ცხადია, წინ ლურჯი ზღვა აქვს, როგორც ყველა საპორტო ან ზღვისპირა ქალაქს და თავზეც – ცა შეიძლება ხშირად ჰქონდეს ლურჯი, როგორც დედამიწაზე ყველაფერს.

რუქაზე მისი გამოსახულება – ვიზუალურად – არაფერს გვაძლევს, აქ გასაღებად რომ გამოგვადგებოდეს. თან ვიწრო(!) ხელთათმან-ებ-ით (თავი დავანებოთ იმას, რომ ქართულში მხოლობით რიცხვში უნდა იდგეს ხელთათმანი და ჩავთვალოთ, რომ გასარითმავად ზმანებით//ხელთათმანებით – პოეტურ ლიცენციას მიმართავს ავტორი. მოქმ. ბრ. ფორმა ხელთათმანებ-ით – რატომაა? ანუ რას ახლავს ეს ხელთათმანები?

4. და ბოლოს, რას ნიშნავს ეს? –

სულში ნისლის ტბებია
და ქაოსის მხატვარი,
სადაც ვეღარ თბებიან
ფრთები ნამკათათვარი.

რა ფრთებზე, ნისლზე, რა ქაოსსა და რომელ მხატვარზეა საუბარი?

რატომ მკათათვე?

* * *

საფუძვლიან გამოკვლევას რომ ვწერდე, სიტყვას მეტად გავაგრძელებდი, ეს ტექსტი კი უფრო ესეა, რომელსაც კონკრეტული დანიშნულება აქვს: ვირტუალურ მეგობარ მკითხველებს გაუზიაროს აზრი ლექსის შესახებ, იმ რეალიების რაღაც ნაწილის მოხმობით, რისი გამოყენებაც აღარ დამცალდა საქართველოდან სამუდამოდ გამომგზავრების გამო, ახლიდან მოვიძიე, თუმცა ვერა – ყველაფერი.

მივყვეთ პუნქტობრივად ჩამოწერილ კითხვებს!

1. დგება თეთრი დღეები / „რიდეების სეზონი“ – პეტერბურგის თეთრი ღამეების შესახებ ყველას სმენია და მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ შემოდგომაზე არსებობს დაახლოებით ორკვირიანი პერიოდი, როცა ყინვა ჯერ არ დამდგარა, უბრალოდ აციებულია, ყვითელი მზე ანათებს, მაგრამ

არ ათბობს, გაყვითლებული ფოთლებიც საბოლოოდ დაცვენილი არაა. თოვს კია და საუკეთესო სეზონია სასეირნოდ, ციგით სასრიალოდ და ასე შემდეგ. ამ თხელთოვლიან დღეებს უწოდებენ სწორედ თეთრ დღეებს ანუ აქ გალაკტიონი კი არ იგონებს, არამედ იყენებს უკვე არსებული, თუმცა ქართველი მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილი მოვლენის სახელს.

2. „გაჩნდნენ ორხიდეები, ყოვლად უმიზეზონი“ – აქ ისევ მნიშვნელობებით თამაში უნდა გვქონდეს, ორქიდეა – ზამთრის ყვავილია, განსაკუთრებით პოპულარული პეტერბურგში, მას საშინაო პირობებში განსაკუთრებული მოვლა სჭირდება და არა გახსნილ სივრცეში, არამედ ორანჟერეიებში ზრდიან. იმდენად დამახასიათებელია იმ ქალაქის გარემოსათვის ეს ყვავილი, რომ ოთახის პატარა ძაღლის ჯიშიც კი ამ სახელითაა რეგისტრირებული – „პეტერბურგული ორქიდეა“.

რატომ ორხიდეა და არა ორქიდეა? ორმაგი ხიდები ცნობილია მსოფლიოს სხვადასხვა ალაგას, რუსეთშიც, მაგრამ პეტერბურგში ასეთი რამ მე არ მაგონდება. ვეძებე და ვერც ვიპოვე, არადა რაღაც დამატებითი მნიშვნელობა მგონია ეს ხიდი. ხომ არ იგულისხმება „რაზვადნოი“ ანუ გასახსნელი, ორნაწილიანი ხიდიც? ან სულაც მინიშნებაა პეტერბურგზე, როგორც „ხიდების ქალაქად“ ცნობილ ადგილზე?

მაგრამ რატომ „უმიზეზონი“, მხოლოდ რითმის გამო – სეზონი/უმიზეზონი?

რა მიზეზი უნდა ჰქონოდათ ორხიდეებს გასაჩენად?

თეთრი ზამბახები რომ თოვლის ფთილებად შეგიძლია წარმოვიდგინოთ, ამ აზრს მე ვერ მივითვისებ, სხვისგან მახსოვს, მაგრამ ლოგიკას კი დავესესხებოდი. ხომ არაა ეს ორქიდეები დაკავშირებული ფიფქებთან ან პატარა, შემოდგომური თოვლის ფთილებთან? ზამთარი ხომ საშინლად ცივი და ნესტიანი ყინვებით იცის პეტერბურგში – ამ ჩრდილოურ საზღვაო ქალაქში. შემოდგომის პირველი აციება კი ამისგან განსხვავებით, ძალზე სასიამოვნო შეგრძნებებს აღძრავს ადამიანებში.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში და შესაბამისად, ლექსიკონებში, მიზეზი – „პრიჩინას“ (რუს.) ნიშნავს, მაგრამ დიალექტებში დღემდე შემორჩენილია მისი მეორე მნიშვნელობაც – ნაკლი, ხინჯი, წუნი და ასე შემდეგ. აქ ვფიქრობ, პოეტი კვლავ მნიშვნელობებით თამაშობს.

გალაკტიონი რომ საფუძვლიანად ეწაფებოდა რუსულ ლიტერატურასა და კულტურას, ცნობილი ამბავია. არსებობს ასეთი ხერხიც მის ენიგმათა ამოხსნისა – საჭიროა, გაუგებარი სიტყვა რუსულად თარგმნო და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ეპითეტი „ყოვლად“ – ასეთ სიტყვად უნდა მივიჩნიოთ „ვესმა“ (რუს). მაპატიეთ, რუსული შრიფტი არ მიყენია და იძულებული ვარ, ქართული ასოებით ვწერო.

აშკარაა, რომ ამაღლებული სტილის მეტყველებასთან გვაქვს საქმე, ელეგანტურობასთან. დაბალ ფენებში ასე არ მეტყველებენ. თუმცა ეს ის პერიოდია, გასაბჭოებისდროინდელი, როცა დაბალმეტყველებით მაღალი წრის ხალხი თავისებურად თავსაც იწონებს (ქვეცნობიერი შიშის გამოხატულება ახალი რეალობისადმი?)

3. მივადექით ყველაზე მომხიბლავ, მაგრამ ასახსნელად ძნელ მომენტს: რას ნიშნავს „ლურჯი მონტევიდეო, ვიწრო ხელთათმანებით“?

რატომ არის ლურჯი – ურუგვაის საპორტო ქალაქის, დედაქალაქის ფერი, ურუგვაის დროშის სილურჯის გამო? ზღვის და ცის გამო? განა საპორტო ქალაქების უმეტესობა ამ მხრივ, ლურჯი არ არის, ან ხელთათმანები მაინც როგორ-ღა ახლავს? – „ხელთათმანებითო“! რუქაზეც – გამოსახულება ხელთათმანს სულ არ წააგავს. მაგ. იტალიაზე ხომ ამბობენ ჩექმას ჰგავსო, პირადად მე საქართველოს ძველი რუქა მაგონებდა ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებში ადრე გამოკრულ ილუსტრაციას, რომელზეც ჩანდა, საქონლის ხორცის ნაწილებად დაჭრისას რომელ ნაწილს რა ერქვა, რისთვის იყო გამოსადეგი და რა ღირდა. აქ კი მსგავსი არაფერია.

ჩვეულებრივ, რას შეიძლება ახლდეს ხელთათმანები? ხელთათმანები – ხელთათმანი (მხ. რ.) ბევრნაირი არსებობს, მაგრამ ვიწრო ხელთათმანი – ეს ხომ გალანტერეის ნაწილია. იგი შეიძლება, მაგალითად, ახლდეს ჩანთას, კაშნეს, შეიძლება კოსტიუმის, რაღაც ჩასაცმელის ატრიბუტი იყოს. თუ ასეა და ეს „მონტევიდეო“ – კოსტიუმს ნიშნავს, ვის და რატომ შეიძლება ეცვას იგი, ქალს თუ კაცს? რაკი პეტერბურგია, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ალ. ბლოკის „უცნობი ქალია“?

გადაჭრით – ნამდვილად ძნელი სათქმელია.

რაკი გალაკტიონის სახეთა მრავალგანზომილებიანობაზე, მრავალმნიშვნელოვნებაზე ზემოთ უკვე ვთქვით ორიოდე სიტყვა, ჯერ „გარეთა“ მნიშვნელობას მივაპყროთ ყურადღება!

მანამდე კი თანამედროვეობიდან ანალოგი ვნახოთ, იქნებ გამოგვადგეს:

ამერიკაში – ჯინსი – ისტორიულად – თავისებურად დამუშავებული „დენიმის“ – ბრეზენტის სამუშაო შარვლის სახელწოდება იყო, ჩვენში – ჩემს თაობაში მაინც, რომელსაც „ჯინსების თაობაც“ კი უწოდეს მოგვიანებით, ის გაფეტიშებული იყო, თავისუფლების, ამერიკის სიმბოლოდ იქცა.

ადრე მოძებნილი მქონდა მასალები, რომ არსებობს სტილი – მონტევიდეო, მაშინდელ არეული რუსეთის იმპერიიდან დიდძალი ემიგაცია მიაწყდა სწორედ მზიურ მონტევიდეოს, განსაკუთრებით რუსები და სომხები და იქ უზარმაზარი, დღემდე ძლიერი დიასპორები შექმნეს. სომხებმა განსაკუთრებით სამკერვალო ბიზნესი განავითარეს და არ არის გამორიცხული, რომ ლურჯი მონტევიდეო, ვიწრო ხელთათმანებით – ეს ელეგანტური სახე – სწორედ ლურჯი კოსტიუმია ვიწრო ხელთათმანებით. ეს ყოველივე კი საოცნებო, მზიანი მხარის სიმბოლოა. სხვათა შორის, ასეთივე ოცნების ქალაქებად ესახებოიდათ მაშინ ბუენოს-აირესი და რიო-დე-ჟანეირო – არსებობს რუსულად ლექსები და სიმღერები ამ ოცნების ქალაქთა შესახებაც.

ახლა გალაკტიონის პირად გამოცდილებას მივაპყროთ მზერა.

მას აქვს ერთი ლექსი, დაწერილი ოცდაათიან წლებში, სადაც იხსენებს, თუ როგორ ნახა პირველი ხმოვანი ფილმი, მეოთხედი საუკუნის წინ. ამ ფილმში მონტევიდეოს აჩვენებდნენ და იქიდან დაწყებული იგი მის შორეულ, საოცნებო ქალაქად იქცა. მონტევიდეო ნახსენებია მის ზღვის ეფემერაშიც:

ზღვის ეფემერა

სალიუტი, სალიუტი!
გვიყვარდა უცხო ქალაქები
ზღვის ნაპირებზე:
მონტევიდეო,
ბუენოს-აირეს.
გვიყვარდა უდაბური კუნძულები,
ალბატროსები.
ღვინით რამდენი სიხარული
გემის ბაქანზე
ჩვენ შეგვხვედრია!
ვარსკვლავთა ფიფქით გულია სავსე,
ელვარებს მთვარე,
შავი ზღვის ზვირთთა სცურავხარ ნავზე,
შენ, შუქთა მხარე.

კიპარისები, დაფნები, პალმა
მოსჩანან შორით,
და ნავთსადგური ცისფერმა ალმა
დაფარა ტბორით.
როგორც ეს გული, მიეცა ჯადოს
მიდამო მთელი...
მონტევიდეოს და კოლორადოს
ასახვა წრფელი.
ხმოვანი კინო
საღამო წყნარი. უღრუბლო სახეთ
ახალი ღვინო.
ოცდაათი წლის წინად რომ ვნახეთ
პირველი კინო.
ზღვა ხმაურობდა. ეს იყო ქვიშის
ხმოვანი ჯადო.
მონტევიდეო, ლურჯი პარიზი
და კოლორადო.
მას შემდეგ ხანა ორად გაიყო –
გული ამ გულში.
(ეს ოცდაათი წლის წინად იყო,
და არა გუშინ).
არ გაიარა მას შემდეგ ჯადომ
ხანა წუხილის.
ისევ ის განგი და კოლორადო
ვნახე წუხელის.
და ფრანგულის წილ (გზა უისროთა)
როგორც სინანულს –
ხმოვანი ფილმი სიტყვებს ისროდა
ამერიკანულს.
გაჰქრა მსუბუქი შრიალი ქვიშის
ალ-მოფერადო...
მონტევიდეო. ლურჯი პარიზი
და კოლორადო.

მივაქციოთ ყურადღება ლექსის ფინალს. აქ უკვე პარიზია ლურჯი და არა მონტევიდეო.

ეს მაფიქრებინებს, რომ ლურჯი – ცისფერის – საოცნებო ფერის – სუროგატადაც შეიძლება გავიაზროთ. ვფიქრობ, ასე თუ ისე, ერთი რამ მაინც ცხადი გავხადეთ, რომ ადრეული ჭაბუკობი-დან მოყოლებული, გალაკტიონისთვის, ისევე როგორც მრავალი იმდროინდელი ადამიანისთვის, მონტევიდეო – ოცნების, ლურჯი ოცნების მხარე იყო, რომელსაც პოეზიაშიც და ჩანაწერებშიც მას შემდეგ არაერთხელ მიუბრუნდა. დავუკვირდეთ, სახე წოდებით ბრუნვაშია დაყენებული, ანუ მიმართვის ობიექტია:

ლაჟვარდების კიდეო,
დაბურულო ზმანებით,
ლურჯო მონტევიდეო,
ვიწრო ხელთათმანებით;

რიდეები, დაბურულობა, როგორც ოცნების განუყოფელი თვისება ამ სახესაც სდევს. ანუ რას ეუბნება. ლაჟვარდების სადღაც, ბოლო კიდეში მეგულები, ზმანებები – საოცნებო წარმოსახვები გბურავსო, ამას მიუმატეთ ნისლი, ქაოსი... წარმოიდგინეთ, რომ მხატვარი ხართ და ამ ლექსის ფერადი ილუსტრირება დაგევალათ, რა ფერები გექნებათ პალიტრაზე? რა უნდა გამოსახოთ? – ალბათ რაღაც გაურკვეველი დაბურული, მოთეთრო ფონი (ეს კი სახვით ხელოვნებაში არა – უბრალოდ, თეთრი ფერის დადებით, არამედ სხვადასხვა ფეროვანი, შუქჩრდილოვანი ლაქების ოსტატური შეხამებით მიიღწევა) და ცენტრში – ერთი გრაფიკული, გრაციოზული მონასმით, უფრო ზუსტად – ალბათ ხაზით, რაღაც, ლურჯი გამოსახულება. მთელი ლექსი თეთრ-ლურჯია – (ლაჟვარდიც ხომ ლურჯია, ფიგურიდან – ლურჯი ფლუიდები გადაედება, ანუ ფონი და გამოსახულება დიალოგში შევა). ეს ყველაფერი კი საბოლოოდ ზმანებისმიერი ბუნდოვანების, დინამიურ სურათ-ხატს ქმნის.

* * *

ფინალამდეც მოვაღწიეთ:

სულში ნისლის ტბებია
და ქაოსის მხატვარი,
სადაც ვეღარ თბებიან
ფრთები ნამკათათვარი.

ქაოსის მხატვრად იწოდებოდა ივან აივაზოვსკი. ამ სათაურით ცნობილი – „ქაოსი – შესაქმე“ – ტილო არა თუ გალაკტიონს, არამედ რუსებსაც არ ჰქონდათ ნანახი, თუ არ დავუშვებთ იმ ალბათობას, რომ ვატიკანში შეიძლება ემოგზაურა ვინმეს და კათოლიკურ მუზეუმში ეხილა იგი. ტილო 1841 წელს იტალიაში შეიქმნა და გამოფენისთანავე რომის პაპმა შეიძინა და ოქროს მედლით დააჯილდოვა ავტორი. იმპერიაში გავრცელებული იყო მხოლოდ რეპროდუქცია და ამ ამბავზე დაშენებული მრავალი მითი.

გალაკტიონი არ იყო ერთადერთი, რომელიც აივაზოვსკის გენიოსად მიიჩნევდა და გამოხატავდა აღტაცებას მისდამი. მაგრამ გარდა ზოგადისა, მას საამისოდ ძალზე მნიშვნელოვანი პირადი მიზეზიც ჰქონდა. მის ჩანაწერებში ვკითხულობთ:

1912

* * *

„კონსტანტინე აივაზოვსკისადმი მიძღვნილმა გალაკტიონის ლექსმა „უხილავი“ გაზეთის „თემი“ გამოცხადებულ საუკეთესო ლექსის კონკურსზე მეორე პრემია დაიმსახურა. ჯილდოები გამარჯვებულებს აკაკი წერეთელმა გადასცა“.

რას ნიშნავდა აკაკის სახელი გალაკტიონისთვის – ეს მისი პოეზიის მოყვარულებმა კარგად იციან. ახლა ამას დავუმატოთ იმ ადრეულ ასაკში განცდილი გამარჯვების სიხარულიც და დაკვირვებით წავიკითხოთ გამარჯვებული ლექსი:

Გ. ტაბიძე

უხილავი
(აივაზოვსკის სურათის წინ)

მზე დასავლით იღველფება, ღამის ბინდი ხლართავს ჩადრებს,
ლურჯ ცის ფსკერზე სხივი კვდება, სალამს აძლევს ჩონჩხებს და მკვდრებს,
ფიქრში თავი დაუხრიათ სასაფლაოს დარაჯ ჭადრებს,
და ხმა ესმით უხილავის სურნელოვან ალეანდრებს...
„მე სული ვარ, შემომქმედი შეუზღუდველ სულთა თანა,
სამუდამო, – როგორც ღმერთი, დაუძლევი, ვით სატანა,
ყოფნამ ყოფნას უკვდავება უხილავად დაატანა,
თქვენ, მიწაზე, უკვდავება გიკვირთ განა, შეგშურთ განა?
ერთი ხელით ხომლს დავხატავ, მთვარეს მოვხვევ ოქროს სხივებს,
სიბნელისგან მზის შუქს გავყოფ ოქროსფერად ანამძივებს,
ერთის სუნთქვით დედამიწას გადავაფრქვევ ნაზ ყვავილებს.
მთას გრიგალი დაუბერავს, ააკვნესებს, ააკივლებს...
უხილავი ყველგან სუფევს, უხილავი ყველგან გეძებს,
უხილავი გაგახარებს, უხილავი აგაკვნესებს.
დედამიწავ! სული არის შეუზღუდველ სულთა თანა,
სამუდამო, როგორც ღმერთი, გაბედული, ვით სატანა“.
დედამიწას გარინდებულს მოხვევია ფიქრთ სამოსი,
რაღაც სევდით გამსჭვალულა მშვიდი სუნთქვა მიდამოსი.

[1912]

ლექსში ნახსენები ამბავი – სიბნელისგან შუქის გაყოფა რომ შესაქმისეულია და სწორედ აივაზოვსკის ნახატს „ქაოსს“ უნდა უკავშირდებოდეს, ამას დიდი გამოცნობა არ უნდა. დავაკვირდეთ აივაზოვსკის ნახატს, ფრთები ზედ აშკარადაა გამოკვეთილი ბურუსში. პრაქტიკულად, ქაოსის ფონზე გამოსახულ ფრთებს წარმოადგენს. მაგრამ რას შეიძლება ნიშნავდეს ფრთები მაინცა და მაინც – „ნამკათათვარი“?

მკათათვე – ივლისია. ანუ თიბათვის მომდევნო თვე. საუბარია რაღაც ვერ შემდგარ შესაქმეზე, დიდ ამბავზე, რაკი წინ მისი წარმატების ამბავია, თეზა-ანტითეზის პრინციპით, აქ რაღაც წარუმატებლობაა ნისლს შეფარებული, რომელიც პირადულიც შეიძლება იყოს. 1916 წლის ივლისში ანუ მკათათვეში იგი რუსეთში გამგზავრებას ცდილობდა.

მე პირადად ქვემოთ მოყვანილი ლექსისკენ გამირბის ყურადღება და მასთან დაკავშირებული რეალია მაგონდება.

1916 წელს თავად ხელმოკლე გალაკტიონს უნდოდა, დედამისს სოფელში მიწის რაღაც ნაწილი მაინც გაეყიდა და მისთვის სასწავლებლად გასამგზავრებელი ფული მიეცა. მაკრინე ადეიშვილისთვის, ახალგაზრდობიდანვე ქვრივისთვისს, რომელსაც თავი და ოჯახი იმ მიწის დამუშავებით გაჰქონდა და ცოტა რაღაცას კერვითაც უმატებდა, მიწის გაყიდვა და ფულის გაღება იმ საქმეში, რომელსაც წარმატების პირი არ უჩანდა, ვერ იქნებოდა მოსაწონი საქმე, რადგან გალაკტიონმა სწავლით თავი მანამდე დიდად ვერ გამოიჩინა, უფრო – პირიქით. ადრე თავიც კი მოიწამლა კლასში

ჩარჩენის გამო. ქმრეულებსაც დაეკითხა რჩევას დედამისი და მათგანაც ვერ მოისმინა თავის საპირისპირო აზრი. მოკლედ, უარი უთხრა გალაკტიონს მიწების გაყიდვაზე და ამის შემდგომ დედა-შვილის ურთიერთობა ვერასოდეს გახდა ძველებური.

მანამდე კი პოეტი ასე ოცნებობდა, თიბათვე გავიდა (ანუ მკათათვე დადგაო):

თიბათვე გავიდა. აჭრელდა ქათიბი
იქ, სადაც ყელამდე ღელავდა სათიბი.
მეც მალე ჩრდილოეთს ვეწვევი კიდობნით,
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!
მევახშის ხელში ვარ! დამედო ვალები!
ოჰ! უნდა გავყიდო მამული, ჭალები!
რა გზაა: მე მიკვირს, რომ დღემდე გავძელი!
სასახლეც გავყიდე... სათიბიც ავცელე!

ვფიქრობ „სასახლე“ ამ ლექსშიც მნიშვნელობებით თამაშის კონტექსტში უნდა გავიაზროთ და ერთი მნიშვნელობით იკითხება, როგორც მიწა, სადაც სახლი უნდა აეშენებინა – „სა-სახლე მიწა“, ნახსენები „ჭალები“ კი სოფლად მათი კუთვნილი „მეფის ჭალის“ მიწას გულისხმობს.

შესაბამისად, მამულის გაყიდვა, ოჯახის კუთვნილი მიწების მისთვის საოცნებო გასხვისებას უნდა ნიშნავდეს. აი, ეს ნაოცნებარი, „ჩრდილოეთში – კიდობნით, ანუ გემით წასვლა ჩაეშალა და „ნამკათათვარი“ ფრთები ვეღარ უნდა უთბებოდეს მას.

ლექსის ფინალი პესიმისტურია.

მოგვიანებით იგი მაინც წავიდა მოსკოვსა და პეტერბურგში, წავიდა ჯიბეცარიელი, სწავლისთვის და იქ არსებობისთვის ყველაზე შეუფერებელ დროს – რუსეთის ძველი და ახალი დედაქალაქი და მთლიანად ქვეყანა უკვე რევოლუციის ცეცხლში ეხვეოდა... დედაქალაქებს მასობრივად ტოვებდა და გარბოდა, ვისაც საით შეეძლო. იქ კი რევოლუციონერთა ნაკადები მატულობდა.

ლექსის დაწერის თარიღი ზუსტად არაა ცნობილი, სავარაუდოდ 1922 წელია. ეს მაფიქრებინებს, რომ აციებული პეტერბურგიცა და შორეული, მზით განათებული მონტევიდეოც საქართველოში მყოფ გალაკტიონს ეზმანება.

ჩვენი მოგზაურობა ერთი ლექსის სივრცეში დასასრულს მიუახლოვდა.

დამშვიდობებამდე გავიხსენოთ, რითაც დავიწყეთ ეს წერილი.

მინდა ახლაც და ყოველთვის, გალაკტიონის შესახებ ჩემი რაიმე წერილის გაცნობისას, მკითხველს სულ ახსოვდეს წითელი „ლაზერ პოინტერი“, რომელმაც დროებით გალაკტიონის შემოქმედების რაღაც წვეთი ან იქნებ პეშვი შეიძლება გაუნათოს, საკუთარი გალაკტიონი კი თავად უნდა აღმოაჩინოს. აღმოსაჩენი – ოკეანეა.

რუსუდან ღორია
აკაკი ბერიძე
დავით ზოიძე

„მოგონებანი გარდასულ დღეთა“

ასაკით დამძიმებულ ადამიანს მოგონებებს რა გამოულევს. მოგეძალება დიდი ხნის წინ გადახდენილის თავიდან განცდის, განსჯისა თუ ანალიზის სურვილი. მათი უბრალო გახსენებაც კი სიამოვნების, წყენის ან გაბრაზების გამო, შეგაჟრჟოლებს, აგაფორიაქებს...

აკაკი ბერიძეს და დავით ზოიძეს შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი ერთად გვაქვს გატარებული, ერთი პროფესია (ექიმობა), საერთო მეგობრები, საერთო ინტერესები გვაკავშირებს, წარმოიდგინეთ, გასახსენებელიც ბევრი საერთო გვაქვს. ცხოვრების გზაზე შეხვედრილთაგან უმრავლესობამ სიკეთით დაგვამახსოვრა თავი – ბოროტი დავიწყებამ ჩამოსწერა მეხსიერებიდან.

რუსიკო ლორია (დათო ზოიძის მეუღლე), ამ წერილის თანაავტორი ჩვენზე გაცილებით ახალგაზრდაა – თბილი, ქალური სინაზით დამშვენებული, საოცრად რომ უხდება გურული იუმორი – ჩვენი ლიტერატურული ლოკომოტივია, წერილის ადრესატებიდან ერთს – ნიკო მღებრიშვილს კარგად ვიცნობდით, ვმეგობრობდით და გვეამაყებოდა მასთან სიახლოვე. ცნობილ მწერალს – ლევან გოთუას რუსიკო მისი შემოქმედებით იცნობდა, რომელიც ზედმიწევნით კარგად შეისწავლა და, სინანულს გამოთქვამდა, რომ ამ დიდი მწერლის ღვაწლი სათანადოდ არ არის დაფასებული თანამედროვეთა მიერ. კაკოს და დათოს ურთიერთობა დიდ მწერალთან უფრო მოკრძალებით, ხიბლით, აღფრთოვანებით გამოიხატებოდა.

მიმდინარე წელს ლევან გოთუას – ბრწყინვალე მწერალს, პუბლიცისტს, საზოგადო მოღვაწეს, სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ პატრიოტ-მამულიშვილს დაბადებიდან 115 წელი შეუსრულდებოდა. უდავოდ ბუმბერაზი ქართველი იყო, ყველა მხრიდან დიდებულად რომ ჩანდა. მისი ნებისმიერი ქმედება სამშობლოს სიყვარულით იყო განპირობებული – აკეთებდა იმას, რაც იმ მომენტში ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის მიაჩნდა საჭიროდ. 16 წლისა, 1921 წელს კოჯორში შეუერთდა სამშობლოს დამცველ მებრძოლებს, აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის ლიდერი, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში შექმნა იატაკქვეშა ორგანიზაცია – „საქართველოს თავდაცვის კომიტეტი“. ცხადია, საბჭოთა კავშირის შესაბამისმა სადამსჯელო ორგანოებმა არ აპატიეს ლევან გოთუას სამშობლოს ესოდენ დიდი სიყვარული, ბევრჯერ იჯდა ციხეში, იყო გადასახლებული, სამჯერ იხდიდა სასჯელს ნარიმის, ბიისკის და ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკებში.

მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის დიდი პერიოდი პატიმრობაში გაატარა, ლევან გოთუა მეტად პროდუქტიული შემოქმედი გახლდათ: პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მისი შედევრი – ტეტრალოგია „გმირთა ვარამი“, რომელშიც საქართველოს ისტორიის ყველაზე ტრაგიკული, სისხლიანი პერიოდია ასახული ნიჭიერებით, მაღალი ლიტერატურული გემოვნებით, საინტერესოდ.

ამ საიუბილეო თარიღმაც უღიმღამოდ ჩაიარა, რას იზამ, ასეთი ბედი არგუნა განგებამ ზოგიერთ რჩეულ პიროვნებას.

წერილის ავტორები სიამაყით და დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ვიცნობდით, მოკრძალებული და თაყვანისცემით განმსჭვალული ურთიერთობა გვქონდა ამ ბუმბერაზ მწერალთან ჩვენი თანაკურსელის, მეგობრისა და დამრიგებლის ნიკოლოზ მღებრიშვილის მეშვეობით.

ლევან გოთუა და ნიკოლოზ მღებრიშვილი ომის შემდგომ პერიოში ერთად იხდიდნენ სასჯელს ვორკუტის უმკაცრეს საკონცენტრაციო ბანაკში, აქედან დაიწყო მათი სამაგალითო მეგობრობა... სიცოცხლის დასასრულამდე.

ორივე მათგანი გამოირჩეოდა განსაკუთრებული კეთილშობილებით, აღმატებული კაცური თვისებებით, ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით და... საქართველოს სიყვარულით, რაც მათი ცხოვრების ძირითად კრედოს წარმოადგენდა. ორივე მათგანის განვლილი გზა დასტურია იმისა, რომ ვერავითარი ტანჯვა-წამება მორალურად ვერ გატეხს ნამდვილ ვაჟკაცს, ვერ გააბოროტებს, ვერ მოაშლევინებს სამშობლოს სიყვარულს და სიკეთის კეთებას. მიგვაჩნია, რომ ორივე პიროვნებას სხვებისაგან განსხვავებული, ამასთანავე საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელი, ტიპიური, ბიოგრაფია აქვთ და ამითაც საინტერესოდ და საჭიროდ მიგვაჩნია მათი გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის. მათი მაგალითი მისაბაძია ახალგაზრდა თაობებისათვის. ეს გახლავთ ამ პუბლიკაციის ძირითადი მოტივაცია.

სამშობლოს განუზომელი სიყვარული აისახა ლევან გოთუას გენიალურ ფრაზებსა და ბრძნულ გამონათქვამებში:

– „არავითარი ბედნიერება არც მწადს და არც მწამს, უკეთუ ჩემი სამშობლოს ხარჯზე იქნება“.

– „ადამიანი რომელიც არ იცნობს თავის მშობლიურ მიწა-წყალს, არ არის ღირსი ამ მიწა-წყლისა“.

– „ბედნიერ მონობას უბედური თავისუფლება მაინც სჯობს“.

ენის პატივისცემა ერისადმი პატივისცემის ერთ-ერთი ატრიბუტია. ქართული ენა არც ამერლებს შეუქმნია და არც იმერლებს, ცალ-ცალკე – მეუღლის – ციცო ალხაზიშვილის აზრით, ლევან გოთუას გამორჩეული თვისება ადამიანის განუზომელი სიყვარული იყო... თუმცა ბევრჯერ და მწარედ ატკინეს გული. ხრუშჩოვის პერიოდში, 1955 წელს, ლევან გოთუა პატიმრობიდან გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ საქართველოში არ იცხოვრებდა. ლევანი არ დათანხმდა: „ჩემთვის თავისუფლება სამშობლოში დაბრუნებაა და თუ ამას ვერ შევძლებ ბანაკიდან არ გავალ, რაღა ღობის იქით მიცხოვრია და რაღა ღობის აქითო“. საქმის განმეორებით განხილვისას მწერალს საქართველოში ცხოვრების ნება დართეს.

უკიდურესად ქართული მწერლის ფუნდამენტური ნაწარმოებები ძირითადად საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდებს ეხება. „გმირთა ვარამს“ მოსდევს დრამატული ნაწარმოებები „მეფე ერეკლე“, „დავით აღმაშენებელი“, რომლებიც დიდი წარმატებით, ანშლაგით გადიოდა მარჯანიშვილის თეატრში.

უაღრესად საინტერესოა ორიგინალური მოთხრობები – „კრწანისის სევდა“, „უგზო ქარავანი“, „სიბრძნე სიკვდილისა“, „სერაფიტა“.

სამწუხაროდ ვეღარ დაასრულა ავტორმა საინტერესო რომანი სახელგანთქმულ ისტორიულ პიროვნებაზე „მითრიდატე“, მკითხველმა იხილა მხოლოდ პირველი ტომი.

ბოდიშს ვიხდით სულმნათი ლევან გოთუასა და მკითხველის წინაშე, უმორჩილესად გთხოვთ ეს წერილი დიდებული მწერლის შემოქმედების

შეფასებად არ ჩათვალოთ, ამისი არც ცოდნა და არც კომპეტენცია არ გაგვაჩნია, თუმცა გვეამაყება, რომ ბატონ ლევანს ვიცნობდით, ვსტუმრობდით, ხშირად შეხვედრებზეც ვახლდით.

ბატონი ლევანი ახალგაზრდებს თავისი უბრალოებით, თავმდაბლობითაც გვხიბლავდა, ბევრჯერ შევსწრებივართ მედქალაქის საერთო საცხოვრებლის ეზოში სურსათ-სანოვაგით დატვირთული მოგვაკითხავდა, შემოგვძახებდა: „ახალგაზრდებო! ცოტა სასმელ-საჭმელი მოგიტანეთ, ბერიკაცს მაღლა ნუ ამომიყვანთ, ჩამოდით და წაიღეთ, შეგერგოთო“... ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული...

ერთი უნივერსიტეტის ტოლფასი იყო ბატონ ლევანთან სიახლოვეს ყოფნა, მისი საუბრები საქართველოს ისტორიაზე, სამშობლოს სიყვარულზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, სპორტზე... საოცარ სიმკვირცხლეს ამჟღავნებდა ეს გოლიათური აღნაგობის კაცი ისტორიული ადგილების მონახულებისა თუ ალპინისტური სიჩაუქით მთის დალაშქვრის დროს.

– „ლევან გოთუა მთასავით კაცია, მთებშიც არ იმალება მისი გოლიათობა, მთაზე მცოცავი მთაა“ – უთქვამს ედიშერ ყიფიანს.

ახლა ნიკო მღებრიშვილს გაგაცნობთ: ცოტა შორიდან დავიწყებთ: 1957 წელს შუახევის რაიონიდან ორი ახალგაზრდა სკოლადამთავრებული – აკაკი ბერიძე და დავით ზოიძე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩავირიცხეთ, გაზეთში გაცხადებული იყო, რომ ინსტიტუტს საერთო საცხოვრებელი არა აქვს. ერთი თვე მარეთის ხეობის სოფლებში ნამუშევარი ნაცნობი ექიმი – გიორგი მაჩიტაძის მამიდა მაროსთან შევაფარეთ თავი. რაჭველებივით გვიან გავიგეთ, რომ ჩვენს ინსტიტუტს თბილისში ყველაზე საუკეთესო საერთო საცხოვრებელი ჰქონდა, უფროსობასთან მისასვლელი გზებიც გამოვნახეთ და ჩვენს განცხადებაზე რეზოლუციაც გაჩნდა – 63-ე ოთახში ჩაასახლეთო. სასწრაფოდ გავიქეცით სანუკვარი ბინის სანახავად, გავაღეთ კარი და... მოზრდილ ოთახში დიაგონალზე ტროსი დაგვხდა გაჭიმული, ტროსზე ხელებით დადიოდა კაცი, ფეხები მაღლა ჰქონდა აშვერილი – მხოლოდ ცირკში გვქონდა მსგავსი სურათი ნანახი. ეს შესანიშნავი აკრობატი ჩვენი კურსელი ნიკო მღებრიშვილი აღმოჩნდა.

ნიკოს მეტად საინტერესო, მრავალფეროვანი და მძიმე ცხოვრების გზა ჰქონდა განვლილი, იგი დაბადებულა 1922 წელს გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში, შეძლებული გლეხის ოჯახში, მამა – დიმიტრი მღებრიშვილი ისტორიული პიროვნებისა და ლიტერატურული გმირის – ჯორ-ზაქარას შვილიშვილი ყოფილა და თავადაც ხასიათდებოდა მტკიცე პრინციპულობითა და სიმართლისმოყვარეობით.

დედა – მაგდანა ბიძინაშვილი ტიპიური ქართველი (ქართლელი) ქალი. გამრჯე და შრომისმოყვარე ქალბატონს ოჯახური მეურნეობა ყოველთვის წესრიგში ქონდა.

ნიკო მღებრიშვილს 1939 წელს წარჩინებით – (ოქროს მედალზე) დაუმთავრებია მეჯვრისხევის საშუალო სკოლა და მაშინვე გაუწვევიათ სამხედრო სამსახურში, მალე ყოველგვარი მომზადების გარეშე გაუმწესებიათ საბჭოთაკავშირ-ფინეთის ომში ფრონტის წინა ხაზზე. „სამ მეომარზე ერთი შაშხანა გვქონდა, რიგში ვიდექით, რომ რომელიმე დაცემული მეომრის იარაღს დავუფლებოდითო“. იგონებდა ნიკო.

ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს მხარში დაჭრილი, სისხლისაგან დაცლილი, გონებადაკარგული ნიკო ფინელ მეომრებს ტყვედ აუყვანიათ და ჰოსპიტალში მოუთავსებიათ. გამოჯანმრთელების შემდეგ ხე-ტყის დამზადებაზე დაუსაქმებიათ. სამუშაოს შესრულებასთან ერთად იგი ნახულობდა დროს აკრობატიკული კონცერტებით გაერთო ტყვეები. ერთ-ერთ ასეთ სანახაობას შესწრებია მამასთან ერთად მიმავალი 10 წლის გოგონა. გოგონას მოწონებია ნიკოს კონცერტი. შვილის თხოვნით შეძლებულ მამას ბანაკის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ნიკო წაუყვანია თავის მამულში და კარ-მიდამოს მოვლა დაუვალებია. ნიკომ საქმეს თავი კარგად გაართვა და ოჯახის დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

ფინეთის ოკუპაციის შემდეგ გერმანელებმა ყველა ტყვე საფრანგეთში, ბრეტანიის სანაპიროზე გადაისროლეს მტრის საწინააღმდეგო ნაპირსამაგრი სამუშაოების საწარმოებლად. მათ შორის იყო ნიკოც.

ცოტა ხნის შემდეგ ნიკო დაუკავშირდა ადგილობრივი „წინააღმდეგობის მოძრაობის“ წევრებს და მათი დახმარებით ბანაკიდან გაიქცა. რამდენიმე თვე ფრანგი გლეხის ოჯახში იმალებოდა, შემდეგ იგივე ორგანიზაციის დახმარებით გადავიდა ინგლისში და ბოლო 3 წელი იქ გაატარა, აქვე დაამთავრა წითელი ჯვრის კურსები, მიიღო „სანინსტრუქტორის“ დიპლომი, აქ მიღებული სამედიცინო განათლება ძალიან გამოადგა ნიკოს საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნის დროს.

მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ ნიკო ომში ჩაება მოკავშირე ჯარებთან ერთად და გამარჯვება ბერლინში იზეიმა. შეთავაზებულ წინადადებაზე დარჩენილიყო ინგლისში – ნიკომ დელიკატურად უარი თქვა და სამშობლოში დაბრუნება არჩია; თუმცა, კარგად იცოდა რა საშიშროებაც ელოდა საბჭოთა კავშირში.

1945 წლის ბოლოს ჯარში გაწვევიდან 6 წლის შემდეგ ნიკომ გაუფრთხილებლად შეაღო თავისი სახლის კარები მეჯვრისხევში. ოჯახის წევრებს იგი ცოცხალი აღარ ეგონათ.

ნაადრევი აღმოჩნდა სიხარული. არსებული კანონმდებლობის თანახმად ერთი თვის შემდეგ ნიკო გამოცხადდა სამხედრო კომისარიატში და განაგრძო სამსახური მოქმედ არმიაში.

1946 წლიდან საბჭოთა კავშირს გაუმწვავდა ურთიერთობა ყოფილ მოკავშირე ქვეყნებთან, გაჩაღდა „ცივი ომი“. საბჭოთა მთავრობამ ტყვედნამყოფი ყველა პირი დააპატიმრა და საკონცენტრაციო ბანაკებში გაამწესა. ნიკოს შორეულ ჩრდილოეთში, ვორკუტის სპილენძისა და ქვანახშირის მაღაროებში უკრეს თავი. ეს ბანაკი ცნობილი იყო „სიკვდილის ბანაკის“ სახელით. იქ შრომის მეტად მძიმე პირობები იყო და სრულიად ჯანმრთელი ახალგაზრდებიც დიდხანს ვერ ძლებდნენ. ინგლისში მოპოვებული სანინსტრუქტორის დიპლომით ნიკომ ფერშლად დაიწყო მუშაობა ბანაკის საავადმყოფოში, რომლის მთავარი ექიმი იყო თვითონაც რეპრესირებული ქართველი ექიმი ჯღარკავა.

ნიკომ ამ ბანაკში დაყო 10 წელი, ბევრ ქართველ და არაქართველ პატიმარს შეუნარჩუნა სიცოცხლე, იგი კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა ბანაკის ხელმძღვანელებსა და პატიმრებს შორის.

ამავე პერიოდში ვორკუტის შახტებში სასჯელს იხდიდა აგრეთვე რეპრესირებული მწერალი ლევან გოთუა. აქედან დაიწყო მათი მეგობრობაც, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

ნიკოს ხელშეწყობითა და დახმარებით ლევანმა სასჯელის უმეტესი პერიოდი ბანაკის საავადმყოფოში დაჰყო, სადაც შედარებით უკეთესი პირობები იყო სიცოცხლის შენარჩუნებისა და ლიტერატურული საქმიანობისათვის. იგი ინტენსიურად მუშაობდა ტეტრალოგიაზე – „გმირთა ვარამი“. მეტად რთულ პირობებში უხდებოდა ლევანს წერა. ბანაკის ზედამხედველები სისტემატურად ესხმოდნენ თავს, ჩხრეკდნენ და ართმევდნენ ნაწერებს. ლევანი რომანის ფრაგმენტებს წერდა ქაღალდის ნაგლეჯზე, ასანთის კოლოფებზე, გაზეთის კიდეებზე, ამ ნაწერებს პატიმრები ხის მორების გულში ათავსებდნენ, მორებს კი საქართველოში აგზავნიდნენ. ადრესატი სიმონ ჩიქოვანი იყო. იგი ტექსტებს აწყობდა და სამშობლოში დაბრუნებულ ლევანს დაახვედრა...

ლევანი ბუნებით კეთილი, განათლებული პიროვნება იყო; ამიტომაც შეიყვარეს იგი ბანაკის პატიმრებმა და მოსახლეობამ. ისინი ხშირად ეხმარებოდნენ შახტებში სამუშაოს შესრულებაში, დაწერილი მასალების გადამალვაში და საქართველოში გაგზავნაში. ნიკო კი მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ერთგულად დარაჯობდა მფარველ ანგელოზად.

სასჯელის მოხდის შემდეგ მწერალი დაბრუნდა სამშობლოში, შეაგროვა ბანაკიდან გამოგზავნილი ნაწერები, დაასრულა ნაწარმოები და

ბრწყინვალე ტეტრალოგია „გმირთა ვარამი“ მიაწოდა მკითხველს.

საერთოდ ლევან გოთუამ მეტად მდიდარი და მაღალმხატვრული ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუტოვა ქვეყანას. ვერც ერთმა რეჟისორმა ვერ გაბედა ამ დიდებული მწერლის ნაწარმოებთა ეკრანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ხელისუფლების მიერ მთლიანად რეაბილიტირებული იყო.

პატიმრობიდან განთავისუფლებული ნიკო მღებრიშვილი 1957 წელს საქართველოში დაბრუნდა. მას სკოლა ოქროს მედალზე ჰქონდა დამთავრებული. 18 წლის წინ, მედალი ძალაში იყო ინსტიტუტში უგამოცდოდ გასაუბრებით ჩასარიცხავად, მაგრამ საბუთების მიღებისათვის საჭირო ასაკს გადაცილებული იყო. დახმარებისათვის მან მიმართა საბჭოთა კავშირის განათლების მინისტრს ელიუტინს, მიიღო სათანადო ნებართვა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

ინსტიტუტი იმ დროს მხოლოდ ოქროს მედალოსანი და ფრიადოსანი სტუდენტებით დაკომპლექტდა. ნიკო მღებრიშვილი ყველა ჩვენგანზე უკეთესად სწავლობდა.

მალე მთელ საერთო საცხოვრებელში ჩვენი 63-ე ოთახი საჩვენებელი გახდა, ეს ნიკოს დამსახურება იყო, იგი ყველას უყვარდა და ცდილობდა მასთან დაახლოებას, ყველა მას ბაძავდა და დიდ პატივსაც მიაგებდა. ის ზუსტად იცავდა ჯანსაღი ცხოვრების წესს და ამას ჩვენგანაც მოითხოვდა. გამოუცდელ ბიჭებს გვერდში დაგვიდგა დაბრძენებული, განათლებული, კეთილშობილი ადამიანი, რომელიც გვასწავლიდა, გვაკონტროლებდა და გვპატრონობდა.

მიუხედავად გადატვირთული სასწავლო პროგრამისა, ნიკო ახერხებდა დროის რაციონალურად განაწილებას კინოსა და თეატრში სპექტაკლებზე დასასწრებად, მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების სანახავად, თბილისისა და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად, ცხადია ჩვენთან ერთად.

ნიკოს ხშირად ვსტუმრობდით სოფელ მეჯვრისხევში და ვეხმარებოდით საოჯახო საქმეების შესრულებაში. მალე გამოიკვეთა საცხოვრებელში ნიკოს ლიდერული თვისებები, ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული „ნიკოს“ ჯგუფი, რომლის დამფუძნებელიც ნიკოსთან ერთად იყო აკაკი ბერიძე, დავით ზოიძე და მამია ხალვაში (63-ე ოთახის ბინადრები). შემოგვემატნენ ოთარ იშხნელი (ხულოელი სოფელ ხიხაძირიდან), ჯემალ გოგუაძე (ლანჩხუთელი ნიგოეთიდან), თამაზ ჩაჩავა (თბილისელი), ვაჟა ლორია (ხონელი მათხოჯიდან).

თამაზი ცნობილი ქართველი ქირურგის, მიხეილ ჩაჩავას შვილი იყო, ცხოვრობდა ვაკეში, მრგვალ ბაღთან. ბოლო კურსებზე ნიკო, კაკო და დათო ხშირად თამაზის ბინაში ვემზადებიდით გამოცდებისათვის. საყოფაცხოვრებო მომსახურებას თვითონ ბატონი მიხეილი გვიწევდა და გვარიანად კარგადაც.

თამაზ ჩაჩავა ფრიადოსანი სტუდენტი იყო, მრავალმხრივ განათლებული, კარგად იცოდა ინგლისური და რამდენიმე სხვა უცხო ენა, შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე, თვითონაც თხზავდა მუსიკალურ ნაწარმოებებს, იყო ცნობილი მევიოლინის – ლიანა ისაკაძის მეუღლე. თამაზი დაეუფლა კარდიოქირურგის რთულ სპეციალობას, იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. სპეციალური აღნიშვნის ღირსია მისი ღრმაშინაარსიანი, ორიგინალური პოეზია – გამოსცა პოეტურ ნაწარმოებთა რამდენიმე კრებული, მკითხველმა შეიყვარა თამაზის პოეტური შედევრები. მრავალი ლექსი უცხოურ ენებზეცაა თარგმნილი. ყველა ადამიანური ღირსებით შემკული თამაზი რამოდენიმე წლის წინ მიიბარა უფალმა... ღმერთმა აცხონოს!!!

ნიკოს ჯგუფის ძირითად შემადგენლობაში ტექნიკური უნივერსიტეტის ფრიადოსანი სტუდენტი ჯემალ ბერიძეც (კაკოს ძმა) გვერია. ნიკოს და ჯგუფის სხვა წევრებს იგი განსაკუთრებით უყვარდათ – გამორჩეული პატიოსნების

დაუზარლობის, ერთგულებისათვის. ჯემალი შემდგომში ცნობილი მეცნიერი, კავშირგაბმულობის სისტემის საერთაშორისო დონის აღიარებული სპეციალისტი გახდა; თავისი სიტყვა მან პოლიტიკაშიც თქვა – იყო საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი. ჯემალი ახლაც აგრძელებს „ნიკოს“ ჯგუფთან აქტიურ თანამშრომლობას.

ვაჟა ლორია ვეძისში ცხოვრობდა ძმასთან – შოთა ლორიასთან. ჩვენც ხშირად ვსტუმრობდით ოჯახში ნიკოს ჯგუფელები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეზოში ბალი დამწიფდებოდა ან ვაჟა რომელიმე ახალი პოემის პრეზენტაციას დააპირებდა. ლევან გოთუამ მეორე კურსელ ნიკოს ახალთახალი ავტომანქანა – ამერიკული ჯიპი უყიდა – გამძლე, ეკონომიური, ადვილად სამართავი. „ნიკოს ჯგუფელებმა“ – ავტომანქანის მართვა ამ მანქანაზე ვისწავლეთ. ავტომანქანამ გაგვიადვილა სოფელში მგზავრობა. თბილისისა და მცხეთის გარეუბნებში ექსკურსიებზე სიარული (ხშირად ლევან გოთუასთან ერთად). ჯიპთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი გაგვახსენდა: კვირა დღეს ქალაქგარეთ დასვენება გადავწყვიტეთ. პატარა მდინარის დელტაში საუცხოო მინდორი მწვანედ ბიბინებდა, ფეხბურთის სათამაშოდ უკეთეს ადგილს ვერ ინატრებდი, ოღონდ მანქანით შესვლა შეუძლებელი იყო, მდინარეზე მხოლოდ ვიწრო ფეხით სასიარულო ხიდი იყო გადებული. ჯიპის მარცხენა საბურავები ხიდზე შევაყენეთ, მარჯვენა საბურავებში წინ და უკან ორ-ორი კაცი შევუდექით და მანქანა იოლად გადავიტანეთ მდინარის მეორე ნაპირზე, ამ სეირს ბევრი დამსვენებელი ადევნებდა თვალს, ბათუმიდან მეგობრებიც გვახლდნენ, ყველამ მოწონების შეძახილებით და ტაშით დაგვაჯილდოვეს. ფეხბურთის პრინციპული მატჩიც მოვიგეთ, ანგარიშით – უთვალავით სათვალავი.

ნიკო იყო კარგი სპორტსმენი (აკრობატი), მოციგურავე, მთამსვლელი და მოგზაური, ამასთანავე ყველა საგანს ზეფრიადზე სწავლობდა. ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებს, იცოდა ფრანგული და ცოტა გერმანულიც. კარგად ერკვეოდა ლიტერატურაში და ხელოვნებაში, ჰქონდა საუცხოო იუმორის გრძნობა. ცხადია ნიკოსთან ყოველდღიური ურთიერთობა ჯგუფის წევრებსაც გვაკეთილშობილებდა, ვიზრდებოდით ფიზიკურად, მორალურად. წარჩინებული სტუდენტები, სახელობითი სტიპენდიანტები, ინსტიტუტის ხელმძღვანელობის, პირადად რექტორის – პეტრე გელბახიანის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ვიყავით. შემდგომში ყველა საუკეთესო ექიმებად, სპეციალისტებად ჩამოვყალიბდით. ნიკოს ჯგუფს ყველაზე პირველად ჯემალ გოგუაძე შემოგვიერთდა, სამწუხაროდ ასევე პირველი გამოგვეცალა, ნაადრევად დატოვა წუთისოფელი, ღმერთმა გაანათლოს მისი სული... კარგი ქრთველი, კარგი მეგობარი, კარგი მეცნიერი იყო.

მოსკოვში ოთარ ღუდუშაურის ხელდასმით გაიზარდა შესანიშნავ ტრავმატოლოგად, მისი ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიტატო და სადოქტირო დისერტაცია, ბოლოს თბილისის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა, წარმატებული მეცნიერი და სპეციალისტი იყო... მალე წავიდა, ძალიან ბევრის გაკეთება შეეძლო კიდევ... ძალიან დასანანია.

„ნიკოს ჯგუფიდან“ პირველი აკაკი დაოჯახდა, სამეგობროში შემობრძანდა მშვენიერი ქლბატონი ნათელა ბოლქვაძე, სითბო და სიყვარული შემოიტანა. იგი ერთხმად იქნა არჩეული ჯგუფის წევრთა დაქორწინების კომისიის თავმჯდომარედ.

მეოთხე კურსზე ნიკო მღებრიშვილიც დაქორწინდა მზია კობახიძეზე. რეპრესირებული და შემდგომ რეაბილიტირებული ოჯახიდან იყო.

ყველაზე ბოლოს დავით ზოიძე „მომწიფდა“ – დაქორწინდა რუსუდან ლორიაზე. მათი მეჯვარეობა აკაკიმ და ნათელამ არავის დაუთმეს. კაკო ახლა დათოსა და რუსუდანის უფროსი ქალიშვილის – მარიკას ნათლიაა.

ღირსეულმა ქალბატონებმა კიდევ უფრო გაალამაზეს ჩვენი მეგობრობა, ახალი სული შთაბერეს. ნიკოს ჯგუფის ურთიერთობა გაგრძელდა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც.

ნიკო ოჯახით ზაფხულობით დასასვენებლად ბათუმში გვეწვეოდა, ჩვენც მას ვაკითხავდით მეჯვრისხევის, არცევისა და ღრომის საავადმყოფოებში. იგი წარმატებულ ექიმად ჩამოყალიბდა, იყო მთავარი ექიმი, თერაპევტი, კარდიოლოგი, ნევროპათოლოგი, რენტგენოლოგიც და პათანატომიც. ტიპიური ოჯახის ექიმი, ხალხს უყვარდა და პატივს მიაგებდა მის მრავალპროფილურ მოღვაწეობას. ნიკო საექიმო საქმიანობასთან ერთად კარგი მეურნეც იყო, შესანიშნავად გაწყობილი სახლ-კარი ჰქონდა, კარგად მოვლილი ბაღ-ვენახი და კარ-მიდამო ამშვენებდა სოფლის ამ უბანს.

1988 წელს, 66 წლის ასაკში მიიბარა უფალმა ნიკო მღებრიშვილის ტანჯული სული. დაობლდა „ნიკოს“ ჯგუფი. შარშან ვაჟა ლორიაც დააკლდა წუთისოფელს, ქვეყანას სანათესაოსა და ამხანაგებს.

...ძნელი ყოფილა ობლობა, მით უფრო აუტანელია, როცა ამდენი უკეთილშობილესი, ერთმანეთის გულშემატკივარი, ამაგდარი მეგობარი აღარ გყავს გვერდით...

ნიაზ ჯოღქვაძე

უძველეს კოლხ მეჯალურგთა საიდუმლოება

არ დავიწყება საკაცობრიო ცივილიზაციის საწყისებისა!

„ლოდი, რომელიც მშენებლებმა
დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა...“
მათე, 21,42

ამიერკავკასიაში უძველესი მეტალურგიის კერების აღმოჩენისა და შესწავლის მხრივ თითქმის საუკუნის მანძილზე ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიღწევების შედეგად ძალიან მნიშვნელოვანი შრომები მოგვეპოვება.

მიუხედავად ამისა კვლავ რჩება შესასწავლი არაერთი საინტერესო საკითხი, რომელიც დღემდე არ იყო შესწავლილი.

აქედან გამომდინარე ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტზე, რომელიც სიამაყის გრძნობასთან ერთად დიდ ინტერესსა და გაოცებას იწვევს, კერძოდ: ძველი კოლხეთის მმართველები და კოლხი მეტალურგები საუკუნეების მანძილზე როგორ ახერხებდნენ რკინის წარმოების ტექნოლოგიების საიდუმლოების დაცვას?

ვიდრე ამ საიდუმლოების ახსნას შევეცდებოდე, საერთო წარმოდგენისათვის კარგი იქნებოდა ამ საკითხის მოკლე ისტორიული შეფასება.

უძველესი და ანტიკური ხანის ეგვიპტური, ხეთური, ბერძნული, ურარტული და სხვა ისტორიული წერილობითი წყაროები ადასტურებენ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ ძველი კოლხური ტომები – ხალიბები რკინის პირველი მწარმოებლები იყვნენ. ანუ მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება დედამიწაზე პირველად ჩაისახა და იწყო განვითარება შავიზღვისპირეთში, ძველ კოლხეთში.

ამ აზრის ჭეშმარიტებას ასევე ადასტურებს გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქართველი ერის ეკონომიკურ დაწინაურებას უძველესი დროიდან ქრისტეშობამდე, რომ ამ დროისათვის ქართველებს უკვე სცოდნია მადნეულობის ამოღება დედამიწიდან და მისი დამუშავება.

„გერმანელი ენათმეცნიერი ოტტო შარდერი ფიქრობს, რომ ევროპის ენებში შესული ზოგიერთ ლითონთა სახელები ქართულიაო... თუ ქართულ სამადნო კულტურას ზეგავლენა ჰქონია ევროპისაზე, სჩანს ქართველობა ათი საუკუნით წინ ქრისტეშობამდე დიდი განვითარებული ერი ყოფილა“[1] – აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი.

[1] დავით გვრიტიშვილი. ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე. ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1960, გვ. 28.

ბუნებრივია ამ აზრის აღიარებისათვის, რაც თავის მხრივ ჩვენი წინაპრების უდიდესი ღვაწლის დაფასებას ნიშნავს კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში, მხოლოდ ძველი ისტორიული წერილობითი წყაროები და XX საუკუნის პირველნახევრისათვის არსებული არქეოლოგიური მონაპოვარი საკმარისი ვერ იქნებოდა. საჭირო იყო მეტი ნივთიერი მტკიცებულებები. ამიტომ, 1950-იანი წლებიდან ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე დაიწყო არქეოლოგიური გათხრები.

1959-2000 წლებში მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე უძველესი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოების აღმოჩენამ, რომლებიც ყველაზე ძველი კოლხური ძეგლებია და თარიღდებიან ძვ.წ. XIII-VII სს.[1] (მდ. ჭოროხის, ჩაქვის წყლის, ჩოლოქის, სუფსა-გუბაზეულის, ხობი-ოჩხომურის აუზებში და სხვ.). ნივთიერი მტკიცებულებებით დაადასტურეს ზემოაღნიშნული ისტორიული წერილობითი წყაროებით გაბატონებული აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა.

ძვ.წ. XII საუკუნიდან დასავლეთ ამიერკავკასია უკვე წარმოადგენდა რკინა-ფოლადის მწარმოებელ მთავარ რეგიონს,[2] მაშინ როდესაც ძველი სამყაროს ცივილიზებული ქვეყნებისათვის რკინის წარმოება უცხო იყო.

ცივილიზაციის განვითარების გზაზე ასეთი დიდი გარდატეხა არ იყო შემთხვევითი. მას წინ ბრინჯაოს მეტალურგიის მდიდარი გამოცდილება ედო საფუძვლად. საბადოებით მდიდარი ამიერკავკასია იზოლირებული ვერ იქნებოდა მსოფლიო ისტორიული პროცესებისაგან. კოლხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ძველი მელითონეებიც ჩართული იყვნენ წინააზიური კულტურების განვითარების ერთიან სისტემაში.[3]

გვიან ბრინჯაოს ხანაში, კავკასიაში, კერძოდ კოლხეთში ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისში მოხდა დიდი ცვლილებები. მეტალურგიის განვითარების უდიდესი მიღწევა იყო კოლხი მეტალურგების მიერ მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღება და ათვისება, რამაც რევოლუციური გარდატეხა მოახდინა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში...

ამ საკითხთან დაკავშირებით, არქეოლოგიური ფაქტებისა და ისტორიული წერილობითი წყაროების შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა: „ქართველ ტომებს მარტო თავიანთვის კი არ უკეთებიათ მადნეული ჭურჭელი და იარაღი, არამედ შორეულ ქვეყნებშიც გაჰქონდად გასაყიდად... ქართველმა ხალხმა სახვნელი იარაღების მრავალი სახე შექმნა, განავითარა ეს სახეები, დაწინაურდა მეურნეობრივად. მეზობელმა ქვეყნებმა ქართულ სახვნელ იარაღთაგან მრავალი სახე ისესხეს და გამოიყენეს“...[4]

„უეჭველია, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში საპატიო ღვაწლი მიუძღვით ძველ განათლებულ კაცობრიობის წინაშე... ქართველებმა პირველებმა ისწავლეს მადნის დამუშავებაო“.[5]

ივანე ჯავახიშვილის მიერ გაკეთებულ ასეთ საფუძვლიან დასკვნას, რომ საქართველო რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა, ათეული წლების შემდეგ ფაქტობრივად დაადასტურებს აღმოჩენილი უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოები.

წინაპართა ამ უდიდესი ღვაწლის დამადასტურებელი ნივთიერი მტკიცებულებები, ძველი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოები, რომელთა აღმოჩენებსაც აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილ-

---

[1] დავით ხახუტაიშვილი. სამტომეული, ტ. II, ბათ., 2009, გვ. 187.

[2] გურია. მხარის კვლევა-ძიების შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბ., 2001, გვ. 45.

[3] ამირან კახიძე. უძველესი მეტალურგიის ახლად აღმოჩენილი კერები აჭარაში. საქართველო-უძველესი მეტალურგიის კერა. ბათ., 2019, გვ. 14.

[4] დავით გვრიტიშვილი. დასახ. ნაშრომი. გვ. 107.

[5] დავით გვრიტიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

მა აღფრთოვანებით „დიდი საქმის დასაწყისი“ უწოდა (1964 წ.), საბოლოო განადგურების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მეცნიერულად შესწავლის შემდეგ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოებიდან შედარებით უმნიშვნელო სამუზეუმო ექსპონატების მუზეუმებში გადატანის შემდეგ მთავარი, თვით სახელოსნო-ღუმელები, ქვის მაგიდა „საჟეპელა“, ირგვლივ მოფენილი წიდებით კონსერვაციის გარეშე დარჩენილი ათწლეულების მანძილზე დავიწყებას მიეცა. შედეგად, ბევრი ასეთი ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნო, ძეგლი რომლითაც იამაყებდა ნებისმიერი ერი, განადგურდა. სოფლის მეურნეობისათვის გამოყენების მიზნით ეს ტერიტორიები ადგილობრივმა მოსახლეობამ შემოღობა, მოხნა და აითვისა...

უძველეს ქართველთა დიადი წარსული, კოლხური რკინის მეტალურგიის ისტორია სამუდამო დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მუზეუმებში დაცულ ათასობით სხვადასხვა სახის ექსპონატების გვერდით რკინის წარმოების ნიმუშები ვერ ახდენენ იმ შთაბეჭდილებას მნახველზე, როგორიც შეიძლება მოახდინოს უძველესმა, დედამიწაზე პირველი ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოების ნახვამ.

შედეგად მას არ მოჰყოლია ის ფართო რეზონანსი, ქართველი ერის წინაპართა ღვაწლის საერთაშორისოდ აღიარება და დაფასება, როგორც რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოსი, რაზედაც აკადემიკოსები ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, მეცნიერთა საზოგადოება და შეიძლება ითქვას მთლიანად ქართველი ხალხი იმედს ამყარებდა.

ამ აზრს დამატებით მოწმობს ის ფაქტებიც, რომ საქართველო მსოფლიო ხალხთა ატლასზე, ტურისტულ ცნობარებში და სხვაგან წარმოდგენილია მხოლოდ როგორც ძველი ქრისტიანული ქვეყანა და ვაზის სამშობლო. არაფერია ნათქვამი ქრისტეშობამდე ქართველი ერის დიად წარსულზე, მადნიდან გამოდნობის წესით რკინის წარმოების ისტორიის საწყისებზე.

კაცობრიობის განვითარების ისტორია მოწმობს, რომ ყოველ ერს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა გააჩნია. ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში თავისი წვლილი შეაქვს და ამდიდრებს ამ საგანძურს.

აქედან გამომდინარე, ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ქართველთა სათანადო დამსახურებას კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების საქმეში.

ამ ისტორიული სინამდვილის წარმოჩენა, ეჩვენებინა თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა მსოფლიო კულტურის საგანძურში, რითი გაამდიდრა მან ეს საგანძური, ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე თანამოაზრეებთან ერთად ჩემთვის შესაძლებელი გახდა კოლხეთის სხვადასხვა მხარეს მდ. ჩაქვის წყლის, მდ. ჭოროხის და მდ. ჩოლოქის აუზებში უფლის ნებით, სასწაულებრივად ჯერ კიდევ უვნებლად შემორჩენილი, დაკარგული ისტორიული კოლხური მეტალურგიის კერების მოძიება, ტერიტორიების შემოღობვა, გადარჩენა და დაცვა. მათ შორის ჩაქვის ჩაისუბნის ისტორიულ რკინის სადნობ სახელოსნოს 2019 წლის ნოემბერში უძრავი მატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენ ძეგლებთან მიმართებაში. აღნიშნული ისტორიული ძეგლების დაცვისა და ფართო პოპულარიზაციის მიზნით ჩაქვის ჩაისუბნის ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოს ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ მოეწყობა მუზეუმი... აქვე იქნება წარმოდგენილი უძველესი კოლხეთის სხვადასხვა ნაწილში არსებული ისტორიული ქურა-სახელოსნოები, როგორც მაჩვენებელი, განვითარებული კოლხური მეტალურგიის ერთიანი სისტემისა ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებსა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში.

დღეს ჩვენს წინაშე მდ. ჭოროხის, მდ. ჩოლოქის და ჩაქვის წყლის აუზებში დაცული უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოების სახით, ისტორიულ წერილობით წყაროებთან ერთად საკმარისი ნივთიერი მტკიცებულებები გაგვაჩნია იმისათვის, რომ საქართველო „იუნესკოს“ წინაშე წარსდგეს, როგორც რკინის წარმოების ისტორიული სამშობლო. მსოფლიოს ხალხთა დიდ ატლასზე საქართველო ვაზის სამშობლოსთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას რკინის წარმოების ისტორიულ სამშობლოდ![1]

* * *

„სამყაროში ერთი მიზეზის ახსნა უფრო
ძვირად მიღირს, ვიდრე სპარსეთის ტახტი“.
დემოკრიტე

როგორც უკვე შესავალში აღინიშნა ამ ნაშრომით შევეცდები იმ ისტორიული მოვლენების ახსნას, რომელიც ყურადღების მიღმა იყო დარჩენილი, არასწორი წარმოდგენა დამკვიდრდა მასზე და დღემდე პასუხს მოელოდა.

საქმე ეხება მეტად საინტერესო ისტორიულ ფაქტს: თუ როგორ იყო შესაძლებელი ძველი კოლხეთის მმართველებისთვის საუკუნეების მანძილზე რკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოდ დაცვა, მაშინ, როცა საქართველოს უკვე მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა მაშინდელ მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებთან, ასევე იყო სხვა ათასი დაუპატიჟებელი მომხდური თუ მოგზაური. ამის ერთ-ერთი მაგალითია არგონავტების მოგზაურობა საქართველოში, რომელთა მთავარ მიზანს უპირველესად სწორედ, რომ რკინის წარმოების საიდუმლოების მოპოვება წარმოადგენდა. ამ აზრის ჭეშმარიტებას უნდა მოწმობდეს ჩვენს წინაშე არსებული ერთ-ერთი ის რეალური ისტორიული ფაქტი, რომ ჩოლოქისა და ჩაქვის რკინის სადნობი სახელოსნოები არგონავტების საქართველოში მოგზაურობის დროს (დაახ. ძვ.წ. XIII-XI სს.) მოქმედი ობიექტები იყო, სადაც რკინის წარმოება იწყებდა განვითარებას. ამ დროისათვის როგორც ძვ. ხეთური და ბერძნული წყაროები მოწმობენ რკინა ოქროზე 10-ჯერ მეტად ფასობდა[2].

ოქროს საწმისი კი მატერიალურად მდიდარი კოლხეთის სიმბოლო იყო, რომელმაც მაშინდელი სამყაროს შემოქმედებით წრეებში პოეტურად ასახვა ჰპოვა...

დიდი მოაზროვნე, ფილოსოფოსი დემოკრიტე (ძვ.წ. V-IV სს.) აღნიშნავდა: „სამყაროში ერთი მიზეზის ახსნა უფრო ძვირად მიღირს, ვიდრე სპარსეთის ტახტი“.

აქედან ის მინდოდა მეთქვა, რომ უძველესი დროიდან ცივილიზაციის განვითარების გზაზე, ყოველი ახალი აღმოჩენა, რომელსაც სამხედრო და ეკონომიკის განვითარების მხრივ სტრატეგიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მკაცრად საიდუმლოდ ინახებოდა.

ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ კოლხი მეტალურგების მიერ რკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოება მრავალი საუკუნის მანძილზე მტკიცედ იყო დაცული.

როგორც უკვე შესავალში ავღნიშნეთ ძვ. წ. XII საუკუნიდან დასავლეთ ამიერკავკასია, კერძოდ კოლხეთი წარმოადგენდა რკინა-ფოლადის მწარმოებელ მთავარ რეგიონს. მანამდე ქართველ მეტალურგებს, ბრინჯაოს ხანიდან სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების უკვე ათასწლოვანი გამოცდილება ჰქონდათ, სადაც ბუნებრივია შემდგომ უკვე რკინის ნაწარმი და თვით

[1] ნიაზ ბოლქვაძე. „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად. საქართველო, ჩაქვი – უძველესი მეტალურგიის სათავეებთან“, თბ., 2020.

[2] ირინე ტატიშვილი. ლითონი ხათურ ლექსიკაში, საქართველო – უძველესი მეტალოგენური კერა (აჭარა), ბათ., 2019, გვ. 144.

რკინის მასალა გაჰქონდათ. ზემოაღნიშნულიდან ისმება მთავარი კითხვა: სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, ასევე სხვა ათასგვარი შემოსევებისა და მომხდურების ფონზე, როგორ ხერხდებოდა საუკუნეების მანძილზე რკინის მეტალურგიის წარმოების საიდუმლოების დაცვა?

ისტორიის ამ დარგის სპეციალისტთა შორის გავრცელებული არის აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები საიდუმლო წარმოება იყო, მაგრამ ჩემს ხელთ არსებულ წერილობით წყაროებში ამის შესახებ არსად არ არის გაკეთებული განმარტება.

ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე, თუ რატომ იყო საიდუმლო წარმოება იქ, იმ ტერიტორიაზე, სადაც არის განთავსებული მივიღე შემდეგი პასუხი:

„მეტალურგებს საწვავი მასალის ადგილზე მოპოვება და მაგნეტიტური ქვიშის ზღვის სანაპიროდან მოტანა უფრო უადვილდებოდათ, ვიდრე პირიქით, საწვავი მასალის შორს გადატანა. აქვე იყო წყალი, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო რკინის სადნობი სახელოსნოს მუშაობისათვის“.

ასეთი პასუხი, ჩაქვის, ჩაისუბნის ისტორიული სახელოსნოს და მისი შემოგარენი ტერიტორიის დათვალიერებისას თავიდანვე საეჭვოდ მეჩვენა. თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ მას სიმართელსთან არავითარი კაშვირი არ ჰქონდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საწვავი ხის მასალა, რომელიც რკინის წარმოებისათვის ამ მხარეში გამოიყენებოდა: წყავის, შკერის, წაბლის, რომელიც მაღალ ტემპერატურას (დახ.1600 გრადუსზე მეტს) იძლევა, ზემოაღნიშნულ მთავარი მდინარეების ზღვის შესართავთანაც ახლოს, იქ სადაც მადანი-მაგნეტიტური ქვიშა მოიპოვებოდა საკმაოდ უხვად იქნებოდა. აღნიშნული ხის ჯიშების კვალი ამ ტერიტორიებზე დღესაც საკმაოდ კარგად შეიმჩნევა. რაც შეეხება წყალს, მთავარ მდინარეზე ბუნებრივია მეტია, ვიდრე მის შენაკადზე, რომლის მიმდებარედაც სახელოსნო იყო განთავსებული.

ამდენად ეს ვერსია, რომელიც დღემდე იყო დამკვიდრებული თავიდანვე გამოირიცხა, პასუხი სხვაგან უნდა მეძია.

ცნობილი მწერალი და გამომძიებელი კონან დოილი, იგივე „შერლოქ ჰომსი“ ამა თუ იმ საკითხის შესწავლისას ამბობს: „ჩვენ ყველა ერთნაირად ვხედავთ, სხვადასხვანაირად კი ვამჩნევთ“. მთავარია შემჩნევა და წარმოსახვა.

ამ პრინციპიდან გამომდინარე, ჩაქვის ჩაისუბნის შემდეგ ჩოლოქის და ჭოროხის აუზებში განთავსებული ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოების მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერების, ამასთან ერთად რუკაზე სადაც ისტორიული სახელოსნოები არის განთავსებული ყურადღებით დაკვირვების შედეგად უძველეს კოლხთა რკინის წარმოების სახელოსნოების საიდუმლოდ შენახვის სქემა ჩვენს წინაშე მთელი თავისი სინამდვილით იშლება:

რკინის სადნობი სახელოსნოები კოლხეთის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ერთიდაიგივე, კარგად გააზრებული საერთო პრინციპით. მაგ. ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნო, რომელიც ითვლება ჩაქვის წყლის აუზის სახელოსნოდ, არ არის განთავსებული მთავარ მდინარეზე – ჩაქვის წყალზე. იგივე მდგომარეობაა მდ. ჩოლოქზე, მდ. ჭოროხზე, მდ. სუფსაზე, მდ. ხობზე და სხვაგან.. არამედ იგი განთავსებულია მთავარი მდინარისა და ზღვის შესართავიდან მთავარი მდინარის გასწვრივ, რამდენიმე კილომეტრის (დასხ. 4-7 კმ.) გავლის შემდეგ ერთი რომელიმე პატარა შენაკადით ღრმა ხეობაში, შენაკადი მდინარის განაპირად, დაბურულ ტყეში. იგი მთლიანად ჩაფლული იყო ზღვასა და მთებს შორის არსებულ ხეობებს შორის არსებულ პატარა ხეობაში.

ძველი კოლხებისათვის მთავარი სტრატეგიული ობიექტების, რკინის სადნობი სახელოსნოების ერთი და იგივე საერთო პრინციპით განთავსებაზე არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოწმობს:

უძველეს დროში, კოლხეთის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო და საერთაშორისო მთავარი სახმელეთო გზა გადიოდა ზღვისპირად, ასევე გარკვეულ ადგილებზე იყო საზღვაო ტრანსპორტი-

სათვის მისადგომები – ნავსაყუდელები. პარალელურად იყო მეორე გზა-სამთო ბილიკებით, რომელიც კოლხეთში შემავალ ჭოროხის, ჩაქვის და სხვა მდინარეთა ხეობებს აკავშირებდა ერთმანეთთან. სამივე გზებით: საზღვაო, ზღვისპირა და სამთო ბილიკებით მიმავალი მგზავრისათვის რკინის წარმოების სახელოსნოები იყო უხილავი, დაფარული. როგორც უკვე ვთქვით იგი მთლიანად ჩაფლული იყო ზღვასა და მთებს შორის არსებულ ხეობების შიგნით არსებულ პატარა ხეობებში.

უცხო მგზავრი ვინც მოგზაურობისას გადაკვეთავდა მთავარ მდინარეს, ან კიდევ შეჩერდებოდა ამ მიდამოებში და შეუყვებოდა მთავარ მდინარეს ზღვის შესართავიდან მის სათავეებამდე, (ან პირიქით) ვერაფერს შენიშნავდა. მაგრამ თუ ის მდინარის შენაკადებით ხეობის სიღრმეებში, გაუვალ ტყეებში დაიწყებდა მოგზაურობის გაგრძელებას, რაც უკვე აშკარა ინტერესს ავლენდა რაღაცის მიმართ, მაშინ მისთვის ეს მოგზაურობა უდავოდ საბედისწერო აღმოჩნდებოდა (შესაძლებელია მთავარ მდინარეზე, მაღალ მთებში სადმე ყოფილიყო განთავსებული რკინის სადნობი სახელოსნეობი, მაგრამ იგი აუცილებლად იქნებოდა მოცილებული დასახლებული პუნქტებისაგან და უხილავი, დაფარული და მიუწვდომელი მგზავრებისათვის).

სტრატეგიული დანიშნულების ამ უმნიშვნელოვანესს ობიექტებს სადაც დედამიწაზე ახალი, ბრინჯაოსაგან განსხვავებით მტკიცე რკინა-ფოლადი იქმნებოდა, ბუნებრივია ჰყავდა მებრძოლებისაგან შემდგარი უსაფრთხოების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდ გარემოში რკინის წარმოების პროცესს.

ამ აზრის ჭეშმარიტებას ადასტურებს კიდევ ერთი ისტორიული ფაქტი.

ზემოაღნიშნულ საქალაქთაშორისო გზებიდან, ერთ-ერთს, სამთო ბილიკებს სავაჭრო-სატრანზიტო დანიშნულების გარდა, ასევე სამხედრო თავდაცვითი ფუნქცია ეკისრა. ჩვენს მიერ აღწერილი მდინარეების ხეობები, სადაც განთავსებული არის ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები, უძველესი დროიდან საქართველოს შავიზღვისპირეთის თავდაცვითი სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს წარმოადგენდნენ. აქ, ზღვის დონიდან საკმაოდ მაღალ მთის ფერდობებზე (დახ. 400-700 მ) განთავსებულ სათვალთვალო-სასიგნალო პუნქტებიდან შესაძლებელი ხდებოდა კოლხეთის ვრცელი ტერიტორიის გაკონტროლება. გუშაგები მათთვის დადგენილი სასიგნალო ნიშნებით (კოცონის დანთება; მალემსბოლელი..) მეზობელ ხეობებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ამცნობდნენ მოახლოებული საფრთხის შესახებ.

თავდაცვითი სისტემის ეს ფორმა, რომელსაც როგორც ჩანს ჯერ კიდევ უძველეს დროში ჩაეყარა საფუძველი, XVIII საუკუნის ბოლომდე მოქმედებდა[1]. ზემოგანხილულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ხეობები, სადაც განთავსებული იყო რკინის სადნობი სახელოსნოები, ეს იყო აკრძალული ზონები, დახურული ხეობები თავისი საგუშაგოებით, კარგად ორგანიზებული თავდაცვითი სისტემით, სადაც დაუპატიჟებელი „სტუმარი“ სიკვდილით ისჯებოდა, რათა არ გაეტანა საიდუმლო იმფორმაცია რკინის წარმოების ადგილმდებარეობის შესახებ. მსგავსი მაგალითები მოიპოვება სხვადასხვა ერის ცხოვრებიდან, მაგ. ტიბეტის ისტორიიდან. როგორც ცნობილია ტიბეტი საუკუნეების მანძილზე XVIII საუკუნის ბოლომდე იზოლირებული იყო გარე სამყაროსაგან. მისი არსებობის შესახებ მხოლოდ მითებითა და ლეგენდებით იყო ცნობილი. დაუპატიჟებელი მგზავრი, ვინც ტიბეტში აღმოჩნდებოდა მათი კანონის თანახმად სიკვდილით ისჯებოდა, რათა არ გაეტანა ამბავი ტიბეტის შესახებ.

როგორც ჩანს მხოლოდ ასე შეეძლოთ უძველეს ქართველ წინაპრებს ამ უდიდესი სტრატეგიული დანიშნულების, ახალი აღმოჩენის – მადნიდან გამოდნობის წესით რკინის მიღების საიდუმლოების თითქმის 1000 წლის მანძილზე დაცვა.

[1] იური სიხარულიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა. ბათ., 1958, წიგნი 1, გვ. 91.

როგორც ცნობილია რკინის ათვისების ადრეული ეტაპი საქართველოში აღინიშნება ძვ.წ. XIII-XI საუკუნეებით.

რკინის წარმოების განვითარებული ეტაპი აღინიშნება ძვ.წ. X-VIII საუკუნეებით.

ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში რკინის წარმოება მაღალი დონით აღინიშნება მთლიანად ამიერკავკასიაში.

ძვ.წ. V-I საუკუნეები კი შეფასებულია, როგორც რკინის წარმოების საყოველთაოდ გავრცელების პერიოდი.[1]

იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომ საქართველომ რკინის ათვისების ადრეული და მისი შემდგომი განვითარების ეტაპები, მის საყოველთაო გავრცელებამდე უწყვეტად განვლო ამ ფაქტს წერილობით წყაროებთან ერთად დღეს ნივთიერი მტკიცებულებებით მოწმობს გადარჩენილი და დაცული მდ. ჭოროხის, ჩაქვის წყლის, ჩოლოქის და ხობი-ოჩხომურის აუზის (ძვ.წ. XIII-VII სს.) ძეგლები.

აღნიშნული ეპოქებისათვის, რომ ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოები დახურულ ზონებში მოქმედი რკინის წარმოების საიდუმლო ობიექტები იყო, საიდანაც უცხოთათვის შეუძლებელი იყო რაიმე იმფორმაციის მოპოვება, ამაზე მაშინდელი ყველაზე ცივილიზებული ერების ცხოვრებისა და მათი საერთაშორისო ურთიერთობების მოკლე ანალიზიც ნათლად მეტყველებს:

საქართველოში ადრეული რკინის და მისი შემდგომი განვითარების პერიოდი ეს არის ეგვიპტის ფარაონების ძლიერების ხანა; ბიბლიური მოციქულების: მოსეს, დავითის, სოლომონ ბრძენის მოღვაწეობის პერიოდი, შორეულ აღმოსავლეთ აზიაში ჩინური დინასტიების აღზევების ხანა. მეზობელი ურარტუს ძლიერების ეპოქა. მათთვის ამ პერიოდისათვის როგორც წერილობითი ისტორიული წყაროები მოწმობენ რკინის წარმოება უცხო იყო.

ამიტომ, რკინა იშვიათი ფუფუნების საგანს წარმოადგენდა. პირველ ხანებში იგი რკინის არა მწარმოებელი ქვეყნებისათვის საუველირო ნაკეთობებისათვის და ფუფუნების საგნებისათვის გამოიყენებოდა. რკინისაგან ამზადებდნენ სამეფო რეგალიებს, რკინის ნივთებით, რომელიც ოქროზე მეტად ფასობდა, აჯილდოვებდნენ გმირებს:

ეგვიპტის ფარაონის ამენჰოტეპ III-ის და ეხნატონის არქივში მოპოვებული წერილობითი წყაროები (ძვ.წ. XV-XIV სს.) პირველია, რომელიც მოგვითხრობს საქართველოში რკინის წარმოების შესახებ, კერძოდ: კოლხეთის მართველს ეგვიპტის ფარაონისათვის მონა ქალებთან ერთად საჩუქრად რკინის ხანჯლები და ბეჭდები გაუგზავნია;

„რადგან მხოლოდ ყოგი, ბაშანის მეფე იყო დარჩენილი რეფაიმთა მოდგმიდან... აჰა, მისი საწოლი, რკინის საწოლი“... მოგვითხრობს ბიბლია ამის შესახებ (ბიბლია, წიგნი მეხუთე, 3.11).

ბიბლიაში აღწერილი ეს ისტორია მოციქულ მოსეს მოღვაწეობის ხანაა (ძვ.წ. XIII ს.), სადაც კარგად ჩანს, რომ ამ ეპოქისათვის, ებრაელი ხალხისთვის რკინა უცხოა. ბიბლიაში მოცემული ისრაელიანების ისტორიის პარალელურად იგივე ეპოქაში, ჰომეროსის „ილიადა“, აქ აღწერილი ტროას ომი ასევე ადასტურებს, რომ ამ დროისათვის ბერძნებისთვისაც უცხოა რკინა. ისინი მთლიანად აღჭურვილნი არიან ბრინჯაოსა და სპილენძის იარაღით. მათ აქვთ რკინის ნივთები, მაგალითად სპროტული ასპარეზობისათვის რკინის „ბადრო“, მაგრამ იგი გმირ აქილევს ბრძოლებში გამარჯვებით მოუპოვებია:

„პელიატმა მოყმეთ შესთავაზა ბადრო რკინისა,
მას წინათ მძლავრი ეტიონი ტყორცნიდა ხოლმე,
როცა ის მოკლა აქილევსმა, ფეხმარდმა გმირმა,
სხვა საუნჯესთან ერთად ბადროც წამოუღია“ – აღნიშნავს ჰომეროსი.[2]

[1] გივი ინანიშვილი, ნოდარ ფოფორაძე. ამიერკავკასიაში რკინა-ფოლადის უძველესი წარმოების არქეოლოგიურ-ტექნოლოგიური ასპექტები. საქართველო – უძველესი მეტალურგიის კერა (აჭარა). ბათ., 2019. გვ. 93.

[2] ჰომეროსი. ილიადა, ქება ოცდამესამე. თბ., 1979, გვ. 517.

ჩინეთისათვის, რომელიც ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაა, ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. I ათასწლეულის საწყის ეტაპზე, რკინის წარმოება უცხოა. ჩინეთში, რკინის გამოყენება იწყება ძვ.წ. I ათასწლეულის დაახ. შუა ხანებიდან, მაშინ როცა რკინის საყოველთაო გავრცელების ეპოქა იწყება. იგი უთუოდ დაკავშირებული უნდა იყოს აბრეშუმის გზის ჩამოყალიბების საწყის პერიოდთან, როდესაც მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ფართო განვითარებას იწყებდა.[1]

არა მხოლოდ შორი ქვეყნებისათვის, არამედ საქართველოს უახლოესი მეზობელი ხალხისათვისაც უცხო იყო რკინის წარმოების საიდუმლოება, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ინტერესს კოლხეთის მიმართ. ისტორია ამის შესახებ მოგვითრობს, რომ ურარტუს მეფე სარდურ II-ეს დაულაშქრავს კოლხეთის ქვეყანა, აუღია მათი სამეფო ქალაქი და ამ გამარჯვების აღსანიშნავად აქაური ხელოსნებისთვის უბრძანებია რკინის ბეჭდის დამზადება[2]...

ძვ. წ. VIII სუკუნეში შავი ზღვის სანაპიროზე, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილიც კოლხეთის ტერიტორიაზე მოდიოდა 100-ზე მეტი ბერძნული კოლონია-დასახლება იყო. მათ ჰქონდათ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასთან, მაგრამ მათთვის, როგორც ჩანს რკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლოების მოპოვება მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ინტერესისა, რასაც ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე არგონავტების ისტორია კარგად მოწმობს, შეუძლებელი ხდებოდა, კოლხების მიერ რკინის წარმოების კერების დახურულ ხეობებში, აკრძალულ ზონებში ზემოთ აღნიშნული პრინციპით განთავსების შედეგად.

რკინის საყოველთაო გავრცელების ხანაში (ძვ. წ. V-I სს.) ქართველები მსოფლიოში საუკეთესო მეტალურგების სახელს როგორც ჩანს კიდევ დიდხანს ინარჩუნებდნენ: „სტოელებისა და სოკრატელების ძლივს შეძენილი წიგნები გაგიყიდია, რათა შეგეძინა იბერიული ჯაჭვის პერანგი! მოგებული ხარ“ – ეუბნება თავის მეგობარს კვინტუს ჰორაციოს ფლაკუსი[3]...

დასასრულს შეიძლება ავღნიშნოთ შემდეგი: კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, მეცნიერულ მიღწევებს ყოველთვის თან ახლდა და ახლავს ეკონომიკური თვალსაზრისით თუ სამხედრო სტრატეგიული დანიშნულების მხრივ ახალი აღმოჩენების საიდუმლოდ დაცვა მისი შემდგომი გამოყენების მიზნით. ამის არაერთი ისტორიული და თანამედროვე ფაქტი არსებობს.

განსაკუთრებით XX-XXI საუკუნეებში კარგადაა ცნობილი დახურული ქალაქები, ან რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე, ტყის სიღრმეებში განთავსებული საიდუმლო სამხედრო ნაწილები, რომელთა საფოსტო მისამართი მხოლოდ სამხედრო ნაწილზე მინიჭებული ნომრით გამოიხატება.

დახურულ ზონებში როგორც ზოგადად ცნობილია განთავსებულია მთელი რიგი ლაბორატორიები, სადაც იქმნება მასობრივი განადგურების თუ მისგან თავდაცვის ახალი იარაღი, განთავსებულია საიდუმლო სარაკეტო ნაწილები და სხვა...

ამ ნაშრომით, ძველი კოლხი მეტალურგების მაგალითზე ვხედავთ, რომ დედამიწაზე სტრატეგიული დანიშნულების იარაღის წარმოებისათვის გასაიდუმლოებული, აკრძალული ზონების არსებობის ტრადიციას ერთ-ერთი უძველეს საქართველოშიც ჩაეყარა საფუძველი. აქ თავის დროზე, კოლხი მეტალურგები, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, დახურულ ხეობებში განთავსებულ სახელოსნოებში დედამიწაზე სრულებით ახალ, რკინა-ფოლადის სამეურნეო და საბრძოლო იარაღს ქმნიდნენ, რამაც შემდგომ ცივილიზაციის განვითარების საქმეში გარდატეხა მოახდინა.

---

[1] მსოფლიოს დიდი ატლასი. ფაქტები ახლო აღმოსავლეთ აზიის შესახებ. ჩინური დინასტიები. თბ., 2011, გვ. 129.
[2] დავით ხახუტაიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 179.
[3] აკაკი გელოვანი, სიბრძნის სიმფონია. თბ., 1989, გვ. 753.

ეს ისტორიული ძეგლები (ძვ. წ. XIII-VII სს.) რომლებიც ნივთიერი მტკიცებულებებით ადასტურებენ, რომ საქართველო, ძველი კოლხეთი რკინის წარმოების ისტორიული სამშობლოა დღეს ჩვენს წინაშეა! იგი ქართული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მონაპოვარია, რომელსაც სათანადო გაფრთხილება, მოვლა-პატრონობა, აღიარება და დაფასება ჭირდება!

**რკინის სადნობი ღუმელი.
ჩაქვი, ჩაისუბანი.
ძვ.წ. XI-X სს.**



**უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნო.
ძვ.წ. XIII-VIII სს. რეკონსტრუქცია.
იდეის ავტორი – ნიაზ ბოლქვაძე,
მხატვარ-არქიტექტორი – ჯემალ მიქელაძე**

**საინიციატივო ჯგუფის წევრები და სოფ. ლეღვას საჯარო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები
უძველეს კოლხთა რკინის სადნობი სახელოსნოს ტერიტორიაზე. სოფ. ლეღვა, თებერვალი, 2020 წ.**

MYSTERY OF THE ANCIENT COLCHIAN METALLURGISTS

Not forgetting the origin of the human civilization!

(Summary)

There are well-grounded works based on the result of the achievements of Georgian and foreign scientists in terms of studying and discovering the ancient metallurgy hearths.

Despite of this fact, there are still many important and interesting issues, which should be studied, which have always stayed beyond the proper attention of the scientists till now.

Therefore, the main subject of our research is one of the historical fact, in particular: how did the Colchis rulers manage to protect the secret of iron production in ancient times over the centuries?

Regarding to the question raised, as a result of studying the adjacent territories of the historical workshops attentively and as a result of good observation of their placement on the map, we can mention the following:

The hearths of the production of historical iron on the territory of whole Colchis were placed with one and the same principle in order to protect the privacy in the late bronze and early iron age.

Iron smelting workshop was placed in the misty forest along the river from the embouchement of the main river and sea, after walking about 4-10 km along this river, with one small tributary in the deep ravine. It was fully immersed in the small ravine between the ravines, existing among the sea and mountains (see the map).

Iron production workshops were covered, invisible for foreign travellers, walking with the marine, land, seaside and mining trails. Ravines also had a well-organized defense system for this purpose (signal towers and others).

Ravines, where there were placed iron production workshops, were prohibited zones at that time, closed ravines – where “uninvited guest” was sentenced to death, in order not to take out the information about secret production of strategic purpose.

According to the above-mentioned, on the example of the ancient Colchis metallurgists, we can see that for the production of strategic weapons on the earth, tradition of secret production, which makes the modern world so rich today, one of the country was Georgia, where it was founded, where Colchis metallurgists laid down the basis of the iron-steel production with fully new eliquation rule from the ore on the earth in the workshops, placed in the closed ravines in the bronze age, which made a great change in the development of the civilization.

Historical iron smelting workshops, after they were scientifically studied and after comparatively insignificant museum exhibits were moved to the museums, historical workshops – iron smelting furnaces, stone table -“Sazhepela” – left without conservation for decades – were forgotten... The great past of the ancient Georgians, history of ancient Colchis iron metallurgy was in danger of losing forever. In order to save Colchian inheritance of the ancestors, on the basis of necessity, together with like-minded people, it was possible for me to find historical iron smelting workshops, which were safely preserved on the territory of Colchis, in the basins of the rivers: Chorokhi, Chakvi Tskali (Chakvi Water) and Choloki, their fencing and saving, including, in November 2019 year, historical workshop of Chakvi Chaisubani was given the status of immovable material culture monument. Work is being undergone on the rest of monuments.

These historical monuments (B.C. XIII-VIII c.), which confirm with material evidence that Georgia, Old Colchis is historical homeland of the iron production and it`s before us today! It`s Georgian and universal cultural achievement, which needs proper recognition and appreciation!

ТАЙНЫ ДРЕВНЕЙШИХ КОЛХСКИХ МЕТАЛЛУРГОВ

Не предавть забвению истоки человеческой цивилизации!

(Резюме)

В Закавказье в результате достижений грузинских и зарубежных ученых в области открытия и изучения древнейших очагов металлургии нам удалось добыть фундаментальные труды.

Несмотря на это, все еще остаются неизученными немало весьма важных и интересных вопросов, которые до наших дней оставалиь без надлежащего внимания ученых.

Исходя из этого, главным предметом нашего исследования является один из исторических фактов, в частности: как в древности правителям Колхиды на протяжении столетий удавалось хранить тайну производство железа?

По поводу поставленного вопроса, в результате внимательного изучения территорий, прилегающих к историческим мастерским и тщательного их размещения на карте, можно отметить следующее:

Исторически очаги производства железа на всей территории Колхиды в позднюю бронзовую и раннюю железную эпоху, с целью сохранения тайны, были размещены по одному и тому же принципу:

Вдремучем лесу, на берегу упирающейся в ущелье маленькоим притокомречки, от главной лопасти дельты реки, впадающей в море, по прохождении вдоль которой около 4-10 км, была размешено железоплавильная мастерская. Она полностью утопала в небольшом ущелье, образовавшемся между горными ущельями и морем.

От взора путника, следующего тремя ведущими к ущельям путями: морской, сухопутной, приморскойи горными тропами, были скрыты, невидимы железоплавильные мастерские.С этой целью в ушельях также была установлена хорошо организованная охранная система (сигнальные вышки и др.)

Ущелья, в которых были расположены мастерские по производству железа, в свое время были запрещенными зонами, закрытыми ущельями, где непрошенный «гость» карался смертью, поскольку мог вынести оттуда информацию о производстве железа, имеющем стратегическое значение.

Исходя из вышеуказанного, на примере металлургов древней Колхиды видим, что на планете Земля запретные зоны производства оружия стратегического назначения, традиции тайного производства, чем на сегодняшний день так богат современный мир, в свое время одними из первых зародились и в Грузии, где колхские металлурги еще в бронзовую эпоху в размещенных в ущельях закрытых мастерских закладывались основы совершенно нового для человечества производства из руды железа и стали, что явилось коренным перелом в дальнейшем развитии цивилизации.

Исторические железоплавильные мастерские после научного исследования и помещения в музеи сравнительно незначительных музейных экспонатов, исторические мастерские – железоплавильные печи, каменный стол «сажепела», оставшийся без консервации на протяжении десятилетий были преданы забвению... Великое прошлое древних грузин, история древнейшей колхской железной металлургии оказался на грани исчезновения. Исходя из необходимости спасения культурного наследия предков, вместе с единомышленниками мне была предоставлена возможность обнаружить на территории Колхидской низменности, в бассейнах рек: Чорохи, Чаквисцкали и Чолоки хорошо сохранившиеся исторические железоплавильные мастерские, огородить и спасти их. В том числе, Чаквской, Чаи-

субанской исторической мастерской в ноябре 2019 года был присвоен статус недвижимого памятника материальной культуры. Ведутся работы по присвоению статуса другим памятником.

Эти древнейшие памятники (XIII-VIIIв.д.н.э.), которые своими предметными источниками доказывают, что Грузия, Древняя Колхида, является исконной исторической родиной производства железа, сегодня находятся перед нами!Они являются грузинским и общечеловеческим достоянием, которое требует соответствующего признания и оценки!

ჭოროხი 6

2020

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2020
malkhaz.pagava@mail.ru